ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
30 ნოემბერი **შაბათი** 2013
№283 (14 199) ფასი 80 თეთრი

# მიხედეთ გურიას!

ეს გუნდი ყურადღების ღირსია და არ უნდა დაიშალოს!


3

ფეხბურთელებს მოთმინების ფიალა აევსოთ, ხელმძღვანელებისგან მარტო დაპირებები ისმის... გავლენ ლანჩხუთელები სიონთან სათამაშოდ?

# კოკოშკოვის წასვლა არ გამიხარდება!

ექსკლუზიური ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან



16



## გალიანი მიდის! მალდინი მოდის?



5

## უპრინი: პლზენთან მოლაპარაკება დაწყებულია



ჩეხური „სპორტ აკტუალნე" მორიგ სიახლეს გვატყობინებს **დუშან უპრინის** შესახებ. ამ გამოცემის ინფორმაციით, თბილისის „დინამოს" თავკაცმა უკვე დაიწყო მოლაპარაკება „პლზენთან", რადგან **ზდენეკ ზემანმა** ჩეხურ კლუბს საბოლოო უარი შეუთვალა. მეტიც, გამოცემას თავად უპრინის სიტყვებიც მოაქვს:

*„ჩვენ უკვე დავიწყეთ ამ საკითხზე მოლაპარაკება, მაგრამ, ჯერჯერობით, კონკრეტული არაფერია"*, - განუცხადა „სპორტ აკტუალნეს" „დინამოს" მწვრთნელმა.

აი, ასეთი ამბავია. უპრინმა მცირე კომენტარი „ლელოსაც" მისცა. ამაზეც და უფრო ვრცლად ჩეხი სპეციალისტის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე, იხილეთ მე-3 გვერდზე...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მალე ყოველ შაბათს
მაღალპოლიგრაფიული ფერადი ჟურნალი
ლელო

**30.11. ქუთაისი. ცენტრალური — 14:00**

**ჩიხურა — ვიტ ჯორჯია**

ურთიერთშეხვედრები: 5: +3 =0 -2 (9:4)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| მეტალურგი-ჩიხურა | 1:1 (სჩ) |
| ჩიხურა-ზუგდიდი | 2:0 (სჩ) |
| ტორპედო-ჩიხურა | 1:2 (სჩ) |
| ჩიხურა-ლოკომოტივი | 4:0 (სთ) |
| დინამო (თბ)-ჩიხურა | 6:1 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ზუგდიდი | 1:0 (სჩ) |
| გურია-ვიტ ჯორჯია | 2:1 (სჩ) |
| სპარტაკი-ვიტ ჯორჯია | 3:1 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ჩიხურა | 2:1 (სთ)) |
| ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია | 1:1 (სჩ) |

**30.11. განმუხური — 14:00**

**ზუგდიდი — მერანი**

ურთიერთშეხვედრები: 7: +4 =0 -3 (9:9)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია-ზუგდიდი | 1:0 (სჩ) |
| ჩიხურა-ზუგდიდი | 2:0 (სჩ) |
| გურია-ზუგდიდი | 1:0 (სჩ) |
| ზუგდიდი-სპარტაკი | 1:1 (სჩ) |
| დილა-ზუგდიდი | 1:1 (სჩ) |
| მერანი-გურია | 1:2 (სჩ) |
| სპარტაკი-მერანი | 1:0 (სჩ) |
| დილა-მერანი | 3:0 (სჩ) |
| მერანი-გურია | 1:1 (სთ) |
| მეტალურგი-მერანი | 6:1 (სჩ) |

**30.11. ქობულეთი. ჩელე არენა — 14:00**

**გურია — სიონი**

ურთიერთშეხვედრები: 14: +3 =4 -7 (11:22)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| მერანი-გურია | 1:2 (სჩ) |
| გურია-ვიტ ჯორჯია | 2:1 (სჩ) |
| გურია-ზუგდიდი | 1:0 (სჩ) |
| მერანი-გურია | 1:1 (სთ) |
| სპარტაკი-გურია | 0:1 (სჩ) |
| სიონი-სპარტაკი | 3:2 (სჩ) |
| დილა-სიონი | 0:2 (სჩ) |
| ზესტაფონი-სიონი | 0:0 (სჩ) |
| ზესტაფონი-სიონი | 0:1 (სთ) |
| ტორპედო-სიონი | 1:1 (სჩ) |

**30.11. თბილისი. მ. მესხი — 14:00**

**სპარტაკი — დინამო (თბ)**

ურთიერთშეხვედრები: 16: +1 =4 -11 (10:34)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| სიონი-სპარტაკი | 3:2 (სჩ) |
| სპარტაკი-მერანი | 1:0 (სჩ) |
| სპარტაკი- ვიტ ჯორჯია | 3:1 (სჩ) |
| სპარტაკი-ტორპედო | 2:2 (სთ) |
| სპარტაკი-გურია | 0:1 (სჩ) |
| დინამო (თბ)-დილა | 1:1 (სჩ) |
| ზესტაფონი-დინამო (თბ) | 1:2 (სჩ) |
| მეტალურგი-დინამო (თბ) | 0:0 (სჩ) |
| დინამო (თბ)-კოლხეთი (ხ) | 6:0 (სთ) |
| დინამო (თბ)-ჩიხურა | 6:1 (სჩ) |

**30.11. გორი. თ. ბურჯანაძე — 14:00 LIVE I არხზე**

**დილა — ტორპედო**

ურთიერთშეხვედრები: 46: +12 =5 -29 (49:96)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| დინამო (თბ)-დილა | 1:1 (სჩ) |
| დილა-სიონი | 0:2 (სჩ) |
| დილა-მერანი | 3:0 (სჩ) |
| დინამო (ბთ)-დილა | 2:1 (სთ) |
| დილა-ზუგდიდი | 1:1 (სჩ) |
| ტორპედო-ზესტაფონი | 0:1 (სჩ) |
| მეტალურგი-ტორპედო | 2:1 (სჩ) |
| ტორპედო-ჩიხურა | 1:2 (სჩ) |
| სპარტაკი-ტორპედო | 2:2 (სთ) |
| ტორპედო-სიონი | 1:1 (სჩ) |

**30.11. ზესტაფონი. დ. აბაშიძე — 18:00**

**ზესტაფონი — მეტალურგი**

ურთიერთშეხვედრები 21: +8=7 -6 (21:15)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| ტორპედო-ზესტაფონი | 0:1 (სჩ) |
| ზესტაფონი-დინამო (თბ) | 1:2 (სჩ) |
| ზესტაფონი-სიონი | 0:0 (სჩ) |
| ზესტაფონი-სიონი | 0:1 (სთ) |
| ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია | 1:1 (სჩ) |
| მეტალურგი-ჩიხურა | 1:1 (სჩ) |
| მეტალურგი-ტორპედო | 2:1 (სჩ) |
| მეტალურგი-დინამო (თბ) | 0:0 (სჩ) |
| კოლხეთი (ფ)-მეტალურგი | 1:3 (სთ) |
| მეტალურგი-მერანი | 6:1 (სჩ) |

# აბა, ვინ გაუძლებს?..

**ხვალინდელი** მატჩებით შემოდგომასაც გავაცილებთ და, რაც მთავარია, პირველი ეტაპის გადამწყვეტი პერიოდი დადგება: სწორედ ახლა უნდა გამოჩნდეს, თუ როგორ მოემზადა ესა თუ ის გუნდი სეზონის დაწყებამდე!

ჰო, ნამდვილად არ იქნება პატარა საქმე, როცა ჩვენმა გუნდებმა 20-დღიან ინტერვალში ხუთ-ხუთი მატჩი რომ უნდა ჩაატარონ, ანუ, ამ შემჭიდროებული გრაფიკით ასპარეზობისას ის გუნდები იქნებიან ბევრად უფრო კომფორტულ სიტუაციაში სხვებთან შედარებით, გრძელი სათადარიგოთა სკამიც რომ გააჩნიათ და საერთოდაც, ფეხბურთელების ფიზიკური მომზადების მხრივ პრობლემა რომ არ ექნებათ.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, ამ 20-დღიან „მონაკვეთში“ ბევრი რამ უნდა გაირკვეს, ბევრი, მაგრამ, არა - ყველაფერი! შეგახსენებთ, რომ პირველი ეტაპის ბოლო ოთხი ტური მომავალი წლის გაზაფხულზე უნდა ჩატარდეს და ვეჭვობთ, რომ ზედა და ქვედა ექვსეულები სრულად წლეულსვე გაირკვეს. ეგ კი არა, ტური არ გავა, სატურნირო ცხრილში გარკვეული გადაადგილება არ მოხდეს და დაახლოებით ასეთივე სიტუაციას უნდა ველოდოთ ხვალინდელი მატჩების შემდეგ.

ყოველ შემთხვევაში, იმის დიდი ალბათობაც არის, რომ ზედა ექვსეულშიც გარკვეული ცვლილებები მოხდეს და ცხრილის ქვედა ნაწილშიც. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე ისეთი მატჩია, სწორედაც რომ ასეთ გადაადგილებებს გვპირდება, დანარჩენი კი მოედნებზე გამოჩნდება...



მეტალურგი-ზესტაფონი 0:0 — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

**სულ**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო თბ | 13 | 9 | 3 | 1 | 30 | 11 | 30 |
| 2 | ჩიხურა | 13 | 8 | 2 | 3 | 28 | 20 | 26 |
| 3 | გურაი | 13 | 8 | 0 | 5 | 15 | 16 | 24 |
| 4 | მეტალურგი | 13 | 6 | 4 | 3 | 19 | 17 | 22 |
| 5 | ტორპედო | 13 | 5 | 4 | 4 | 17 | 12 | 19 |
| 6 | დილა | 13 | 5 | 4 | 4 | 17 | 14 | 19 |
| 7 | ზესტაფონი | 13 | 5 | 3 | 5 | 14 | 10 | 18 |
| 8 | სიონი | 13 | 4 | 4 | 5 | 16 | 17 | 16 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 13 | 4 | 3 | 6 | 17 | 19 | 15 |
| 10 | მერანი | 13 | 4 | 0 | 9 | 13 | 28 | 12 |
| 11 | სპარტაკი | 13 | 3 | 1 | 9 | 11 | 19 | 10 |
| 12 | ზუგდიდი | 13 | 1 | 4 | 8 | 5 | 19 | 7 |

**შინ**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო თბ | 7 | 6 | 1 | 0 | 20 | 6 | 19 |
| 2 | გურია | 6 | 6 | 0 | 0 | 11 | 3 | 18 |
| 3 | ჩიხურა | 6 | 5 | 0 | 1 | 15 | 6 | 15 |
| 4 | მეტალურგი | 7 | 4 | 3 | 0 | 11 | 3 | 15 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 0 | 3 | 12 | 8 | 12 |
| 6 | მერანი | 7 | 4 | 0 | 3 | 10 | 10 | 12 |
| 7 | დილა | 6 | 3 | 2 | 1 | 11 | 5 | 11 |
| 8 | ტორპედო | 7 | 2 | 3 | 2 | 8 | 6 | 9 |
| 9 | სპარტაკი | 6 | 3 | 0 | 3 | 5 | 5 | 9 |
| 10 | ზესტაფონი | 6 | 2 | 2 | 2 | 7 | 6 | 8 |
| 11 | სიონი | 7 | 2 | 2 | 3 | 10 | 12 | 8 |
| 12 | ზუგდიდი | 6 | 1 | 3 | 2 | 4 | 8 | 6 |

**სტუმრად**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო თბ | 6 | 3 | 2 | 1 | 10 | 5 | 11 |
| 2 | ჩიხურა | 7 | 3 | 2 | 2 | 13 | 14 | 11 |
| 3 | ტორპედო | 6 | 3 | 1 | 2 | 9 | 6 | 10 |
| 4 | ზესტაფონი | 7 | 3 | 1 | 3 | 7 | 4 | 10 |
| 5 | სიონი | 6 | 2 | 2 | 2 | 6 | 5 | 8 |
| 6 | დილა | 7 | 2 | 2 | 3 | 6 | 9 | 8 |
| 7 | მეტალურგი | 6 | 2 | 1 | 3 | 8 | 14 | 7 |
| 8 | გურია | 7 | 2 | 0 | 5 | 4 | 13 | 6 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 6 | 0 | 3 | 3 | 5 | 11 | 3 |
| 10 | სპარტაკი | 7 | 0 | 1 | 6 | 6 | 14 | 1 |
| 11 | ზუგდიდი | 7 | 0 | 1 | 6 | 1 | 11 | 1 |
| 12 | მერანი | 6 | 0 | 0 | 6 | 3 | 18 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ი. მოდებაძე (დილა) | 9 |
| დ. ტატანაშვილი (ჩიხურა) | 9 |
| დ. გოგა (დინამო (თბ)) | 7 |

## დილა - ტორპედო

პირველი წრე - 0:0

დისკვალიფიკაცია: **გიორგი კუხიანიძე** (ტორპედო)

ამ ტურის, უდავოდ, გამორჩეული მატჩი უნდა გამოდგეს: ორივე გუნდს ქულებიც, მოგებებიც, ფრეებიც და წაგებებიც ერთნაირი აქვთ და ქუთაისელები მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით უსწრებენ თავის ერთ-ერთ უშუალო კონკურენტს. ისე, „ტორპედოს“ აშკარად ჩაუვარდა ბოლოდროინდელი პერიოდი: **ჟერარდ სარაგოსას** გუნდს ჩემპიონატში 6 ოქტომბრის მერე არ მოუგია და ზედიზედ ოთხი წაგების მერე უკვე ის გახდა სათუო, ზედა ექვსეულში, საერთოდ, მოხვდება თუ არა!

სხვათა შორის, სტაბილურობით ვერც „დილა“ დაიკვეხნის, მაგრამ წინა ტურში გორელებმა უმნიშვნელოვანესი ქულა აიღეს სტუმრად „დინამოსთან“ და დღეს, ალბათ, ყველაფერს იღონებენ, თავის ბოლოდროინდელ მართლაც უხერხულ მეტოქესთან სასურველ შედეგს რომ მიაღწიონ. შეგახსენებთ, რომ წინა სეზონში, როცა სწორედ „დილა“ მიიჩნეოდა თბილისის „დინამოს“ ერთადერთ და რეალურ კონკურენტად, „ტორპედოსთან“ ოთხიდან სამი მატჩი წააგო!

...ამ გუნდებს შორის პირველი წრის მატჩი, მართალია, უგოლო ფრედ დამთავრდა, მაგრამ ქუთაისელ პუბლიკას ნამდვილად არ მოუწყენია, - იმდენად სანახაობრივი მატჩი გამოდგა. თანაც, იმ შეხვედრაში ჩინებულად გაისარჯა ორივე გუნდის მეკარე: **მაქსიმე ქვილითაია** („ტორპედო“) და **ნუკრი რევიშვილი** („დილა“).

ალსანიშნავია, რომ ნუკრი რევიშვილი მშობლიური ქალაქის სტადიონს... რვაწლიანი განშორების მერე დაუბრუნდა და იმის მიუხედავად, რომ ამჯერად სხვა გუნდის ღირსებას იცავს, ქუთაისელმა გულშემატკივარმა ერთობ თბილი დახვედრა მოუწყო „დილასა“ და საქართველოს ნაკრების მეკარეს.

## ზესტაფონი - მეტალურგი

პირველი წრე: 0:0

დისკვალიფიკაცია: **გიორგი გავაშელიშვილი** (მეტალურგი)

XIV ტურის კიდევ ერთი საინტრიგო შეხვედრა, სადაც მართლაც ძნელია რომელიმე გუნდის შანსები მეტოქეზე მეტად შეაფასო; თანაც, არც ის დაგვავიწყდეს, რომ „ზესტაფონი“ დღესდღეობით მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩება „მეტალურგს“ და არც ის ფაქტი, რომ სწორედ ეს ორი გუნდი (პლუს - თბილისის „დინამო“) მიიჩნევა ბოლო 7 წლის განმავლობაში საქართველოში ყველაზე წარმატებულ კლუბებად!

ეგ კი არა, სულ ახლო წარსულში სწორედ „ზესტაფონისა“ და „მეტალურგის“ პაექრობებში ირკვეოდა საქართველოს ჩემპიონის ვინაობა! რაც შეეხება ახლანდელ სიტუაციას, მოლოდინისამებრ, „მეტალურგი“ კვლავაც რჩება ევროტურნირების საგზურის მოპოვების რეალურ კანდიდატად, „ზესტაფონის“ ქომაგები კი იმედიანად შესცქერიან არცთუ დიდი ხნის წინათ კლუბში მომხდარ საკადრო ცვლილებას: გუნდის მთავარ მწვრთნელად ხომ **გია გეგუჩაძე** დაინიშნა, ვისი ხელმძღვანელობითაც იმერულმა კლუბმა პირველი საჩემპიონო ტიტული მოიპოვა 2011 წელს!

სხვათა შორის, „ზესტაფონის“ გარდა, გეგუჩაძეს საქართველოში სამ გუნდში უმუშავია და ისე მოხდა, რომ ნახევარწლიანი პაუზის მერე დაბრუნებულს, ზედიზედ სამივე მატჩი სწორედ... ყოფილ გუნდებთან მოუწია: „დინამოსთან“, „ტორპედოსთან“, „მეტალურგთან“. თუმცა, აქვე დავაზუსტოთ: დღევანდელი „მეტალურგი“ 90-იანი წლების „გორდას“ სამართალმემკვიდრე არ არის, მაგრამ ორივე გუნდი ხომ რუსთავს ეკუთვნის?!.

## სპარტაკი - დინამო

პირველი წრე: 0:2

დისკვალიფიკაცია: **ლაშა ჩაფიძე** (სპარტაკი) - **ლევან ხმალაძე** (დინამო)

ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ „სპარტაკის“ მდგომარეობას უიმედო თუ არა, კრიტიკული ნამდვილად ეთქმოდა. მაგრამ, ახალი მთავარი მწვრთნელის **კახა კაჭარავას** მოსვლის შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ „სპარტაკმა“ დღევანდელ მეტოქესაც მედგარი წინააღმდეგობა გაუწიოს.

თუმცა მასპინძლებს ეს რომ გაუჭირდებათ, ფაქტია: „დინამოს“ მთავარ მწვრთნელს **დუშან უჰრინს** თუ უპრობლემოდ შეუძლია თავისი გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელის **ლევან ხმალაძის** სრულფასოვნად ჩანაცვლება, აი, **კახა კაჭარავას** ასეთი ფუფუნება ნამდვილად არა აქვს. ყოველ შემთხვევაში, ჩემპიონატის უპირობო ფავორიტთან სამი წამყვანი ფეხბურთელის მოსაკლისება პატარა საქმე ნამდვილად არ არის: **ლაშა ჩაფიძე** დისკვალიფიცირებულია, ხოლო **ნიკა კვეკვესკირი** და **გიორგი თექთურმანიძე** „სპარტაკში“ იჯარით სწორედ „დინამოდან“ არიან გადასულნი და დღეს მოედანზე გასვლის უფლება არა აქვთ.

...როგორც ფეხბურთელს და მერე, როგორც მწვრთნელს, კახა კაჭარავას არაერთი სეზონი გაუტარებია „დინამოში“; თუმცა, დღეს უკვე მეტოქის რანგში უნდა დაუპირისპირდეს ყოფილ კლუბს და სერიოზული საკადრო პრობლემების მიუხედავად, უბრძოლველად არაფერს დათმობს. თანაც, არახალი ამბავია, რომ „დინამოსთან“ ყველა გუნდს განსაკუთრებული მოტივაცია ამოძრავებს ხოლმე...

## გურია-სიონი

პირველი წრე: 0:2

ლანჩხუთელთა გუნდის საოცრებები გრძელდება და მხოლოდ იმასღა შეგახსენებთ, რომ სწორედ „გურიაა“ ერთადერთი გუნდი, საკუთარ მოედანზე (ისიც - ნეიტრალურ სარბიელზე, ანუ, სხვა ქალაქ(ებ)ის სტადიონზე) ასპროცენტიანი შედეგი რომ აქვს!

თუმცა, **რომან პოკორას** გუნდი მხოლოდ საშინაო მატჩებში კი არ ყოჩაღობს: უკვე სტუმრადაც დაიწყო ქულათა მოგროვება და ძალიან, ძალიან ბევრისთვის მოულოდნელად... მესამე ადგილზე იმყოფება! თუმცა, დღეს „გურიას“ ისეთი მეტოქე ჰყავს, ბოლო დროს ასევე საგრძნობლად რომ მოუმატა და ერთი თვის წინ გასავარდნი ზონის სიახლოვეში მყოფ „სიონს“ უკვე... ზედა ექვსეულში მოხვედრაზეც გაუჩნდა პრეტენზია.

ვერაფერს ვიტყვით: მართლაც ეფექტიანი აღმოჩნდა კლუბის დირექტორის, **ლადო ბურდულისათვის** მთავარი მწვრთნელის ფუნქციის შეთავსებაც: მისი ხელმძღვანელობით „სიონმა“ სამ მატჩში 7 ქულა აიღო!

## ჩიხურა-ვიტ ჯორჯია

პირველი წრე: 2:0

გამოცდილი სპეციალისტის, **სოსო ფრუიძის** დამოძღვრილი „ჩიხურა“ სტაბილურად ასპარეზობს და აბსოლუტურად ლოგიკურიც არის ამ გუნდის ხილვა მეორე ადგილზე, რაც მთავარია, გუნდს ეტყობოდა თამაშის „საკუთარი ხელწერა“ და თუ გავითვალისწინებთ პირველი ეტაპის ბოლომდე დარჩენილი მატჩების განრიგსაც, იმის ვარაუდიც შეიძლება, რომ „ჩიხურას“ სავსებით ხელეწიფება ზამთრის პაუზას სწორედაც პირველ სამეულში შეხვდეს.

აი, „ვეტერინარებს“ კი აბსოლუტურად განსხვავებული მიზნები აქვთ, თუმცა **ზურაბ ბერიძის** ახალგაზრდულმა გუნდმა წინა ტურში მოპოვებული უმნიშვნელოვანესი გამარჯვებით წარუმატებელი სერია დაამთავრა და ამჟამად მეტ-ნაკლებად „უხიფათო“ პოზიციაზეც იმყოფება.

## ზუგდიდი-მერანი

პირველი წრე: 0:2

დისკვალიფიკაცია: **შოთა ბაბუნაშვილი, ლაშა კუჭუხიძე, კიჭი მელიავა, პაპუნა ფონიავა** (ყველა მერანი)

ჩემპიონატში ერთადერთი მატჩის მოგება „ზუგდიდმა“... სამი თვის წინათ შეძლო! არანაკლებ ხანგრძლივი კი არა, ბევრად უფრო კატასტროფული სერია აქვს „მერანსაც“: მარტვილურმა გუნდმა ზედიზედ 7 მატჩი წააგო და ისეთი „ტემპით“ დაეშვა სატურნირო ცხრილის ფსკერისკენ, ცოტა არ იყოს, ძნელი წარმოსადგენიც არის, თუ როდის შეჩერდება ეს ვარდნა...

...მეგრული დერბის უკომპრომისობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ამ გუნდებს შორის ჩატარებული წინა 7 მატჩიდან არც ერთი დამთავრებულა საყაიმო ანგარიშით; დაახლოებით ასეთივე უკომპრომისო შეხვედრას უნდა ველოდოთ დღესაც, ოღონდ, გავბედავთ და ვიტყვით, რომ წარმატების მეტი შანსი უფრო მასპინძლებს უნდა ჰქონდეთ: ჯერ ერთი, „ზუგდიდის“ მთავარი მწვრთნელის რანგში პირველი საშინაო მატჩი უნდა ჩაატაროს გიორგი **დარასელიამ.**

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი კი სტუმართა, ფაქტობრივად, აუნაზღაურებადი საკადრო პრობლემებია: დებიუტანტი-მწვრთნელი **კახა ჩხეტიანი** ისედაც არ არის განებივრებული გრძელი სათადარიგოთა სკამით და ახლა კი დისკვალიფიკაციის გამო ერთბაშად ოთხი (!) წამყვანი ფეხბურთელი არ ეყოლება!..

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. დილა-ტორპედო

ტურის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მატჩი გორში გაიმართება, სადაც „დილა“ ქუთაისის „ტორპედოს“ უმასპინძლებს. ცხრილს თუ გადახედავთ, დაინახავთ, რომ ეს გუნდები ექვსეულში დამკვიდრებისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტები არიან და, ცხადია, „დილა“-“ტორპედო“ ამითაცაა ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი.

„ტორპედო“ ბოლო შეხვედრებში ველარ ჩაუქობს - ჩემპიონატში წინა ოთხი თამაში წააგო. „დილას“ რაც შეეხება, ბოლო ტურში „დინამოს“ სტუმრად ფრედ ეთამაშა და „ტორპედოსთან“ შეხვედრისთვის ცუდ ხასიათზე არ უნდა იყოს.

თამაშის წინ „ტორპედოს“ ერთ-ერთ საკვანძო ფეხბურთელს, ახალგაზრდული ნაკრების საყრდენ ნახევარმცველ მერაბ გიგაურს რამდენიმე კითხვა დავუსვით. „დილასგან“ კი რესპონდენტად გუნდის მთავარი მწვრთნელი რამაზ სოლოლაშვილი შევარჩიეთ...

# მოტივაცია გამოცდილების ნინააღმდეგ



## მერაბ გიგაური
## ყველაფერი არასაკმარისი გამოცდილების ბრალია

- წინა შეხვედრებში, ალბათ, იმიტომ ვერ მივაღწიეთ ჩვენთვის სასურველ შედეგს, რომ არ გვიმართლებდა, თორემ ბოლომდე ვიხარჯებოდით. წარუმატებლობების სერია „დილასთან“ უნდა დავასრულოთ.

**- „ტორპედო“ ახალგაზრდული გუნდია, სეზონი კარგად დაიწყო, თუმცა სტაბილურობის შესანარჩუნებლად საჭირო ჯანი გუნდს, ალბათ, არ აღმოაჩნდა...**

- ეტყობა, დავიღალეთ, გუნდის ბირთვს 20 წლის ფეხბურთელები შევადგენთ, გამოცდილი მოთამაშე ჩვენთან ცოტაა და „ტორპედოს“ ბოლოდროინდელი წარუმატებლობები არასაკმარისი გამოცდილებითაც უნდა აიხსნას.

**- გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ „დილასთან“ რა შანსი უნდა ჰქონდეს ასეთ „ტორპედოს“?**

- ჩვენი კოზირია ახალგაზრდული ჟინი და შემართება. „დილასთან“ შეხვედრაში ყველაფერს გავაკეთებთ წარმატების მისაღწევად.

**- წაგებების 4-მატჩიანი სერია იმის ბრალიც ხომ არ არის, რომ მეტოქეებმა უკვე კარგად შეისწავლეს თქვენი სათამაშო სტილი?**

- არა მგონია, რადგან ჩვენ სხვადასხვა ტაქტიკით ვთამაშობთ, მაგალითად, „ზესტაფონთან“ ხუთი მცველით ვითამაშეთ, სხვა შეხვედრებში კი ოთხი მცველით.

## რამაზ სოლოლაშვილი
## რისკზე წასვლის საშუალება არ გვაქვს



**- რატომ ჩაითვალა „დინამოსთან“ ფრე მიღწევად „დილასთვის“, როცა თქვენს გუნდში საკმაოდ ბევრი გამოცდილი ფეხბურთელია?**

- იმ თამაშის მსვლელობიდან გამომდინარე და იქიდანაც, რომ „დინამო“ ჩემპიონატის ლიდერია, ასეთ გუნდთან სტუმრად ფრე ურიგო შედეგი არ უნდა იყოს. ის ქულა, სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ძალიან გვჭირდებოდა. რაც შეეხება „დილას“ ფეხბურთელებს, მართლაც ისეთი კონტინგენტი გვყავს, რომ გუნდმა სამეულისთვის იბრძოლოს.

**- „ტორპედომ“ ბოლო ოთხი მატჩი წააგო და წავსის გატეხას „დილასთან“ ეცდება...**

- რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის შემდეგ „ტორპედო“ ძალიან მოტივირებული იქნება და ეცდება, საკუთარი თამაში ითამაშოს, რასაც ჩვენი ტაქტიკა უნდა დავუპირისპიროთ.

**- საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ არაერთხელ აღნიშნა, გიორგი ქვილითაია გაცილებით მეტს იმსახურებსო, თუმცა მას „დილაში“ მცირე სათამაშო დრო ეძლევა...**

- გული მწყდება, რომ ქვილითაიას სასტარტო შემადგენლობაში ვერ ვათამაშებთ, მეტწილად ერთი ცენტრალური თავდამსხმელი გვყავს ხოლმე. გამოცდილი ირაკლი მოდებაძე ჩემპიონატის ბომბარდირებში დაწინაურდა, თან ისიცაა, რომ ის და ქვილითაია ერთი სტილის თავდამსხმელები არიან. „დინამოსთანაც“ გვინდოდა ქვილითაიას მოედანზე შეყვანა, მაგრამ ორი იძულებითი შეცვლის გაკეთებამ მოგვიწია და ეს ახალგაზრდა თავდამსხმელიც ველარ ვათამაშეთ. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, რისკზე წასვლის საშუალება არ გვაქვს და ეს ფაქტორიც გასათვალისწინებელია. გვინდა, ქვილითაიას და გიორგი აბურჯანიას რაც შეიძლება მეტი სათამაშო დრო მივცეთ და როგორც კი ამის საშუალება იქნება, ამას გავაკეთებთ კიდეც.

**- „ტორპედოსთან“ მატჩს „დილა“ დანაკლისით ხვდება?**

- კახა ალადაშვილსა და ლექსო კვახაძეს ისეთი ტრავმები აქვთ, რომ მომდევნო შეხვედრასაც გამოტოვებენ. მცირე ტრავმა აწუხებს მოდებაძეს, თუმცა, ალბათ, მოახერხებს მოედანზე გასვლას.

**დავით თავართქილაძე**

SOS

# გურიას ლიკვიდაცია ემუქრება! ფეხბურთელები სიონთან თამაშზე გასვლას არ აპირებენო...




**მიუხედავად საქართველოს ჩემპიონატში წარმატებული თამაშისა, ლანჩხუთის „გურია“ უმძიმეს ფინანსურ კრიზისშია. უმაღლეს ლიგაში გადასვლისა და გრიგოლეთის საწვრთნელი ბაზის დაბრუნების შემდეგ, როგორც კლუბის მესვეურები აცხადებდნენ, სპონსორთა რამდენიმე ვარიანტი განიხილებოდა. მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ზაზა ურუშაძე თვეების წინ ამბობდა, რომ კლუბს პატრონი აუცილებლად ეყოლებოდა და „გურია“ მაჩანჩალა არ იქნებოდა. ამ მოლოდინში რამდენიმე თვე გავიდა. რამდენიმე დღის წინათ ურუშაძემ განაცხადა, რომ კლუბის ხელმძღვანელობა მას სპონსორს ჰპირდებოდა, თუმც „დღეს-ხვალეს“ ძახილში თვეები გავიდა...**

უკვე საქმე იქამდეც მივიდა, რომ კლუბი დამფუძნებელს დაუპირისპირდა. ამონარიდი „გურიის“ პრესსამსახურის განცხადებიდან:

*„რაიონის ბიუჯეტიდან „ლანჩხუთის გურიას“ მიმდინარე გათამაშების პერიოდში მხოლოდ ერთხელ (ისიც გამგებლის დაჟინებული თხოვნის საფუძველზე) გამოეყო 85 000 ლარი (?!). 2014 წლის ბიუჯეტში პროექტის სახით წარვადგინეთ მოთხოვნა 1 700 000 ლარზე, თანხის ნაწილი უნდა მოხმარდეს ფეხბურთელთა, კლუბის თანამშრომელთა მიმდინარე წლის სახელფასო დავალიანების დაფარვას. ადგილობრივი პრესის ფურცლებზე საკრებულოს თავმჯდომარის მხრიდან კეთდება განცხადება, თითქოსდა, ამ თანხის გამოყოფის შემთხვევაში ბიუჯეტი ვერ დააფინანსებს საბავშვო ბაღებს. მიგვაჩნია, რომ ეს თემით სპეკულირებაა და მეტი არაფერი. მით უმეტეს, იმ ფონზე, რომ გასულ ჩემპიონატში, როცა „გურია“ პირველ ლიგაში გამოდიოდა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან კლუბის დასაფინანსებლად გამოიყო 900 000 ლარი, ამას გარდა, ბანკიდან აღებულ იქნა 400 000 ლარის კრედიტი. საქმე გვაქვს პარადოქსთან: თუ პირველ ლიგაში ჯამში დაიხარჯა 1 300 000 ლარი, უმაღლეს ლიგაში წარმატებით მოასპარეზე გუნდისთვის 1 700 000 ლარით დაფინანსებაზე უარს ამბობენ (ამ თანხაში გათვალისწინებულია კრედიტის დაფარვაც). და ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის გურია“ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს და მისი დაფინანსება სწორედ მუნიციპალიტეტის ვალდებულებაა, რომელმაც ან უნდა შეინახოს, ანდა გამოაცხადოს მისი ლიკვიდაცია“*, - ნათქვამია „გურიას“ პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ლანჩხუთის საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან გიგინეიშვილი** ბრალდებას არ იღებს და აცხადებს, რომ სუბორდინაცია დარღვეულია:

*„ბუნებრივია, ამხელა თანხით კლუბის დაფინანსება ვერ მოხდება. საერთოდ, საინტერესოა, ვისი დაწერილია ეს ტექსტი. ამაზე საკმაოდ მკაცრი მოთხოვნა მექნება: ეს თანხა რომ გამოვყოთ ბიუჯეტიდან, გამოდის, რომ მუნიციპალიტეტში არსებული 14 ა(ა)იპ-ი უნდა გაჩერდეს და ყველანაირი სერვის-მომსახურება შეწყდეს. განცხადებაში საუბარია, რომ ადრე კლუბისთვის 900 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. ზუსტად ვარ ინფორმირებული, რომ ამხელა თანხა კლუბისთვის არ გამოყოფილა. აცხადებენ, რომ კლუბის დავალიანება ბანკების მიმართ არის 500 ათასი ლარი და რომ ეს თანხა ჩვენ მოგვეცით და გადავიხდითო. უკაცრავად, მაგრამ ეს თანხა კლუბისთვის პირდაპირ არავის მიუცია. თანხა კრედიტის სახით აიღო მუნიციპალიტეტმა და ის გადაიხდის. პრესსამსახური უნდა დაფიქრდეს იმაზე, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი შემოსავალი სულ 1.2 მილიონს შეადგენს. აქედან გამომდინარე, 1.7 მილიონის მოთხოვნა მუნიციპალიტეტის ყველა მცხოვრების დაცინვაა! საერთოდ, თუ განხილვის პროცესში მდგარი საკითხის ასე გამომზეურება და დამფუძნებელზე შეტევა „გურიას“ ხელმძღვანელობის პოზიციაა, ეს უკვე ცალკე თემაა, რადგან შესაძლო სპონსორზე ისინი 5 თვეა ლაპარაკობენ. მათ აუცილებლად ვკითხავ, სად არის დაპირებული სპონსორი“?!*

დაგვიკავშირდნენ „გურიას“ ყოფილი დირექტორატის წევრები და პოზიციის დაფიქსირება გვთხოვეს: „შეშფოთებულები ვართ კლუბში არსებული ფინანსური პრობლემის გამო. ასევე, ვწუხვართ, რომ კლუბის დღევანდელი ხელმძღვანელობა უკვე მერამდენედ ავრცელებს არასწორ ინფორმაციას, თითქოს, უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად ბიუჯეტიდან 1.3 მილიონი მივიღია. გვსურს, გითხრათ, რომ ჩვენზე მეტი დაფინანსების მქონე კლუბები უმაღლესი ლიგიდან გავარდნენ და პირველი ლიგიდან აღზევებაც ვერ მოახერხეს. „გურიას“ უმაღლეს ლიგაში გადასვლა კი ბიუჯეტს დაუჯდა არა 1.3 მილიონი, არამედ ამის ნახევარი - 750 ათასი ლარი!!! რაიონის ხელმძღვანელობას შევთავაზეთ ექვსეულში მოხვედრა და ხარჯთაღრიცხვაც წარვუდგინეთ - 500 ათასი ლარი, ამასთან, ვალდებულება ავიღეთ, რომ სამი თვის განმავლობაში ფეხბურთელებს დაფინანსების გარეშე გავაჩერებდით.

## ბოიკოტი

გუშინ გვიან საღამოს „გურიას“ „ფეისბუქის“ გვერდზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფეხბურთელები „სიონთან“ დღევანდელი მატჩის სათამაშოდ არ გავლენ. ისინი მადლობას უხდიან გულშემატკივრებს მხარდაჭერისა და ერთგული ქომაგობისთვის, თუმცა ამდენი შეუსრულებელი დაპირების შემდეგ, იძულებულები არიან, ასეთი ნაბიჯი გადადგან.

„სამწუხაროა, რომ არანაირი ხელშეწყობა არ აქვს კლუბს, რომელიც მესამე ადგილზეა და ამ დროს, დაშლის საფრთხის ქვეშ დგას. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ შედეგი მიგველო და მივიღეთ კიდეც, თუმცა, საპასუხოდ, მხოლოდ დაპირებებია. ასე გაგრძელება შეუძლებელია“, - აღნიშნულია განცხადებაში.

დავუკავშირდით ლანჩხუთის გამგებელ **ზაზა ურუშაძეს**, რომელიც ბოიკოტთან დაკავშირებით ინფორმირებული არ ყოფილა. „კლუბს ჰყავს დირექტორი და თავად უნდა მოაგვაროს ეს საკითხი“, - გვითხრა ურუშაძემ.

„გურიის“ მედოფიცერმა **ლევან გიორგაძემ** კი ეს გვითხრეს: „დღეს (ანუ პარასკევს - ავტ) კლუბის ოფისში იყო შეხვედრა, რომლის დროსაც შედგა შეთანხმება, რომ გუნდი თამაშზე აუცილებლად გავა. საღამოს ინფორმაციას არ ვფლობთ, თქვენგან გავიგეთ“.

» მე-4 გვერდზე

სპეკულაციები

# რას აპირებს უჰრინი?

ჩეხური გამოცემა „დენიკის“ ინფორმაციას, რომ შესაძლოა, „პლზენი“ თბილისის „დინამოს“ თავკაცმა **დუშან უჰრინმა** ჩაიბაროს, საფეხბურთო წრეებში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა.

წინაისტორია გეცოდინებათ - ახლახან ჩეხეთის ნაკრები სწორედ ამ კლუბის დამრიგებელ **პაველ ვრბას** ჩააბარეს. მართალია, ის სეზონს „პლზენში“ ჩაამთავრებს, მაგრამ კლუბი მის შემცვლელს უკვე ეძებს. ჩეხური სპორტული მედიის ინფორმაციით, ამ პოსტზე ორი მთავარი კანდიდატია - **ზდენეკ ზემანი** და **დუშან უჰრინი-უმცროსი**. „დუკლას“ თავკაცის **ლუბოშ კოზელის** ვარიანტი აღარ განიხილება, რადგან თავის კლუბთან ხელშეკრულება კიდევ 3 წლით გაახანგრძლივა.

რაც შეეხება ზემანს, ის იტალიაში ცხოვრობს და მაღალანაზღაურებად მწვრთნელად ითვლება. ჩეხურ კლუბებს კი გამოცდილი სპეციალისტის პირობების დაკმაყოფილება არ შეუძლიათ.

ამგვარად, მთავარ კანდიდატურად „დინამოს“ ამჟამინდელი დამრიგებელი გამოცხადდა. მეტიც, „დენიკი“ წერდა, რომ „პლზენის“ წარმომადგენლები თბილისშიც იყვნენ მოლაპარაკებებზე. საინტერესოა, რომ ეს ინფორმაცია „პლზენმა“ არც უარყო და არც დაადასტურა.

თავად უჰრინმა კი „სპორტ ბლესკთან“ ჩემპიონთა ლიგაზე მოთამაშე გუნდში გადასვლის სურვილი საჯაროდ დაადასტურა: *„მე „პლზენის“ მწვრთნელად? რა თქმა უნდა, ეს საინტერესო იქნებოდა, „პლზენი“ ხომ ჩეხეთში ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. მაგრამ ამჟამად თქვენს ინფორმაციას ვერ დავადასტურებ, რადგან „პლზენიდან“ არავინ შემხმიანებია. ჩემი აზრით, „პლზენს“ დიდი პოტენციალი აქვს და მისი მწვრთნელობა სერიოზული გამოწვევაა“.*

დატოვებს თუ არა უჰრინი თბილისის „დინამოს“ და კარიერას სამშობლოში გააგრძელებს? ამ კითხვით „ლელომ“ ჩეხ სპეციალისტს მიმართა.

*„პირდაპირ ვამბობ, რომ მე და „პლზენს“ მოლაპარაკება არ გვქონია. დღეს მხოლოდ „სპარტაკთან“ თამაშზე ვფიქრობ“*, - ლაკონიურად გვიპასუხა უჰრინმა და თემის განვრცობა არ ისურვა.

არადა, ბევრი კითხვა გვქონდა: რას ნიშნავდა „პლზენის“ პრესსამსახურის ორჭოფული პასუხი და თავად მისი კომენტარი?

ალბათ, პაველ ვრბას მსგავსად, უჰრინიც სეზონს თბილისის „დინამოში“ ჩაამთავრებს, მაგრამ რა მოხდება მომავალი სეზონის დაწყებამდე, კაცმა არ იცის. იქამდე დიდი დროა და საჩქაროც არაფერია.

სხვათა შორის, დიდი ხანია მუსირებს ვერსია, რომ უჰრინის წასვლის შემთხვევაში, გუნდს მარტვილის „მერანის“ ყოფილი დამრიგებელი, ან უკვე „დინამოს“ დუბლების თავკაცი **მალხაზ ჟვანია** გაწვრთნის. მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ ვერსიაა და არავინ ადასტურებს.

იყო სხვა ვერსიებიც, მაგრამ უჰრინი, ჯერჯერობით, „დინამოშია“ და შეგირდებთან ერთად „სპარტაკთან“ დღევანდელი მატჩისთვის ემზადება...

**მერაბ მამულაშვილი**



დუშან უჰრინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

SOS

# გურიას ლიკვიდაცია ემუქრება!

« მე-3 გვერდიდან

იყო სეზონები, როცა 6 თვე არ გვქონდა დაფინანსება, გასულ სეზონშიც სამთვიანი დავალიანება გვქონდა. ზაზა ურუშაძემ გვითხრა, რომ ბიუჯეტიდან თანხას ვერ გასცემდა. კლუბის ამჟამინდელმა დირექტორმა კობა მირზაშვილმა კი განაცხადა, რომ მოიყვანდა სპონსორს და რომ ეს საკითხი გადაწყვეტილი იყო. რადგან საქმე კერძო ინვესტორთან გვქონდა, ახალ ხელმძღვანელობას ყველა შტატი გავუთავისუფლეთ. მაშინ გამგებელმა აღნიშნა კიდეც - თუ „გურია" ისევ ბიუჯეტს უნდა დაეფინანსებინა, ჩვენი გათავისუფლება უმადურობა იქნებოდა და ამას არ გააკეთებდა. დღეს კი აღმოჩნდა, რომ კლუბის ახალმა ხელმძღვანელობამ სპონსორის თემა ჩვენს ჩასანაცვლებლად გამოიყენა, ამით შეცდომაში შეიყვანა ადგილობრივი ხელისუფლება და საბოლოოდ, კლუბი უფსკრულის პირას მივიდა. იმედია, პრობლემა მოგვარდება და „გურიას" მომავალი ვილაცების პირად ინტერესებს არ შეეწირება".

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან

## გურიას სპორტული დირექტორი: ლანჩხუთელებისთვის გურია მხოლოდ ფეხბურთი არ არის

**„გურიას" სპორტული დირექტორი თემურ ალექსაია „ლელოსთან" საუბარში ამბობს, რომ კლუბის მიმართ ასეთი დამოკიდებულება გაუგებარია:**

- ლანჩხუთის „გურია" მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არაკომერციული იურიდიული პირია და მისი დაფინანსება მუნიციპალიტეტის ვალდებულებაა. ორი ვარიანტია, კლუბი შეინახოს ან მასზე უარი თქვას და „გურიას" ლიკვიდაცია გამოაცხადონ. იმედია, რომ საბოლოოდ, ყველაფერი კლუბის სასარგებლოდ გადაწყდება, რადგან ლანჩხუთელებისთვის „გურია" მხოლოდ ფეხბურთი არ არის. მისი არსებობა, გაძლიერება და წარმატება მთელი რეგიონისა და ქვეყნისთვისაა მნიშვნელოვანი.

**- საკრებულო რა თანხაზეა თანახმა?**

- დაახლოებით, 600 ათას ლარზეა თანახმა, მაგრამ ხომ იცით, უმაღლესი ლიგის გუნდს რა სახსრები ესაჭიროება. ეს ბიუჯეტი კი, შესაძლოა, ნახევარი სეზონიც არ გვეყოს. აქედან გამომდინარეა, მილიონზე მეტს რომ ვითხოვთ.

**- დაახლოებით რამდენი?**

- სავარაუდოდ, 1 ან 1.2 მილიონი ლარი.

**- იქნებ მართლა არ აქვს რაიონს კლუბის შენახვის საშუალება? საერთოდ, რაიონის ბიუჯეტი რამდენია?**

- ეს ახლა დადგინდება. ბევრი არაა, დაახლოებით, 4 მილიონს აღწევს. ჩვენც კარგად გვესმის, რომ ლანჩხუთის რაიონის შესაძლებლობები შეზღუდულია, მაგრამ „გურიას" რა ვუყოთ, რომელიც ხალხის სიხარული და იმედია? ისიც გაითვალისწინეთ, რომ ჩვენ გასასტუმრებელი გვაქვს ბანკის ვალი - 400 ათასი ლარი. 600 ათასი თუ ჩაგვირიცხეს, გამოდის, რომ ვალის გასტუმრების შემდეგ გუნდისთვის წელიწადზე მხოლოდ 200 ათასი დარჩება. სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, ვითარება შეიცვალოს. გვქონდა მოლაპარაკება, რაშიც ლანჩხუთის გამგებელია ჩართული. გაჩნდა იმედი, რომ შესაძლოა, თანხა ცენტრალური ბიუჯეტიდან დარიცხონ, ხოლო 400-ათასიანი დავალიანება მუნიციპალიტეტმა დაფაროს, ან მისი გადახდა გადაგვივადონ.

**- თქვენ სპონსორის მოზიდვის იმედი გქონდათ. ეს აღარ გამოდის?**

- შესაძლო ინვესტორს ჯერ საბოლოო პასუხი არ უთქვამს. მაგრამ მას დეკემბრის დასაწყისში ველოდებით და იმედია, საკითხი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები


ოთარ მარცვალაძე

# მარცვალაძე და ხოჯავა გზაგასაყარზე

ოქტომბერში ცნობილი გახდა, რომ რუსეთის პირველი ლიგის ბინადარი ვლადიკავკაზის „ალანიაში" ფინანსური კრიზისი იყო და ფეხბურთელები 4 თვის განმავლობაში ხელფასებს ვერ იღებდნენ. ოსური კლუბის ბედი ჩვენთვის საინტერესო იმით არის, რომ იქ ზაფხულში **ოთარ მარცვალაძე** და **გოჩა ხოჯავა** გადავიდნენ. კლუბის პრეზიდენტის **ვალერი გაზაევის** იმედები არ გამართლდა - ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში ერთ დროს რუსეთის ჩემპიონის ფინანსური მხარდამჭერი ვერ მოიძებნა. გაზაევმა თქვა კიდეც, რომ „ალანია" ტურნირს დატოვებს, რადგან რესპუბლიკის ბიუჯეტი ამდენს ველარ აუდის, სპონსორი კი არ გვყავსო...

ამ განცხადების შემდეგ კლუბის ფინანსური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. 23 ნოემბერს ვლადიკავკაზელები ვლადივოსტოკში „ლუჩ ენერგიასთან" საშემოდგომო ეტაპის ბოლო შეხვედრის სათამაშოდ აღარ ჩავიდნენ და ტექნიკური წაგება (0:3) ჩაეთვალათ.

კლუბის ხელმძღვანელობას მაინც აქვს იმედი, რომ გუნდი კვლავ შეიკრიბება და II წრისთვის მოემზადება. სხვათა შორის, „ალანიამ" უკვე დაადასტურა, რომ იანვარში თურქეთში დაგეგმილ რუსეთის პირველი ლიგის თასზე ითამაშებს.

აპირებენ თუ არა ქართველები „ალანიაში" დარჩენას? 29 წლის ოთარ მარცვალაძე ამბობს, რომ გაურკვევლობაშია: *„გაზაევი არ აჭარბებს, ოთხი თვეა, ხელფასები არ გაუციათ. დიდი შანსია, გუნდი დაიშალოს, კლუბი კი გაკოტრებულად გამოცხადდეს. თუმცა, არის იმედიც - შესაძლოა, კლუბი ხელახლა დარეგისტრირდეს და ფინანსური პრობლემები მოაგვაროს. მეც ვითარების გარკვევას ველოდები და გადაწყვეტილებას ამის მიხედვით მივიღებ. თუ ყველაფერი კარგად იქნება, დავრჩები და ისევ ამ გუნდში ვითამაშებ. „ალანიასთან" 2-წლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და ასე იოლად ვერ წამოვალ. ხელშეკრულება მხოლოდ კლუბის გაკოტრების შემთხვევაში დაირღვევა და მერე კი ნამდვილად მომიწევს ახალი გუნდის მოძება. არადა, საქმე კარგად მიდიოდა და მეგონა, პრემიერლიგას დავუბრუნდებოდით. შესაძლოა, ბევრისთვის დაუჯერებელი იყოს, მაგრამ ვლადიკავკაზში თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი. ქართველების მიმართ ხალხისგან აგრესია კი არა, პატივისცემა მოდიოდა. თანაც, კლუბში ვალერი გაზაევი და ვლადიმერ გუცაევი რომ არიან, დამიჯერეთ, იქიდან საკუთარი ნებით წასვლა ძნელია. მათ ფეხბურთიც კარგად იციან და მოთამაშეთა პრობლემებიც".*

მარცვალაძეს „ალანიაში" სექტემბრის მერე აღარ უთამაშია, ისევე, როგორც 28 წლის ხოჯავას. ორივე ტრავმირებული იყო. ოთარს შარშანდელმა პრობლემებმა შეახსენა თავი - 2012 წლის დასაწყისში კუნთი გაუწყდა და, ფაქტობრივად, მთელი წელი გაუცდა. მერე გერმანიაში ოპერაცია გაიკეთა და თამაში მხოლოდ წლეულს, გაზაფხულზე, ხაბაროვსკის „სკა ენერგიაში" დაიწყო. „ალანიაშიც" არ გაუმართლა:

*„საბოლოოდ მოვმჯობინდი, თბილისში ვარ და მალე ვარჯიშსაც დავიწყებ. მე უფრო ის მადარდებს, სად დავიწყებ ახალ სეზონს"*, - ამბობს მარცვალაძე.

შეგახსენებთ, რომ „ალანიის" გულშემატკივრებმა მარცვალაძე სექტემბერში თვის გუნდის საუკეთესო მოთამაშეთა შორის დაასახელეს, ხოლო რუსულმა გამოცემა „ევროფუტბოლმა" ნაციონალური საფეხბურთო ლიგის (პირველი ლიგა) წარჩინებულ ლეგიონერთა ხუთკაციან სიაში შეიყვანა.

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტსალი. საქართველოს ჩემპიონატი

# მალე კახეთიც...

დაიწყო საქართველოს ფუტსალის ჩემპიონატი, რომელშიც 9 გუნდი მონაწილეობს. ტურნირი ორ წრედ ტარდება. სპორტკომპლექს „არენაში" პირველი ტური ორ დღედ იყო გაყოფილი: ვწერდით, რომ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა „იბერია სტარმა" ახალციხის „ფარვანა" 30:2 დაამარცხა, ხოლო „სტუ-თელასმა" დებიუტანტ თბილისის „გრანდს" 15:0 სძლია.

უხვგოლიანი, ოღონდ, დაძაბული გამოდგა მცხეთის „არმაზისა" და „ქვახრელის" შეხვედრაც, რომელიც პირველის გამარჯვებით 10:9 დასრულდა, ქუთაისის „როდოპოლისმა" კი გორის „დიცს" 11:2 სძლია.

საქართველოს ფუტსალის ასოციაციის (სფა) საპატიო პრეზიდენტმა **კახა დევდარიანმა** გვითხრა, რომ გათამაშება თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით ტარდება. ორგანიზატორებს მხარში ამოუდგნენ სპორტის სამინისტრო და ფეხბურთის ფედერაცია. მისივე თქმით, მიმდინარე სეზონში ეროვნული თასის გათამაშებაც ჩატარდება. შემდეგი კვირიდან კი ეროვნულ ჩემპიონატში კახეთის წარმომადგენელიც ჩაერთვება.

**მერაბ მამულაშვილი**

I ლიგა

A ზონა. XIII ტური

| | |
|---|---|
| მეშახტე-გაგრა | 1:2 |
| კახეთი-კოლხეთი (ფ) | 1:3 |
| მერცხალი-ალგეთი | 2:0 |
| სქური-საპოვნელა | 2:2 |
| იმერეთი-ჩხერიმელა | 3:2 |
| adeli-შუქურა | 0:6 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლხეთი (ფ) | 12 | 10 | 1 | 1 | 28-7 | 31 |
| 2. შუქურა | 12 | 9 | 2 | 1 | 42-11 | 29 |
| 3. საპოვნელა | 12 | 8 | 2 | 2 | 23-10 | 26 |
| 4. დინამო 2 (თბ) | 12 | 7 | 1 | 4 | 30-14 | 22 |
| 5. ალგეთი | 12 | 7 | 1 | 4 | 16-11 | 22 |
| 6. გაგრა | 12 | 5 | 5 | 2 | 23-13 | 20 |
| 7. მეშახტე | 12 | 5 | 2 | 5 | 22-20 | 17 |
| 8. ჩხერიმელა | 12 | 4 | 3 | 5 | 19-23 | 15 |
| 9. სქური | 12 | 3 | 1 | 8 | 14-29 | 10 |
| 10. იმერეთი | 12 | 2 | 3 | 7 | 10-26 | 9 |
| 11. ადელი | 12 | 2 | 2 | 8 | 13-35 | 8 |
| 12. კახეთი | 12 | 2 | 1 | 9 | 11-31 | 7 |
| 13. მერცხალი | 12 | 1 | 2 | 9 | 8-29 | 5 |

B ზონა. XIII ტური

| | |
|---|---|
| მაჭახელა-ლოკომოტივი | 3:1 |
| ბახმარო-ბეთლემი | 2:3 |
| ჭიათურა-დინამო (ბთ) | 0:1 |
| სასკო-სამგურალი | 5:0 |
| სამტრედია-სტუ | 4:2 |
| დილა 2-საბურთალო | 1:2 |
| კოლხეთი (ხ)-სულორი | 4:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (ბთ) | 13 | 10 | 1 | 2 | 26-8 | 31 |
| 2. სამტრედია | 13 | 10 | 1 | 2 | 25-13 | 31 |
| 3. მაჭახელა | 13 | 9 | 3 | 1 | 23-6 | 30 |
| 4. ჭიათურა | 13 | 8 | 1 | 4 | 19-14 | 25 |
| 5. სამგურალი | 13 | 6 | 3 | 4 | 25-23 | 21 |
| 6. სასკო | 12 | 6 | 1 | 5 | 22-12 | 19 |
| 7. ბეთლემი | 13 | 6 | 1 | 6 | 18-17 | 19 |
| 8. საბურთალო | 12 | 5 | 2 | 5 | 20-15 | 17 |
| 9. დილა 2 | 13 | 5 | 2 | 6 | 19-24 | 17 |
| 10. ლოკომოტივი | 13 | 4 | 1 | 8 | 18-23 | 13 |
| 11. კოლხეთი (ხ) | 13 | 3 | 3 | 7 | 15-29 | 12 |
| 12. სტუ | 13 | 3 | 1 | 9 | 22-30 | 10 |
| 13. ბახმარო | 13 | 0 | 6 | 7 | 11-30 | 6 |
| 14. სულორი | 13 | 1 | 2 | 10 | 7-26 | 5 |

# ერთი კვირის 1000 წვრილმანი

## ლოდინსაც აქვს ზღვარი

**საქმე, რომელიც ნოემბერში უნდა დასრულებულიყო, დეკემბრისთვის გადაიდო. დარჩება თუ არა საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი თემურ ქეცბაია თანამდებობაზე, მკაფიო პასუხი ამაზე ჯერ არ მოგვისმენია. ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა განცხადებები კი გააკეთეს, თუმცა გადაჭრით ჯერ არაფერი უთქვამთ, თითქოს, ტაიმ-აუტი აიღეს...**

ფედერაცია ამ საკითხს მარტო ვერ გადაწყვეტს და ამის მიზეზი ყველამ იცის - **თემურ ქეცბაიას** კონტრაქტი ფედერაციასთან აქვს, ფულს კი სახელმწიფო უხდის. რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს ქართული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ, სახელმწიფოსა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობის გარეშე ამას ვერ შეძლებს. მოკლედ, ნაკრების მწვრთნელის საკითხზე ერთობლივი გადაწყვეტილების მოლოდინში ვართ.

ნაკრების გარშემო დატრიალებულმა არასასიამოვნო ბრალდებებმა კარგი მხოლოდ ის მოიტანა, რომ სახელმწიფოსა და ფეხბურთის ფედერაციას უფრო მჭიდრო თანამშრომლობისკენ უბიძგეს და ვფიქრობ, დიქტატის პერიოდი უკვე წარსულს ჩაბარდა - თანამშრომლობა ჯანსაღი და სასარგებლო იქნება.

ლოდინსაც აქვს ზღვარი. საფეხბურთო სამყარო დაიღალა გაურკვევლობაში ყოფნით და არ უნდა, რომ ასეთ ლოდინში შეხვდეს ახალ წელს - არა მგონია, ვინმე სხვანაირად ფიქრობდეს.

სახელმწიფო სტრუქტურებიდან, თუ არ ვცდები, არავის უთქვამს, ფეხბურთის ფედერაციას დოტაცია შეუწყდება ან შეუმცირდებაო. დახმარების შეწყვეტა-შემცირება კარგს არაფერს მოუტანს ქართულ ფეხბურთს, სხვა საქმეა, თუ დოტაციის გადანაწილებაზე მოხდება მსჯელობა და კამათი.

ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** განაცხადა, პრეზიდენტობის ვადის გასვლის შემდეგ საკუთარ კანდიდატურას აღარ წამოვაყენებო და ასეც რომ არ იყოს, არა მგონია, სახელმწიფომ ფედერაციის დოტაცია კონკრეტული პიროვნების ხელშეწყობად აღიქვას.

ნაკრების გარშემო შექმნილი დაძაბული ფონი ნელ-ნელა ჩაცხრება, ამის სიმპტომები უკვე არის და მის განახლებას ხელი არ უნდა შეუწყოს არასწორმა გადაწყვეტილებამ - ამ ეტაპზე, ალბათ, ეს არის ფეხბურთის ფედერაციის მთავარი ამოცანა.

### თუ მოთამაშე ნიჭიერი და მიზანდასახულია...

საახალწლოდ სხვა საინტერესო ამბებსაც ველოდებით, მაგალითად, თუ რომელ კლუბში გააგრძელებენ კარიერას **თორნიკე ოქრიაშვილი** და **დავით თარგამაძე**. ამ დროისთვის მხოლოდ ერთი ქართველი ფეხბურთელი - **ლევან კობიაშვილი** შემორჩა ევროპის ელიტურ ლიგას და ისიც ამ სეზონის შემდეგ ასრულებს კარიერას. ოქრიაშვილი და თარგამაძე კი ისეთები არიან, „ილიჩივეცზე" ბევრად უკეთეს გუნდშიც რომ შეუძლიათ თამაში. თარგამაძეს სულაც დაგემოვნებული აქვს ბუნდესლიგა.

ზოგადად, ტრანსფერი რთული თემაა, მხოლოდ ფეხბურთელის ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ თუ მოთამაშე ნიჭიერი და მიზანდასახულია, კარგი ტრანსფერის შანსს ღმერთი აუცილებლად მისცემს.

### გადამწყვეტი მომენტი მწვრთნელის კარიერაში

ამასობაში, 17 და 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდის წილისყრა გაიმართა. 19-ანების გუნდი, **ვასილ მაისურაძის** თავკაცობით, მაისში შვეიცარიას, კვიპროსსა და ისრაელს შეხვდება.

მწვრთნელი მაისურაძე ერთხელაც მოექცა ყურადღების ცენტრში, მისმა გაწვრთნილმა ნაკრებმა ერთხელაც მოგვწყვიტა წარუმატებლობებს და შესარჩევში ჩინებულად ითამაშა, ჰოლანდიაც კი დაამარცხა...

მაისურაძე ალღოიანი ფეხბურთელი იყო და მწვრთნელიც ასეთი გამოდგა, კარგად დაიჭირა ის ნიუანსები, რაც ახასიათებს ასაკობრივ ნაკრებებს. სხვისი რა გითხრათ და, მე კი ძალიან მაინტერესებს, როგორი მწვრთნელი იქნება მაისურაძე ისეთ გუნდში, როცა ზრდასრულ ფეხბურთელებთან მოუწევს მუშაობა. იუნიორებიდან დიდებში გადასვლა საინტერესო, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მომენტია მწვრთნელის კარიერაში, რადგან ყველა ვერ ახერხებს ერთნაირად წარმატებული იყოს იქაც და აქაც.

**დავით თავართქილაძე**

იტალია. სერია A. XIV ტურის წინ

# გაჭირვებულთა ჯახი ოლიმპიკოზე

## მილანი სავსე ლაზარეთით...



„მილანს" რობინიოც დააკლდა

### 30 ნოემბერი

**პარმა–ბოლონია 21.00**

**დისკვალიფიკაცია:** როზი, გარგანო (პარმა).
**ტრავმა:** პავარინი, ოკაკა, გალოპა - კერუბინი, ხიმენესი, კრისტალდო.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 2-1-3 | 2-2-2 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 28 თამაში: +9=9-10, (25-26)**

**ჯენოა–ტორინო 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** მანფრედინი - ჟილე, დამბროზიო.
**ტრავმა:** ედუარდო, კუჩკა - როდრიგესი, ლარონდო.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 4-1-1 | 1-3-2 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 20 თამაში: +7=8-5, (23-20)**

### 1 დეკემბერი

**კატანია–მილანი 15.30**

**დისკვალიფიკაცია:** საპატა (მილანი).
**ტრავმა:** ისკო, ალმირონი, ბელუში, ბერგესიო - პაცინი, დე შილიო, ამელია, ძაკარდო, მუნტარი, მექსე, რობინიო, აბატე.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 1-1-4 | 1-3-2 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 16 თამაში: +1=7-8, (13-30)**

**ატალანტა–რომა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** რაიმონდი, იეპესი, დე ლუკა, ჯორჯი, ნიცა, ბელინი, სკალონი, სტენდარდო - ტიტი, ბალცარეტი, ტოროსიდისი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 2-1-3 | 3-3-0 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 29 თამაში: +8=2-19, (31-49)**

**კალიარი–სასუოლო 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** პინილია - ფლორო ფლორესი, ანტეი.
**ტრავმა:** ტერანოვა (სასუოლო).

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 2-1-3 | 3-2-1 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 0 თამაში: +0=0-0, (0-0)**

**კიევო–ლივორნო 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** პელისიერი - დე ლუჩა, ლუჩი.
**ტრავმა:** კალელო, კლეიტონი, ბენტივოლიო - ბოტა.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 1-2-3 | 1-1-4 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 9 თამაში: +8=1-0, (14-3)**

2 დეკემბერი. რომი.
სტადიო ოლიმპიკო
00:00

**ლაციო**

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 1-3-2 | 3-0-3 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 26 თამაში: +12=7-7, (42-29)**

**ნაპოლი**

**დისკვალიფიკაცია:** მაური (ლაციო).
**ტრავმა:** ბიავა, ალფარო, კლოზე - ცუნიგა, ჰამშიკი, მესტო.

სავარაუდო შემადგენლობა




**ინტერი–სამპდორია 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** კრსტიჩიჩი (სამპდორია).
**ტრავმა:** კივუ, იკარდი, მილიტო, მარიგა, სამუელი, კუზმანოვიჩი, ნაგატომო - ბერარდი, სალამონი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 3-3-0 | 2-1-3 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 34 თამაში: +16=12-6, (50-33)**

**იუვენტუსი–უდინეზე 21.30**

**დისკვალიფიკაცია:** ასამოა (იუვენტუსი).
**ტრავმა:** ლიხტშტაინერი, პეპე, ჯოვინკო, ბარცალი - მაიკოსუელი, რანიჯი, მურიელი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 5-0-1 | 2-0-4 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 36 თამაში: +24=5-7, (63-28)**

### 2 დეკემბერი

**ფიორენტინა–ვერონა 22.00**

**დისკვალიფიკაცია:** აკვილანი (ფიორენტინა).
**ტრავმა:** გომესი, აგაცი, ბაკიჩი (ფიორენტინა).

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 4-0-2 | 3-0-3 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 11 თამაში: +6=2-3, (16-10)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 13 | 11 | 1 | 1 | 28-10 | 34 |
| 2. რომა | 13 | 10 | 3 | 0 | 26-3 | 33 |
| 3. ნაპოლი | 13 | 9 | 1 | 3 | 24-12 | 28 |
| 4. ინტერი | 13 | 7 | 5 | 1 | 30-13 | 26 |
| 5. ფიორენტინა | 13 | 7 | 3 | 3 | 24-14 | 24 |
| 6. ვერონა | 13 | 7 | 1 | 5 | 22-20 | 22 |
| 7. ჯენოა | 13 | 5 | 3 | 5 | 14-15 | 18 |
| 8. ლაციო | 13 | 4 | 5 | 4 | 17-17 | 17 |
| 9. პარმა | 13 | 4 | 4 | 5 | 18-20 | 16 |
| 10. ატალანტა | 13 | 5 | 1 | 7 | 14-17 | 16 |
| 11. უდინეზე | 13 | 5 | 1 | 7 | 12-15 | 16 |
| 12. ტორინო | 13 | 3 | 6 | 4 | 22-22 | 15 |
| 13. მილანი | 13 | 3 | 5 | 5 | 18-20 | 14 |
| 14. კალიარი | 13 | 3 | 5 | 5 | 13-20 | 14 |
| 15. სასუოლო | 13 | 3 | 4 | 6 | 15-28 | 13 |
| 16. ლივორნო | 13 | 3 | 3 | 7 | 13-20 | 12 |
| 17. ბოლონია | 13 | 2 | 5 | 6 | 15-25 | 11 |
| 18. სამპდორია | 13 | 2 | 4 | 7 | 14-23 | 10 |
| 19. კიევო | 13 | 2 | 3 | 8 | 8-18 | 9 |
| 20. კატანია | 13 | 2 | 3 | 8 | 9-23 | 9 |

**ბომბარდირები:** 11 - როსი (ფიორენტინა); 8 - ჩერჩი (ტორინო); 7 - პალასიო (ინტერი), ტევესი (იუვენტუსი), ბერარდი (სასუოლო).

**სერია A-ს მიმდინარე გათამაშების მე-14 ტური სამ დღეზეა გაწერილი და არაერთ საინტერესო მატჩს გვპირდება. ყველაზე გამოსარჩევი პაექრობა ალბათ მაინც რომში შედგება, სადაც „ლაციო" „ნაპოლის" უმასპინძლებს.**

დედაქალაქელებს **მიროსლავ კლოზე** კვლავაც ტრავმირებული ჰყავთ და **ვლადიმირ პეტკოვიჩიც** განაგრძობს ექსპერიმენტებს. „ლაციოს" არ უდგას კარგი დროება, მაგრამ ბოლოხანს წარმატებებით ვერც ნეაპოლელები დაიკვეხნიან. **რაფაელ ბენიტესის** გუნდმა სერია A-სა და ჩემპიონთა ლიგაზე ერთად, მიჯრით სამი შეხვედრა წააგო, რაც სახუმარო ამბავი არაა. მოკლედ, გამარჯვება და გულშემატკივართა თვალში რეაბილიტირება ორივე გუნდს ჰაერივით სჭირდება.

„იუვენტუსი" „უდინეზეს" ლიდერის რანგში უმასპინძლებს და ბუნებრივია, სამი ქულის მოპოვებას შეეცდება. როგორც იქნა, ტურინელებმა ჩემპიონთა ლიგაზეც იძალეს და ფრიულელებს კარგ ხასიათზე დაუხვდებიან. **ანტონიო კონტე** წესით, ისევ **კარლოს ტევესი-ფერნანდო ლორენტეს** ტანდემს უნდა დაეყრდნოს და დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

„მილანს" გლაზგოში გამარჯვება ძვირად დაუჯდა, რადგან **რობინიომ** და **ინაციო აბატემ** ტრავმები მიიღეს - პირველი ერთ თვეს იუქმებს, მეორეს კი ჯერ გამოკვლევები უტარდება. წესით, რამდენიმე კვირა აბატესაც უნდა გაუცდეს. საკადრო პრობლემებით დამძიმებული „მილანი" „კატანიას" სტუმრობს და თუ ჯერ კიდევ სურს ლიდერთა მარაქაში გარევა, აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს.

სატურნირო ცხრილის მეზობლები: „ფიორენტინა" და „ვერონა" ერთმანეთს ფლორენციაში შეეჭიდებიან - მასპინძლებს ისევ არ ეყოლებათ **მარიო გომესი**, რაც თვით **ვინჩენცო მონტელას** თქმით, უდიდესი დანაკლისია. „ინტერი" „სამპდორიას" უმასპინძლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ **სინიშა მიხაილოვიჩს** „ჯუზეპე მეაცაზე" მოუწევს დაბრუნება. **ვალტერ მაცარის** თქმით, დროა მისი გუნდი ქულების განიავებას მოეშვას - ალდგომა და ხვალეო...

**ლაშა წიკლაური**

---

მილანი

## ადრიანო გალიანი:

# მივდივარ!

## გალიანის მალდინი შეცვლის

„მილანიდან" პირველ რიგში მთავარი მწვრთნელის, **მასიმილიანო ალეგრის** წასვლას ველოდით, მაგრამ ყველა ხვდება, რომ „როსონერის" კრიზისი მხოლოდ ალეგრის ბრალი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ „მილანმა" ჩემპიონთა ლიგაში „სელტიკს" 3:0 მოუგო, იტალიის ჩემპიონატში ალეგრის გუნდს იმდენად უჭირს, რომ გლაზგოში მოგებამ ჩემპიონთა ლიგის 2007 წლის გამარჯვებულს მცირეოდენი შვებაც კი ვერ მოჰგვარა. შესაბამისია ის ინფორმაციაც, რომელიც გუშინ გავრცელდა: „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** 27-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ თანამდებობას ტოვებს!



ადრიანო გალიანი

როგორც ჩანს, მოთმინების ფიალა წინა ტურში აივსო, როცა „მილანმა" თვით ისეთ „ჯენოასაც" ვერ მოუგო, რომელიც 54 წუთის მანძილზე კაცნაკლული თამაშობდა. „ტიფოზებმა" მატჩის შემდეგ ფეხბურთელების გამოსასვლელი გადაკეტეს და იოლი წარმოსადგენია, რა სიტყვებს სკანდირებდნენ.

*„ჯერ არ ვიცი, კომპენსაციით თუ კომპენსაციის გარეშე, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დღეებში გადავდგები. შესაძლოა, „აიაქსთან" მატჩამდეც მოვიცადო, მაგრამ ის ცხადია, რომ მივდივარ,"* - განაცხადა გუშინ გალიანიმ და დასძინა, **სილვიო ბერლუსკონის** ნდობით აღჭურვილ პირს, **ბრუნო ერმოლის** ამის თაობაზე უკვე ვესაუბრეო.

ცნობილია, რომ 69 წლის გალიანის ბერლუსკონის ქალიშვილი **ბარბარა** დაუპირისპირდა. 29 წლის ბარბარა ბერლუსკონის, რომელიც 2011 წლიდან „როსონერის" მარკეტინგული სტრატეგია, მიაჩნია, რომ „მილანის" მენეჯმენტს გაახალგაზრდავება სჭირდება. ჩვენი იტალიელი კოლეგების ინფორმაციით, „მილანს" გალიანის მარჯვენა ხელი, სპორტული დირექტორი **აირედო ბრაიდაც** დატოვებს. ამბობენ, რომ გალიანის **პაოლო მალდინი** შეცვლის, რომელმაც კარიერა 2009 წელს დაასრულა. მალდინის გარდა, გალიანის თანამდებობაზე „იუვენტუსის" ყოფილი სპორტული დირექტორის, **ფაბრიო პარატიჩისა** და „რომას" სპორტული დირექტორი **კლაუდიო ფენუჩის** კანდიდატურები განიხილება.

**გოტფრიდ ლენცი**

---

გერმანიის ნაკრები

# 300 000

# ევრო მსოფლიოს ჩემპიონობისთვის

## გერმანელები პრემიებზე შეთანხმდნენ

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა 6 დეკემბერს უნდა შედგეს, რაც იმას ნიშნავს, რომ გერმანიის ნაკრების ფეხბურთელებმა ჯერ კიდევ არ იციან, ვისთან მოუწევთ მუნდიალის ჯგუფურ ეტაპზე პაექრობა. სამაგიეროდ, უკვე ცნობილია იმ პრემიების შესახებ, რაც ბუნდესგუნდისთვის მსოფლიოს ჩემპიონატზე დაწესდება. გერმანიის საფეხბურთო კავშირი ნაკრების კაპიტან **ფილიპ ლამს** პრემიების ისეთ მოდელზე შეუთანხმდა, რომელიც ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზეც მოქმედებდა.

საფეხბურთო კავშირის ოფიციალური განცხადებით, გერმანიის ნაკრების ფეხბურთელებისთვის ჯგუფიდან გასვლისთვის პრემია არ დაწესდება. პრემიების ჩამორიგება ბუნდესგუნდში პლეიოფიდან დაიწყება: მეოთხედფინალში გასვლისთვის თითოეული მოთამაშე 50 000 ევროს მიიღებს, ნახევარფინალში გასვლა 100 000 ევროდაა შეფასებული, ფინალში გასვლა გერმანიის ნაკრების თითოეულ ფეხბურთელს 150 000 ევროს მოუტანს, მსოფლიოს ჩემპიონობა კი - 300 000 ევროს.

*„მოლაპარაკებები უპრობლემოდ წარიმართა და ძალიან მალე შევთანხმდით,"* - აცხადებს გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი **ვოლფგანგ ნირსბახი**.

**გოტფრიდ ლენცი**

---

ბაიერნი

# იცით, რას აკეთებს პეპი იუპზე უკეთ?

## ბრაიტნერის აზრით, ბაიერნი ყველაზე მაგარია



პაულ ბრაიტნერი ხოსეპ გვარდიოლასა და იუპ ჰაინკესის „ბაიერნს" ადარებს

მიუხედავად იმისა, რომ **ხოსეპ გვარდიოლას** ხელში „ბაიერნმა" ჯერ „მხოლოდ" ევროპის სუპერთასი მოიგო, ლეგენდარულ ბავარიელ **პაულ ბრაიტნერს** მიაჩნია, რომ პეპის „ბაიერნი" **იუპ ჰაინკესის** „ბაიერნზე" გაცილებით ძლიერია.

*„ჰაინკესის ღვაწლის დავიწყება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. „ბაიერნმა" გადამწყვეტი პროგრესი სწორედ იუპის ხელში განიცადა, მაგრამ რეკორდმაისტერი გვარდიოლას ხელში უკეთეს, უფრო უკეთეს - გაცილებით მოქნილ და არაპროგნოზირებად ფეხბურთს თამაშობს,"* - აცხადებს 64 წლის ბრაიტნერი.

მისი აზრით, თუკი ჰაინკესის მთავარი მიზანი საერთო ჰარმონია იყო, გვარდიოლა თითოეულ დეტალს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს და იუპზე გაცილებით მკაცრი და მომთხოვნიცაა, რაც იმაში გამოიხატება, რომ პეპი კომპრომისზე თითქმის არასდროს მიდის. ბრაიტნერი: *„ჩემპიონთა ლიგაში „ბაიერნი" ნომერ პირველი ფავორიტია. ჩვენს შემდეგ მოდიან „რეალი", „ბარსელონა" და „დორტმუნდი". სწორედ ასე გამოიყურება ჩემი აზრით დღეს მსოფლიო საკლუბო რეიტინგი."*

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საფრანგეთი. ლიგა 1. XV ტურის წინ

# შუაღამე პარიზში

**პსჟ-ს მდევრებთან უპირატესობის შენარჩუნება ან გაზრდა სწადია. „ლილი" და „მონაკო" ერთმანეთს მეორე ადგილს ედავებიან. ოდნავ მოფერიანებული „მარსელი" მეოთხე პოზიციამდე ამოვიდა და შეჩერებას არ აპირებს. გამოიკვეთა ბოლო სამეულიც - აუტსაიდერებს სასწრაფოდ ქულები სჭირდებათ...**

## დასასრული

ტურის დასკვნით და ცენტრალურ შეხვედრაში **რემი გარდის** „ლიონი" თითქოს განწირულია. თუმცა რაც არ უნდა იყოს, ეს „ლიონია", რომელიც 21-ე საუკუნეში ფრანგული ფეხბურთის მთავარ დამრტყმელ ძალად იქცა და სწორედ ახლა ცდილობს „ლომების" ტახტიდან ჩამოგდებას „პარი სენ ჟერმენი". მოკლედ, დედაქალაქში ყველა ვარიანტში სანახაობრივი თამაში უნდა გამოვიდეს. ვნახოთ, როგორი შუაღამე ელის პარიზში გარდის გვარდიას.

„ლილი" **ლორან ბლანის** გუნდს ფეხდაფეხ მოსდევს „ლილი" და მეტოქის უფრო ახლოს მოშვება პარიზელების გეგმებში ნამდვილად არ შედის. „პარკ დე პრენსზე" მაყურებელი გამარჯვების მოლოდინში მივა.

ბოლო 6 ურთიერთშეხვედრას თუ ავიღებთ, აქედან 4 პსჟ-მა მოიგო, მხოლოდ ერთი „ლიონმა", ისიც თასზე და ასევე იყო ერთი ფრე, დაუვიწყარი 4:4 წინა წლის თებერვალში.

პსჟ-ს შემადგენლობა საბრძოლოა, დანაკლისის გარეშე. აი ლიონელები კი მოისაკლისებენ რამდენიმე ფეხბურთელს, მაგრამ გარდი სირთულეებს მიჩვეულია და ამჯერადაც მოიფიქრებს რამეს. მის გუნდს ოთხმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს და ესეც დიდი საქმეა. აი პარიზელებს კი ამ სეზონში ჯერ არ წაუგიათ.

## შუალედში

დასაწყისი იყო წუხანდელი შეხვედრა „მარსელსა" და „მონპელიეს" შორის, რომელსაც გაგრძელებები დღეს მოჰყვება.

ჩვენს ინტერესს ყველაზე მეტად „სენტ ეტიენისა" და „რეიმსის" დაპირისპირება იწვევს. რეიმსელებმა წინა ტურში უშანსოდ კი წააგეს პსჟ-სთან, მაგრამ ეს საპატიო მარცხია, სხვა მხრივ კი მათი თამაში და შედეგები მიმდინარე სეზონში მართლაც აღფრთოვანებას იწვევს. თავის მხრივ, „მწვანეებს" შინ უკვე ორი მატჩია არ მოუგიათ, ეს კი „ჟოფრუა გიშარისთვის" უკვე ბევრია. წინა სეზონში ამ გუნდებს შორის ორივე შეხვედრა ფრედ დასრულდა და საერთოდ, თუ როდის დაამარცხა ბოლოს „სენტ ეტიენმა" „რეიმსი" ისტორიასაც არ ახსოვს.

„მონაკომ" უაღრესად საჭირო სამი ქულა მოიპოვა სტუმრად „ნანტთან" და ზედმეტად მაღლა აფრენილი „იადონები" მიწაზე დაანარცხა. თუმცა **კლაუდიო რანიერის** გუნდის თამაში იდეალურისგან საკმაოდ შორსაა და ასევე მძიმე „რენთან" შეხვედრაში მოგება ადვილი სულაც არ იქნება. ამ გუნდებს ერთმანეთში დაზავება არ უყვართ, ბოლო 4 ურთიერთშეხვედრა ერთნაირი ანგარიშით 1:0 დასრულდა - 2 „მონაკომ" მოიგო, ორიც „რენმა".

ხსენებულ „ნანტს" „გენგამთან" რთული გასვლა აქვს და იქ გამოაჩენს რამდენად სერიოზულია ზრახვები ხუთეულში ყოფნასთან დაკავშირებით.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ „ლილიც", რომელიც „ვალანსიენს" ესტუმრება. **რენე ჟირარის** კლუბს უკვე 9 მატჩია გოლი არ გაუშვია. „ვალანსიენმა" კი ამ სეზონში ჩატარებული 15 მატჩიდან 7-ში საერთოდ ვერ გაიტანა, ხოლო 5-ში მხოლოდ ერთი გოლი შეაგდო. თავად განსაჯეთ, რამდენად აქვთ რაიმეს შანსი მასპინძლებს. თუმცა ასე მარტივადაც არ არის საქმე. **არიელ იაკობსის** ხელში „ვალანსიენს" სამმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს - მოუგო „აიაჩოს", ბოლო წუთამდე უგებდა „მონპელიეს" და წინა ტურში „ჟერლანზე" ქულა აიღო „ლიონთან". „ლილი" კი ზედმეტად დაეჩვია მინიმალური სხვაობით გამარჯვებებს და ცოტა მომენტების შექმნასთან დაკავშირებითაც აქვს პრობლემები.

**გიორგი კაკაბაძე**



რემი გარდს პარიზში მძიმე საღამო ელის

| 29 ნოემბერი | |
|---|---|
| მარსელი-მონპელიე | 2:0 |
| **30 ნოემბერი** | |
| მონაკო-რენი | 20:00 |
| ვალანსიენი-ლილი | 23:00 |
| გენგამი-ნანტი | 23:00 |
| ლორიანი-ნიცა | 23:00 |
| სტ. ეტიენი-რეიმსი | 23:00 |
| ტულუზი-სოშო | 23:00 |
| **1 დეკემბერი** | |
| ბორდო-აიაჩო | 17:00 |
| ბასტია-ევიანი | 20:00 |
| პსჟ-ლიონი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 14 | 10 | 4 | 0 | 30-8 | 34 |
| 2 ლილი | 14 | 9 | 3 | 2 | 16-4 | 30 |
| 3. მონაკო | 14 | 8 | 5 | 1 | 22-11 | 29 |
| 4. მარსელი | 15 | 8 | 3 | 4 | 23-14 | 27 |
| 5. ნანტი | 14 | 7 | 2 | 5 | 19-11 | 23 |
| 6. სტ. ეტიენი | 14 | 6 | 3 | 5 | 19-17 | 21 |
| 7. ლიონი | 14 | 5 | 4 | 5 | 20-17 | 19 |
| 8. გენგამი | 14 | 5 | 4 | 5 | 17-15 | 19 |
| 9. რეიმსი | 14 | 4 | 7 | 3 | 15-15 | 19 |
| 10. ბასტია | 14 | 5 | 4 | 5 | 16-20 | 19 |
| 11. რენი | 14 | 4 | 6 | 4 | 17-14 | 18 |
| 12. ბორდო | 14 | 4 | 6 | 4 | 17-18 | 18 |
| 13. ნიცა | 14 | 5 | 2 | 7 | 14-17 | 17 |
| 14. ტულუზი | 14 | 4 | 4 | 6 | 11-20 | 16 |
| 15. ევიანი | 14 | 4 | 4 | 6 | 15-25 | 16 |
| 16. მონპელიე | 15 | 2 | 9 | 4 | 17-20 | 15 |
| 17. ლორიანი | 14 | 4 | 2 | 8 | 15-23 | 14 |
| 18. ვალანსიენი | 14 | 2 | 4 | 8 | 12-21 | 10 |
| 19. აიაჩო | 14 | 1 | 5 | 8 | 10-22 | 8 |
| 20. სოშო | 14 | 1 | 5 | 8 | 12-25 | 8 |

**ბომბარდირები:** 9 - ედინსონ კავანი (პსჟ), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ), რადამელ ფალკაო (მონაკო); 8 - ფილიპ ჯორჯევიჩი (ნანტი); 7 - ნელსონ ოლივეირა (რენი), ვენსან აბუბაქარი (ლორიანი), შეიკ დიაბატე (ბორდო), დარიო ცვიტანიჩი (ნიცა)

● ინგლისი. პრემიერლიგა. XIII ტურის წინ

**30 ნოემბერი**

**კარდიფი-არსენალი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** გესტედე - მიაიჩი, დიაბი, პოდოლსკი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი, სანოგო

ბოლო 6 მატჩი
+1=2-3 +4=1-1
ურთიერთშეხვედრები
სულ 33 თამაში: +8=12-13 (39-51)

**ნორვიჩი-კრისტალ პალასი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** - იანიკ ბოლასი
**ტრავმა:** ბენი, ვან ვოლფსვინკელი, ე. ბენეტი, სნოდგრასი, პილკინგტონი, ტეტი - მარი, ჰანტი, გედიურა

ბოლო 6 მატჩი
+1=1-4 +1=1-4
ურთიერთშეხვედრები
სულ 45 თამაში: +15=12-18 (52-63)

**ვესტ ჰემი-ფულჰემი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** - საშა რიტერი
**ტრავმა:** რაცი, რიდი, პეტრიჩი, მ. ტეილორი, ვას ტე, კეროლი, ა. დიარა - დაფი, ჰანგელანდი, ბრიგსი, როდალიეგა

ბოლო 6 მატჩი
+1=2-3 +2=0-4
ურთიერთშეხვედრები
სულ 36 თამაში: +16=8-12 (63-52)

**ევერტონი-სტოკ სიტი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** კონე, გიბსონი, ბეინსი - ჯონსი, უილსონი

ბოლო 6 მატჩი
+2=3-1 +1=3-2
ურთიერთშეხვედრები
სულ 86 თამაში: +35=26-25 (126-93)

**ასტონ ვილა-სანდერლენდი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** გარდნერი, ნზოგბია, ჯ. ბენეტი, ოკორე - ვესტვუდი

ბოლო 6 მატჩი
+1=3-2 +2=0-4
ურთიერთშეხვედრები
სულ 133 თამაში: +58=33-42 (211-185)

**ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** რ. ტეილორი - რიჯუელი, გერა, ფოსტერი

ბოლო 6 მატჩი
+4=1-1 +1=4-1
ურთიერთშეხვედრები
სულ 99 თამაში: +34=28-37 (162-172)

**1 დეკემბერი**

**ჰალ სიტი-ლივერპული 18:05**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** მაკშეინი, ჰუინი, ალუკო - ასპასი, ხ. ენრიკე, კოატესი

ბოლო 6 მატჩი
+1=1-4 +3=2-1
ურთიერთშეხვედრები
სულ 5 თამაში: +1=2-2 (7-11)

**ჩელსი-საუთჰემპტონი 20:10**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ეტოო, დ. ლუისი, ვან გინკელი - შოუ, დევისი, კორკი, გული

ბოლო 6 მატჩი
+4=1-1 +3=2-1
ურთიერთშეხვედრები
სულ 61 თამაში: +27=16-18 (99-80)

**სიტი-სუონსი 20:10**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** დ. სილვა - რუტლეჯი, მიჩუ, პ. ერნანდესი, მონკი

ბოლო 6 მატჩი
+4=0-2 +2=2-2
ურთიერთშეხვედრები
სულ 8 თამაში: +4=1-3 (12-8)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 12 | 9 | 1 | 2 | 24-10 | 28 |
| 2. ლივერპული | 12 | 7 | 3 | 2 | 24-13 | 24 |
| 3. ჩელსი | 12 | 7 | 3 | 2 | 21-10 | 24 |
| 4. სიტი | 12 | 7 | 1 | 4 | 34-12 | 22 |
| 5. საუთჰემპტონი | 12 | 6 | 4 | 2 | 15-7 | 22 |
| 6. იუნაიტედი | 12 | 6 | 3 | 3 | 20-15 | 21 |
| 7. ევერტონი | 12 | 5 | 6 | 1 | 17-13 | 21 |
| 8. ნიუკასლი | 12 | 6 | 2 | 4 | 17-17 | 20 |
| 9. ტოტენჰემი | 12 | 6 | 2 | 4 | 9-12 | 20 |
| 10. სუონსი | 12 | 4 | 3 | 5 | 17-16 | 15 |
| 11. ვესტ ბრომვიჩი | 12 | 3 | 6 | 3 | 14-14 | 15 |
| 12. ასტონ ვილა | 12 | 4 | 3 | 5 | 13-14 | 15 |
| 13. ჰალი | 12 | 4 | 2 | 6 | 9-15 | 14 |
| 14. სტოკი | 12 | 3 | 4 | 5 | 12-14 | 13 |
| 15. კარდიფი | 12 | 3 | 4 | 5 | 11-17 | 13 |
| 16. ნორვიჩი | 12 | 3 | 2 | 7 | 10-23 | 11 |
| 17. ვესტ ჰემი | 12 | 2 | 4 | 6 | 9-14 | 10 |
| 18. ფულჰემი | 12 | 3 | 1 | 8 | 11-21 | 10 |
| 19. პალასი | 12 | 2 | 1 | 9 | 7-21 | 7 |
| 20. სანდერლენდი | 12 | 2 | 1 | 9 | 8-24 | 7 |

**ბომბარდირები:** 10 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი) 9 - ლუის სუარესი (ლივერპული), დენიელ სტარიჯი (ლივერპული), 8 - ლოიკ რემი (ნიუკასლი);

# ვილაშ ბოაშის ბეწვის ხიდი



ანდრე ვილაშ ბოაშის ბედი შესაძლოა ამ უქმეებზე გადაწყდეს

**XII ტურმა ინგლისში საფეხბურთო ექსპერტებს უამრავი თემა აჩუქა განსასჯელად, რომელთა შორის უმთავრესი „ტოტენჰემის" თავს დამტყდარი უბედურებაა.**

მასმედია მოულოდნელად ერთ ხმაში ალაპარაკდა იმ თემაზე, რაც იქამდეც ყველამ იცოდა, თუმცა ყურადღებას არავინ აქცევდა. „აღმოჩნდა", რომ კლუბი, რომელმაც ზაფხულზე კოლოსალური თანხები დახარჯა შემადგენლობის გასაძლიერებლად, არათანაბრად ყოფილა დაკომპლექტებული. თვალში საცემია მეტისმეტი სიმჭიდროვე შემტევ თუ დაცვითი ტიპის ნახევარმცველებს შორის და ასევე აშკარაა, რომ **ანდრე ვილაშ ბოაშს** უკანახაზელები აკლია, განსაკუთრებით კი განაპირა მცველები. „ეტიჰადზე" 0:6-მა მეფე გააშიშვლა. დიაგნოზზე ფიქრი ჩრდილოლონდონელებმა უკვე დაიწყეს. პირველი ნაბიჯი ამ გზაზე შესაძლოა მკურნალი ექიმის შეცვლა იყოს. ამ თემაზე გუშინაც ვწერდით. არ არის გამორიცხული, ვილაშ ბოაშის ნაცვლად „დეზები" **მიქაელ ლაუდრუპს** ჩააბარონ. ხელმძღვანელობის პოზიცია ცნობილია: „იუნაიტედთან" წაგება პორტუგალიელს გათავისუფლებად დაუჯდება. ამ ფონზე „ტოტენჰემისთვის" ზედმეტი თავის ტკივილია ნორვეგიულ „ტრომსოსთან" შეხვედრა ევროპალიგაზე. აი, სად შეიძლება გამოადგეს ვილაშ ბოაშს სათადარიგოთა გრძელი სკამი. მან წუხანდელ შეხვედრაზე წამყვანი ფეხბურთელების მთელი ჯგუფი არ იახლა თან: **ლორისი, უოლკერი, კაბული, სანდრო, პაულინიო, ლენონი, ადებაიორი** და **დეფო**, თუმცა მაინც იმარჯვა 2:0. ისინი ბაზაზე დარჩნენ და კვირის უმნიშვნელოვანესი მატჩისთვის სამზადისს შეუდგნენ.

**1 დეკემბერი. ლონდონი. უაით ჰართ ლეინი**
**16:00**

**ტოტენჰემი**

ბოლო 6 მატჩი
+2=1-3 +4=2-0
ურთიერთშეხვედრები
სულ 148 თამაში: +33=37-78 (180-252)

**იუნაიტედი**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** როუზი, ერიქსენი - კერიკი, ვან პერსი, დ. ფლეტჩერი

სავარაუდო შემადგენლობა




## მეოთხე სტუმრობა გრანდთან

ტურის დანარჩენ მატჩებში თქვენს ყურადღებას ერთ შეხვედრას მივაპყრობთ: ვგულისხმობთ „ჩელსი"-"საუთჰემპტონს". „სტემფორდ ბრიჯზე" მატჩი „წმინდანებისთვის" მიმდინარე სეზონში მეოთხე იქნება ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებთან და რაც ყველაზე საინტერესოა, ისინი ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს ამჯერადაც სტუმრად დაუპირისპირდებიან. აქამდე **მაურისიო პოჩეტინოს** შეგირდებმა „ენფილდზე" 1:0 მოიგეს, „ოლდ ტრეფორდზე" 1:1 ითამაშეს და მხოლოდ „ემირეიტსზე" დამარცხდნენ - 0:2. **ჟოზე მოურინიოს** გუნდს ბოლო საშინაო შეხვედრაშიც ეგონა, რომ იოლად გაისეირნებდა და შედეგად „ვესტ ბრომვიჩთან" ფრედ ითამაშა (2:2) და ისიც მსაჯის წყალობით. ასე რომ, გადაწყვეტილი ამჯერადაც არაფერია.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XIV ტურის წინ

# კლოპის შეხვედრა წარსულთან

## ბაიერნი ბრაუნშვაიგთან ისეირნებს

**29 ნოემბერი**

ვოლფსბურგი-ჰამბურგი 1:1

**30 ნოემბერი**

**ბაიერნი-ბრაუნშვაიგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბადშტუბერი, რიბერი, შვაინშტაიგერი, ლამი, შაჩირი, პისარო - რაიხელი, ჰოხშაიდტი, კრუპკე

ბოლო 6 მატჩი
+5=1-0 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები
სულ 36 თამაში: +20=11-5, (79:39)

**ლევერკუზენი-ნიურნბერგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** პალოპი, ბიონიში, ჰილბერტი, სემი - მარკოს ანტონიო, გებჰარტი

ბოლო 6 მატჩი
+4=1-1 +0=3-3

ურთიერთშეხვედრები
სულ 48 თამაში: +23=13-12, (85:52)

**ჰოფენჰაიმი-ვერდერი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ვიზე, თესკერი, სასი, ვუკჩევიჩი - პრიოდლი, იუნუზოვიჩი, ფ. კროოსი

ბოლო 6 მატჩი
+1=1-4 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები
სულ 10 თამაში: +1=3-6, (14:20)

**მაინცი-დორტმუნდი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ვეტკლო (მაინცი)
**ტრავმა:** ჰ. მიულერი, ბუნგერტი, კოხი, ბაუმგარტლინგერი - ჰუმელსი, შმელცერი, სუბოტიჩი, გიუნდოგანი

ბოლო 6 მატჩი
+3=1-2 +3=0-3

ურთიერთშეხვედრები
სულ 14 თამაში: +2=6-6, (10:18)

**ჰერტა-აუგსბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ჰანი (აუგსბურგი)
**ტრავმა:** ბურხერტი, ბრუკსი, ბაუმიოჰანი - ექინი

ბოლო 6 მატჩი
+2=1-3 +2=0-4

ურთიერთშეხვედრები
სულ 2 თამაში: +0=1-1, (2:5)

**შალკე-შტუტგარტი 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჰილდებრანდი, კ. პაპადოპულოსი, ჰიოგერი, ჰუნტელაარი - ბოკა, დიდავი, კაკაუ

ბოლო 6 მატჩი
+4=1-1 +1=3-2

ურთიერთშეხვედრები
სულ 86 თამაში: +31=14-41, (103:142)

**1 დეკემბერი**

**ჰანოვერი-აინტრახტი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** სანე (ჰანოვერი)
**ტრავმა:** ფელიპე, ფრანკა, შტინდლი, სულეიმანი, ია კონანი - ჩელოცი, რუსი, აიგნერიო, შტენდერა

ბოლო 6 მატჩი
+0=2-4 +0=3-3

ურთიერთშეხვედრები
სულ 44 თამაში: +16=15-13, (65:65)

**გლადბახი-ფრაიბურგი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ალვარო დომინგესი - ჰედენსტადი, მუიჯა, შმიდი, შუსტერი, ტერაცინო

ბოლო 6 მატჩი
+5=0-1+2=2-2

ურთიერთშეხვედრები
სულ 24 თამაში: +6=10-8, (29:36)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 13 | 11 | 2 | 0 | 30-7 | 35 |
| 2. ლევერკუზენი | 13 | 10 | 1 | 2 | 28-14 | 31 |
| 3. დორტმუნდი | 13 | 9 | 1 | 3 | 32-14 | 28 |
| 4. გლადბახი | 13 | 8 | 1 | 4 | 30-16 | 25 |
| 5. ვოლფსბურგი | 14 | 7 | 2 | 5 | 20-16 | 23 |
| 6. შალკე | 13 | 6 | 3 | 4 | 26-26 | 21 |
| 7. მაინცი | 13 | 6 | 1 | 6 | 20-25 | 19 |
| 8. ჰერტა | 13 | 5 | 3 | 5 | 20-17 | 18 |
| 9. შტუტგარტი | 13 | 4 | 4 | 5 | 24-23 | 16 |
| 10. ჰამბურგი | 14 | 4 | 4 | 6 | 30-31 | 16 |
| 11. აუგსბურგი | 13 | 5 | 1 | 7 | 15-23 | 16 |
| 12. ვერდერი | 13 | 4 | 3 | 6 | 15-23 | 15 |
| 13. ჰანოვერი | 13 | 4 | 2 | 7 | 15-22 | 14 |
| 14. ჰოფენჰაიმი | 13 | 3 | 4 | 6 | 28-30 | 13 |
| 15. აინტრახტი | 13 | 2 | 5 | 6 | 17-24 | 11 |
| 16. ფრაიბურგი | 13 | 2 | 5 | 6 | 14-24 | 11 |
| 17. ნიურნბერგი | 13 | 0 | 8 | 5 | 13-26 | 8 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 13 | 2 | 2 | 9 | 8-24 | 8 |

**ბომბარდირები:** 9 - რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი); 8 - ვედად იბიშევიჩი (შტუტგარტი), შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი), პიერ-მიშელ ლასოგა (ჰამბურგი), მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი).

ბუნდესლიგის პირველი წრის მთავარი მატჩი უკან მოვიტოვეთ და რაკი „ბაიერნმა" „დორტმუნდი" 3:0 დაამარცხა, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ადგილზე ალზევებულ „ლევერკუზენს" მხოლოდ 4 ქულით უსწრებს, თამამად უნდა ვთქვათ, რომ გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლისთვის თვალყურის დევნება უკვე მოსაწყენია. მაგალითად, ამ ტურში „ბაიერნის" მეტოქე ბოლოადგილოსანი „ბრაუნშვაიგია" და რაც არ უნდა ბევრი ვისაუბროთ იმაზე, რომ ბურთი მრგვალია, ცხადია, რომ „ბრაუნშვაიგის" შანსი რეკორდმაისტერთან ლოგიკურად ნულის ტოლია. „ლევერკუზენი" „ბაიერნის" ღირსეულ კონკურენტად რომ არ გამოდგება, ამაში ჩემპიონთა ლიგის განვლილი ტურიც დაგვარწმუნებდა, რომელშიც „ბაიერი" „მანჩესტერ იუნაიტედთან" 0:5 განადგურდა. ამ ტურში „ფარმაცევტებს" ჯერაც მოუგებელ ნიურნბერგელებთან ექნებათ საქმე, დორტმუნდელები კი მაინცში ჩადიან - ანუ, იქ, სადაც **იურგენ კლოპმა** სამწვრთნელო ასპარეზზე ფეხი აიდგა.

### ლიდერი და აუტსაიდერი

„ბაიერნისა" და „ბრაუნშვაიგის" დაპირისპირება ზედმეტად არათანაბარი დუელია და მიუნხენელთა გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარება. საერთოდაც, **ხოსეპ გვარდიოლას** „ბაიერნი" უძლეველი გუნდი ჩანს და **ტონი კროოსიც** თამამად ამბობს, ჩვენი მიზანი ისიცაა, რომ ამ სეზონში ნაგებების გრაფაში ბოლომდე ნული გვეწეროსო. რეკორდმაისტერს **ფილიპ ლამი** დაუშავდათ - კაპიტანი ორ მატჩს გამოტოვებს, მაგრამ გვარდიოლასთვის არც ესაა სერიოზული პრობლემა, რადგან მარჯვენა მცველად ისედაც უმეტესად **რაფინიას** ათამაშებს ხოლმე, ნახევარდაცვისთვის კი **ტიაგო ალკანტარა** გამოუჯანმრთელდა.

ბრაუნშვაიგელები „ბაიერნთან" დუელს მშვიდად ხვდებიან - პრინციპში, სხვა გზა არც აქვთ. აუტსაიდერის განწყობას ლიდერთან მატჩის წინ ყველაზე უკეთ ბრაუნშვაიგელთა მეკარე **დავარი** გამოხატავს - ეს ჩვენთვის ყველაზე ადვილი მატჩია, რადგან „ბაიერნთან" წარმატების მიღწევას არც არავინ გვთხოვსო...

### შეუძლია ლევერკუზენს ბაიერნის დევნა?

„ბაიერნთან" ყველაზე ახლოს ახლა „ლევერკუზენია", რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში გერმანული ფეხბურთი შეარცხვინა და ფაქტობრივად დაადასტურა მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ბაიერი" „ბაიერნის" სერიოზულ კონკურენტად არც უნდა განიხილებოდეს. **სამი ჰიიპიას** გუნდს ამ ტურში ჯერაც მოუგებელ „ნიურნბერგთან" ექნება საქმე, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ფარმაცევტებს" იოლი მატჩი ელით. „ნიურნბერგი" არც ისე სუსტია, როგორც ეს ცხრილიდან ჩანს და თანაც, ფრანკებს დასაკარგი აღარაფერი აქვთ. ნიურნბერგელთა სპორტული დირექტორი **მარტინ ბადერი** ამბობს, წნეხი ტურიდან ტურამდე მძიმდება და ჩვენთვის ამიერიდან ყველა თამაში ფინალივით უნდა იყოსო.

### კლოპს მაინცმა სულზე მიუსწრო?

დორტმუნდის „ბორუსიამ" ბუნდესლიგის ბოლო 6 თამაშიდან 3 წააგო, რაც ამ კლუბისთვის სერიოზული დარტყმაა და კრიზისს ნიშნავს, თუმცა „შავ-ყვითლებმა" ხასიათი ჩემპიონთა ლიგაში, „ნაპოლისთან" მნიშვნელოვანი გამარჯვებით (3:1) გამოიკეთეს, ახლა კი „მაინცს" სტუმრობენ - კლუბს, სადაც იურგენ კლოპმა სამწვრთნელო ასპარეზზე ფეხი აიდგა. 46 წლის კლოპი „მაინცის" მწვრთნელი 2001-დან 2008 წლამდე გახლდათ, მანამდე კი, 1990-დან 2001 წლამდე სულაც „მაინცის" ფეხბურთელი იყო (325 მატჩი და 52 გოლი მეორე ბუნდესლიგაში). ერთი სიტყვით, მაინცი კლოპის სახლია, სადაც „ბორუსიას" მოგება ჰაერივით ესაჭიროება. თუმცა „მაინციც" კარგ ფორმაშია - ზედიზედ ორი თამაში მოიგო.

საინტერესო უნდა გამოვიდეს „შალკესა" და „შტუტგარტის" დუელი, რომელიც ტურის ცენტრალურ შეხვედრადაა შერაცხილი.



იურგენ კლოპი „მაინცის" მწვრთნელობისას და ახლა

**გოტფრიდ ლენცი**

მანჩესტერ იუნაიტედი



მაიკლ ფელანი და სერ ალექსი

# მაიკლ ფელანი: ბოლო 5 წელი მანჩესტერის მწვრთნელი სერ ალექსი კი არა, მე ვიყავი!

**მაიკლ კრისტოფერ ფელანმა** ერთგვარი „ქამინგ აუთი" გააკეთა და სკანდალურად განაცხადა - რა სერ **ალექს ფერგიუსონი**, რის სერ ალექს ფერგიუსონი, ბოლო 5 წელია „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი მე ვიყავიო...

ამ 51 წლის ინგლისელს მაიკ, მიკ, მიკი... ფელანს ალბათ „იცნობთ", იგი 2008 წლის შემდეგ, ფერგიუსონის თანაშემწედ მუშაობდა. სერ ალექსის ნაცვლად პრესკონფერენციაზეც ყოფილა და ისიც ხშირად გვინახავს, მატჩისას როგორ უთათბირიათ ერთმანეთთან მწვრთნელსა და ასისტენტს. თუმცა ფელანს თუ ვენდობით, კიდევ საკითხავია ვინ იყო მწვრთნელი.

სხვათა შორის, სათამაშო კარიერისას, მას ფერგიუსონის შეგირდადაც უბურთავია, 1989-1994 წლებში და რამდენიმე ტიტულის მოგებაც მოასწრო „წითელ ეშმაკებთან" ერთად. მისი კარიერა „ბარნსლიში" დაიწყო, შემდეგ იყო „ნორვიჩი", რომელმაც მოგვიანებით ნახევარმცველი კლუბის დიდების დარბაზშიც შეიყვანა და ბოლოს, „იუნაიტედის" შემდგომ, ერთი სეზონი „ვესტ ბრომვიჩ ალბიონში". მას მერე, ფელანი დიდ ფეხბურთში აქტიურად არ გამოჩენილა, სანამ 2008 წელს **კარლოს კეიროშის** შემცვლელად არ დანიშნეს.

*„თავს ბოსად ვგრძნობ, ეს ბუნებრივიცაა, სწორედ ამით ვიყავი დაკავებული უკანასკნელი ხუთი წელიწადი, მაგრამ ასისტენტის სტატუსით. რასაკვირველია, მთლიანობაში ყველაფრის სათავეში ფერგიუსონი იდგა და სახე ის იყო. იგი რომ დიდი გადაწყვეტილებების მიმღები არ ყოფილიყო, ვერ აღმოჩნდებოდა იქ, სადაც ახლა არის, მაგრამ პირველი სწორედ თავად აღიარებს, რომ ბოლო წლების წარმატებებში სხვებს დიდი წვლილი აქვთ შეტანილი. ჩვენ არ ვჩანდით და პატივისცემის ნიშნად ხმასაც არ ვიღებდით, ასეც უნდა ყოფილიყო, ჩემი მხრიდან არანაირი პრობლემა არ ყოფილა ამასთან დაკავშირებით. ახლა თავისუფლად იმიტომ ვლაპარაკობ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" წევრი აღარ ვარ. ჩემთვის პროგრესია, რომ უპრობლემოდ შემიძლია მთავარ მწვრთნელად ვიმუშაო და თუ საინტერესო შემოთავაზებას მივიღებ, სიამოვნებით დავთანხმდები მას. არ ვამბობ, რომ „მანჩესტერში" ვისწავლე ყველაფერი, მაგრამ იქ რომ ხარისხი ავიმაღლე, ეს ფაქტია"* - განაცხადა ფელანმა.

შესაძლოა ამ ადამიანმა სათანადო დაფასება ვერ მიიღო და ცოტა განაწყენებულიცაა. **დევიდ მოიესის** მისვლის მერე, „ევერტონის" ყოფილმა თავკაცმა ბევრი რამ შეცვალა და სამწვრთნელო შტაბიც გადაახალისა. ეს ფელანსაც შეეხო, რომელიც გაუშვეს. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ გაბრაზება ნაკლებადაა შუაში და ფელანს უბრალოდ სამსახურის პოვნა და ოფიციალურად მთავარ მწვრთნელად სურს თავის მოსინჯვა.

*„მოკლედ, ვაპირებ ფეხბურთის დიდ და მრისხანე სამყაროში გამოვჩნდე. ხალხი, რომლებიც მწვრთნელებსა და მენეჯერებს ეძებენ, შესაძლოა არც მიცნობენ ან ისე მიცნობენ, როგორც - მიკ ფელანს, მწვრთნელის ასისტენტს. მათ არ იციან ამ წლების მანძილზე რას ვაკეთებდი, რას მივიღე და რას მივაღწიე. ამიტომაც მინდოდა ეს ყველაფერი მეთქვა"* - გვეუბნება ფელანი.

ერთი სიტყვით, ფელანის თქმით, იგი ფაქტობრივად „ფარულ აგენტად" მუშაობდა, ახლა კი ჩრდილში ყოფნა მობეზრდა და სინათლეზე გამოვიდა. საინტერესოა, რა გამოხმაურება მოჰყვება მის კომენტარებს „მანჩესტერ იუნაიტედის" ბანაკში და იტყვის თუ არა რამეს თავად ფერგიუსონი.

ისე, ფელანს იმედი უნდა ჰქონდეს, რომ სამუშაოს მალე იპოვის, რადგან სულ ახლახან მისი კოლეგა და „იუნაიტედის" კიდევ ერთი კადრი **რენე მიოლენსტენი** „ფულჰემში" მიიყვანეს მწვრთნელად. იგი თანამემამულე **მარტინ იოლს** უნდა დაეხმაროს, რადგან „კოტეჯელთა" მენეჯერს სერიოზული პრობლემები აქვს და მოხსნის პირასაა. თუმცა თავად ფელანი ჯერჯერობით რადიოსა და ტელევიზიებში სტუმრობებითაა დაკავებული. ვნახოთ, რამდენად გაამართლებს საკუთარი თავის ასეთი პიარი. ახლახან იგი დუბლინს ესტუმრა და საუბრობდნენ იმაზეც, რომ შესაძლოა შემოთავაზება რომელიმე ირლანდიური კლუბისგანაც მიიღოს.

*„მზად ვარ მივიღო წინადადებები ინგლისიდან, პრემიერლიგა იქნება, ჩემპიონშიპი თუ უფრო ქვედა ლიგები. ასევე უცხოეთიდან, თუნდაც ირლანდიიდან, სადაც მუშაობა ინგლისელისთვის განსხვავებული რამაა. არავისადმი არ მაქვს აგდებული დამოკიდებულება, ყველას პატივს ვცემ და თავს ყველგან კარგად ვიგრძნობ, მთავარი საქმე და კლუბის გეგმებია"* - დასძინა ფელანმა.

**გიორგი კაკაბაძე**

● ესპანეთი. ლა ლიგა. XV ტურის წინ

**29 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| ხეტაფე-ლევანტე | 1:0 |
| ვილიარეალი-მალაგა | 1:1 |

**30 ნოემბერი**

**ელჩე-ატლეტიკო 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** მანუ დელ მორალი, ალვარო ხიმენესი - მარიო სუარესი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 4 თამაში: +2 =0 -2 (7:8)**

ბოლო 6 მატჩი

+2 =2 -2 (7-7) +4 =1 -1 (17-3)

**სელტა-ალმერია 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** ფონტასი (სელტა)

**ტრავმა:** ბორხა ოუბინია, სამუელ ლორკა - .

ურთიერთშეხვედრები

**სულ 6 თამაში: +4 =0 -2 (9:6)**

ბოლო 6 მატჩი

+2 =0 -4 (9-10) +3 =0 -3 (4-10)

**რეალი-ვალიადოლიდი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** არბელოა - პატრიკ ებერტი

**ტრავმა:** კრიშტიანო რონალდო, ხედირა, ფ. კოენტრაო - ოსკარი, ვიქტორ პერესი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 32 თამაში: +19 =9 -4 (72:34)**

ბოლო 6 მატჩი

+5 =0 -1 (23-8) +1 =3 -2 (9-8)

**ესპანიოლი-სოსიედადი 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** - კ. მარტინესი, ესტრადა, გრანერო, იფრანი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 32 თამაში: +9 =11 -12 (29:33)**

ბოლო 6 მატჩი

+2 =1 -3 (6-8) +4 =1 -1 (17-11)

**1 დეკემბერი**

**ბეტისი-ვალეკანო 15:00**

**დისკვალიფიკაცია:** პაულაო, ხავი ტორესი, მატილია - რუბენი, არბილია

**ტრავმა:** ბ. როდრიგესი, პერკისი, ნოსა იგიებორი - ა. პერეა, ზე კასტრო, სება ფერნანდესი, ხოსე კარლოსი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 18 თამაში: +7 =5 -6 (26:19)**

ბოლო 6 მატჩი

+0 =1 -5 (4-18) +2 =0 -4 (7-13)

**გრანადა-სევილია 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** იტურა (გრანადა)

**ტრავმა:** ფატაუ, მაინსი - პარეხა, ტროხოვსკი, მარინი, ჩერიშევი, სისინიო

ურთიერთშეხვედრები

**სულ 4 თამაში: +1 =1 -2 (3:8)**

ბოლო 6 მატჩი

+3 =0 -3 (6-9) +3 =1 -2 (14-12)

**ვალენსია-ოსასუნა 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** გუაიტა - სისი, ნინო

ურთიერთშეხვედრები

**სულ 30 თამაში: +17 =8 -5 (43:18)**

ბოლო 6 მატჩი

+1 =1 -4 (7-12) +2 =1 -3 (5-9)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 14 | 13 | 1 | 0 | 42-8 | 40 |
| 2. ატლეტიკო | 14 | 12 | 1 | 1 | 38-9 | 37 |
| 3. რეალი | 14 | 11 | 1 | 2 | 40-17 | 34 |
| 4. ვილიარეალი | 15 | 8 | 4 | 3 | 25-14 | 28 |
| 5. ბილბაო | 14 | 8 | 2 | 4 | 22-19 | 26 |
| 6. ხეტაფე | 15 | 7 | 2 | 6 | 18-21 | 23 |
| 7. სოსიედადი | 14 | 5 | 5 | 4 | 23-20 | 20 |
| 8. სევილია | 14 | 5 | 4 | 5 | 27-26 | 19 |
| 9. ესპანიოლი | 14 | 5 | 3 | 6 | 17-19 | 18 |
| 10. ელჩე | 14 | 4 | 5 | 5 | 15-18 | 17 |
| 11. ვალენსია | 14 | 5 | 2 | 7 | 18-23 | 17 |
| 12. გრანადა | 14 | 5 | 2 | 7 | 11-17 | 17 |
| 13. ლევანტე | 15 | 4 | 5 | 6 | 13-21 | 17 |
| 14. მალაგა | 15 | 3 | 5 | 7 | 17-22 | 14 |
| 15. ოსასუნა | 14 | 4 | 1 | 9 | 11-22 | 13 |
| 16. სელტა | 14 | 3 | 3 | 8 | 17-22 | 12 |
| 17. ვალიადოლიდი | 14 | 2 | 6 | 6 | 16-21 | 12 |
| 18. ალმერია | 14 | 3 | 3 | 8 | 15-29 | 12 |
| 19. ვალეკანო | 14 | 4 | 0 | 10 | 13-34 | 12 |
| 20. ბეტისი | 14 | 2 | 3 | 9 | 12-28 | 9 |

**ბომბარდირები:** 17 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 14 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 8 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი), ლიონელ მესი (ბარსელონა), ალექსის სანჩესი (ბარსელონა), დავიდ ვილია (ატლეტიკო)



კვირას „სან მამეს ბარიაზე" დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი

# ბასკეთი VS კატალონია

**პრიმერა** დივიზიონის მორიგი ტურის ცენტრალური მატჩი კვირას, ბილბაოში გაიმართება, სადაც „ატლეტიკი" „ბარსელონას" უმასპინძლებს. **ერნესტო ვალვერდეს** შეგირდები ამ სეზონში საკმაოდ კარგად გამოიყურებიან და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვისაც იბრძვიან. უკანასკნელ ორ ტურში „ბილბაომ" 6 ქულა მოაგროვა და მეოთხე ადგილზე მყოფ „ვილიარეალთან" სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა.

„ბარსელონამ" **ხერარდო მარტინოს** ხელმძღვანელობით პირველი მარცხი განიცადა და გულშემატკივრების წინაშე რეაბილიტაციას სწორედ „სან მამეს ბარიაზე" ეცდება, თუმცა ეს იოლი გასაკეთებელი არ იქნება, რადგან ახალ არენაზე „ატლეტიკს" ჯერ თამაში არ წაუგია (4 მოგება, 2 ფრე. კიდევ 1 საშინაო მატჩი გუნდმა „ანოეტაზე" მოიგო) და ისედაც, „ბარსას" ბასკეთის უდიდეს ქალაქში თამაში ყოველთვის უჭირდა.

შარშანდელი და შარშანწინდელი დაპირისპირება ერთნაირი ანგარიშით, 2:2 დასრულდა, იმის წინ კი გამარჯვება კატალონიელებს დარჩათ. „ბილბაოს" საკმაოდ დიდი ხანია მეტოქე არ დაუმარცხებია - ბასკებმა „ბარსას" ბოლოს 2006 წელს, **ირაოლას, ფელიპეს** და **ოლეგერის** (ავტოგოლი) ბურთების წყალობით, 3:1 მოუგეს.

ბასკებს ტრავმის გამო მხოლოდ **კიკე სოლა** არ ეყოლებათ, სამაგიეროდ დისკვალიფიკაცია მოიხადა **არიც ადურისმა**. გაცილებით სერიოზული დანაკლისი აქვს „ბარსას": **ვიქტორ ვალდესი, დანი ალვეში, ჟორდი ალბა** და რაც მთავარია, **ლიონელ მესი** ამ შეხვედრაში ვერ ითამაშებენ. ალვეშმა საერთო ჯგუფთან ვარჯიში კი განაახლა, მაგრამ ექიმების თქმით, მოედანზე დაბრუნება მისთვის ჯერ ადრეა.

**1 დეკემბერი. სან მამესი**

**00:00**

**ბილბაო**

ურთიერთშეხვედრები

**სულ 46 თამაში: +6 =11 -29 (40:101)**

ბოლო 6 მატჩი

+4 =1 -1 (9-6) +5 =1 -0 (14-2)

**ბარსელონა**

სავარაუდო შემადგენლობები

ბილბაო: ირაისოსი; ლაპორტი, გურპეგი; ირაოლა, ბალენსიაგა; მ. რიკო, იტურასპე; დე მარკოსი; სუსაეტა, მუნიაინი; ადურისი

ბარსელონა: ფაბრეგასი; ა. სანჩესი, ნეიმარი; ბუსკეტსი; ინიესტა, ჩავი; ადრიანო, პუიოლი, პიკე, მონტოია; პინტო

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** კიკე სოლა - ლიონელ მესი, დანი ალვეში, ვიქტორ ვალდესი, ჯონათან დოს სანტოსი, ჟორდი ალბა, იბრაჰიმ აფელაი

## სხვა მატჩები

მადრიდის „რეალი" „ვალიადოლიდს" უმასპინძლებს, მეორე მადრიდული გუნდი „ატლეტიკო" კი სტუმრად „ელჩესთან" ითამაშებს. **კრიშტიანო რონალდოს** თამაშის საკითხი მატჩის წინ გადაწყდება. **კარლო ანჩელოტის** თქმით, პორტუგალიელი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითამაშებს, თუ 100 პროცენტით იქნება მზად, ხოლო უმცირესი რისკის არსებობის შემთხვევაშიც კი, ის მოედანზე არ გავა. წესით, რონალდოთი თუ მის გარეშე, „სამეფო კლუბმა" სამი ქულა იოლად უნდა მოიპოვოს. ოთხშაბათს „რეალმა" რონალდოს გარეშე, თანაც 10-კაცით „გალათასარაის" სძლია და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ „ვალიადოლიდი" „გალაზე" ძლიერი გუნდი არ უნდა იყოს...

პირველი ადგილი დაიკავა ჯგუფში მადრიდის „ატლეტიკომაც", რომელსაც საკმაოდ რთული მატჩი ელის - „ელჩე" შინ კარგად თამაშობს, რაზეც „რეალთან" (1:2, უსამართლოდ დანიშნული პენალტის წყალობით) და „ვალენსიასთან" ჩატარებული (2:1) მატჩებიც მეტყველებს.

**ტატო ბაციკაძე**






ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩემპიონთა ლიგა. V ტურის სტატისტიკა და სიმბოლური ნაკრები

# ენდშპილის წინ

**ჩემპიონთა** ლიგის 5 ტური ჩავლილია, ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე კლუბებს თითო თამაში დარჩათ გასამართი. მერვედფინალების 16 საგზურიდან ზუსტად ნახევარი გათამაშებულია. ამიტომაც, ბოლო ტურში საინტერესო ბატალიები გველის, რადგან ერთბაშად 8 ადგილია გასათამაშებელი. რომ შევადაროთ ევროპალიგას, სადაც 24 საგზურიდან უკვე 18 დარიგებულია, კარგად დავინახავთ, რომ ჩემპიონთა ლიგა ინტრიგას ბოლომდე ინარჩუნებს.

## სალაჰი ექსპერტთა რჩეული, იბრა - ფანების

უეფას საიტის ექსპერტთა ჯგუფმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა ტურის სიმბოლური ნაკრები შემოგვთავაზა, რომელშიც „მანჩესტერ იუნაიტედის" ორი მცველი მოხვდა, რომელთაც არა მარტო საიმედო თამაშით, არამედ გოლებითაც გამოიჩინეს თავი. ბუნებრივია, სიმბოლურშია „იუვენტუსის" ბოლო შეხვედრის გმირი **არტურო ვიდალი**, ვინც ჰეთთრიკი შეასრულა.

V ტურის სიმბოლური ნაკრები თქვენს წინაშეა, ფრჩხილებში ფეხბურთელებს ექსპერტთა მიერ მინიჭებული საშუალო შეფასება უწერიათ. ალსანიშნავია, რომ მხოლოდ იუნაიტედს ჰყავს ორი წარმომადგენელი, დანარჩენი 9 ფეხბურთელი 9 კლუბს წარმოადგენს.

როგორც ხედავთ, ორმა ფეხბურთელმა უეფას ექსპერტთაგან ძალიან მაღალი შეფასება მიიღო: არტურო ვიდალმა და **მოჰამედ სალაჰმა** (ბაზელი) 9-9 ბალი მიიღეს. 21 წლის ეგვიპტელმა შემტევმა ნახევარმცველმა „ჩელსის" კარში გამარჯვების გოლის გატანით და ბრწყინვალე თამაშით დაიმსახურა აღიარება.

ალსანიშნავია, რომ მაღალი შეფასებები მიიღეს **უეინ რუნიმ** (მანჩესტერ იუნაიტედი) და **სამირ ნასრიმაც** (მანჩესტერ სიტი), მაგრამ ისინი სიმბოლურ ნაკრებში ვერ მოხვდნენ.






ეგვიპტელი მოჰამედ სალაჰი სრულიად შვეიცარიის გმირია

უეფას საიტი პარალელურად ფანთა ხმებსაც ითვლის. აი, გულშემატკივართა ფავორიტი „პარი სენ-ჟერმენის" ფორვარდი **ზლატან იბრაჰიმოვიჩია** (8,5 საშუალო შეფასება), მას სულ მცირედით ჩამორჩა **კაკა** (მილანი, 8,4).

## სტატისტიკა და ფაქტები

* **კრიშტიანო რონალდოს** ჩემპიონთა ლიგაზე საშუალოდ 2 გოლი გააქვს თამაშში.

* ყველაზე შედეგიანი „რეალია", საშუალოდ 3,6 გოლი თამაშში.

* ყველაზე მეტი საგოლე პასი **უეინ რუნის** აქვს - 6.

* ყველაზე მეტი დარტყმა აიცილა **კარლოს ტევესმა** - 11.

* ყველაზე მეტი პასი გააკეთა... „პარი სენ-ჟერმენმა" - 3 915.

* ყველაზე დიდი სხვაობა ბურთის ფლობაში იყო „სელტიკი"-"ბარსელონას" (0:1) მატჩში - 42%. რა თქმა უნდა, ესპანელთა სასარგებლოდ.

* სულ გავიდა 235 გოლი, კარში ზუსტად 1 154 დაარტყეს, 819-ჯერ აიცილეს, 805 კუთხური ჩააწოდეს.

* ყველაზე მეტი ჯგუფურ ეტაპზე ირბინა **ნემანია მატიჩმა** (ბენფიკა) - 66 390 მეტრი.

* ყველაზე მეტი ზუსტი პასი გააკეთა **ტიაგო მოტამ** (პსჟ) - 522.

**ბომბარდირები:** 8 - კრიშტიანო რონალდო (რეალი), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 6 - ლიონელ მესი (ბარსელონა), სერხიო აგუერო (სიტი); 5 - ალვარო ნეგრედო (სიტი), არტურო ვიდალი (იუვენტუსი).

**ასისტენტები:** 6 - უეინ რუნი (იუნაიტედი); 5 - ანხელ დი მარია (რეალი); 4 - ტიაგო მოტა (პსჟ), სამირ ნასრი (სიტი), გრეგორი ვან დერ ვილი (პსჟ).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ხელბურთი

# ქართველები თუ... რუსები?



საქართველოს 18-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები, **ტიტე კალანდაძისა და გიორგი გვაზავას** ხელმძღვანელობით, ერევანში სომხეთის პრემიერ-მინისტრის თასის გათამაშებაში მონაწილეობს. პირველ ტურში საქართველოს ნაკრებმა უკრაინის გუნდს სძლია 33:28, გუშინ კი მასპინძლები დაამარცხა.

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრებმა, რომლებიც 2014 წლის 18-წლამდელ ხელბურთელთა ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადებიან, გუშინდელი მატჩიც მაღალ დონეზე ჩაატარეს და ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვეს - 32:21. რუსებმა უკრაინელებს მოუგეს 43:16.

**სომხეთის პრემიერ-მინისტრის თასი.**

**ერევანი. 29 ნოემბერი. II ტური.**

**საქართველო-სომხეთი 32:21**

**საქართველო:** ცინცაძე, ხიდეშელი, აბჟანდაძე (9), ორჯონიკიძე (7), დემეტრაშვილი (6), ბაძალუა (5), დიხამინჯია (3), კოხრეიძე (2), გოგოლაძე, გიორგაძე, ცუხიშვილი, ნაზლაიძე, ხაჟომია, ცხვარაშვილი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 88:29 | 4 |
| საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | 65:49 | 4 |
| უკრაინა | 2 | 0 | 0 | 2 | 44:76 | 0 |
| სომხეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 34:77 | 0 |

მთავარი პრიზის მფლობელი დღეს საქართველო-რუსეთის დაპირისპირებაში გამოვლინდება. მე-3 ადგილისთვის სომხეთი და უკრაინა ითამაშებენ.

**ვაჟა დანელია**

# გოგონებმა მეორეც წააგეს

**საქართველო-ზაპოროჟიე 15:26**

**საქართველო:** ყაველაშვილი, ჯავახია, გადელია (6), ბერიძე (4), ჯალათაშვილი (2), ჩოხელი (2), ნარიმანიძე (1), გიორგაძე, გაბისონია, ლვალაძე, სიხარულიძე, ჩოგოვაძე, ყაველაშვილი, ვენეცკი.

უკრაინის ქალაქ ბროვარიში 15-16-წლამდელ გოგონათა საერთაშორისო ტურნირში საქართველოს გოგონათა ნაკრები (მთავარი მწვრთნელი **მაია კარბუნარი**) პირველ ტურში ბელარუს თანატოლებთან დამარცხდა - 19:27, გუშინ კი მეორე მატჩიც წააგეს - ამჯერად ზაპოროჟიეს გუნდთან დათმო ორთაბრძოლა.

ზაპოროჟიეს ნაკრები, რომელიც უმთავრესად 16 წლის გოგონებით იყო დაკომპლექტებული, მატჩის პირველი წუთებიდანვე დაწინაურდა და პირველი ტაიმი 11:7 მოიგო. შესვენების შემდეგ ანგარიშში სხვაობა უფრო გაიზარდა და ერთი წლით უმცროსი კარბუნარის შეგირდები 15:26 დამარცხდნენ. უკრაინამ ბელარუსს აჯობა - 22:17

სატურნირო მდგომარეობა: **უკრაინა - 4, ზაპოროჟიე, ბელარუსი - 2-2, საქართველო - 0 ქულა.**

დღეს ბოლო ტურში ითამაშებენ: **უკრაინა-საქართველო, ბელარუსი-ზაპოროჟიე.**

**ვაჟა დანელია**

# ვინ იპირველებს აღმოსავლეთში?

**1998-99 წლებში** დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობის აღმოსავლეთის ჯგუფის შეჯიბრებებს თელავი მასპინძლობს. მეორე წრის პაექრობების შემდეგ მომდევნო ეტაპზე გასვლელი 3 გუნდის ვინაობა გაირკვა: გორი-რუსთავი 30:17, ახაშენი-რუსთავი 9:26, რუსთავი-ყვარელი 23:33, ახაშენი-გორი 2:16.

**თელავი-გორი 24:29**

თელავი: ლილუაშვილი, დანილაშვილი (12), კაიშაური (5), ბაჩიაშვილი (3), ყორიაული (2), გიგაური (2), ჯამიაშვილი (1).

გორი: ვათიაშვილი, მურადაშვილი (8), მჭედლიშვილი (7), ტარუაშვილი (7), ნიაზაშვილი (4), ქესანაშვილი (3), ტიელიძე.

გუშინდლამდე თელავის გუნდი მყარად იდგა გათამაშების ცხრილის სათავეში. გუშინ გორელებთან მინიმალური ანგარიშით წაგებაც ხელს აძლევდა აღმოსავლეთ საქართველოს ჩემპიონობისთვის, მაგრამ გორელებმა ყველაფერი თავდაყირა დააყენეს - მასპინძლებს 5 ბურთის სხვაობით (29:24) სძლიეს და პირველ ადგილზე გასვლის შანსი თავადაც შეინარჩუნეს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, დღევანდელი ყვარელი-თელავის პაექრობა როგორ დამთავრდება. მასპინძლებს 2 ბურთის სხვაობით წაგებაც ხელს აძლევთ პირველობისთვის, 3-5 ბურთის სხვაობით მარცხის შემთხვევაში გათამაშების ცხრილის სათავეში გორი მოექცევა, ყვარლელები 6 და მეტი ბურთით მატჩის მოგებით უძლიერესის სახელს თავად მოიპოვებენ. მომდევნო ეტაპზე ყვარელი, გორი და თელავი გავიდნენ.

**ვაჟა დანელია**



ძიუდო. ძიგორო კანოს ტურნირი




**ლუხუმ ჩხვიმიანმა** (60) თითო მოგება-წაგებით დაასრულა გამოსვლა ტოკიოში 29 ნოემბერს დაწყებულ ძიგორო კანოს მემორიალზე. მოლოდინისამებრ, ჩვენებურმა თავიდან იოლად დაამარცხა ჰონგკონგელი **იუკ ტინ ლეე** - ჯერ ვაზარი აართვა, მერე კი წმინდად მოუგო. მეორე წრეში ქართველს მეტოქედ სამხრეთკორეელი მსოფლიოს წლევანდელი მესამე პრიზიორი **ვონ ჯინ კიმი** ხვდა, რაც ასევე მოსალოდნელი იყო. მას პირველ შეხვედრაში საკმაოდ გაუჭირდა იაპონური ფესვების მქონე ბრაზილიელ **ერიკ ტაკაბატაკეს** დამარცხება - მხოლოდ იუკოთი აჯობა. კიმთან ვერც ჩხვიმიანი გახდა ვერაფერს, თუმცა სანუგეშოდ ის თუ გვექნება, რომ ილეთი არ გაუშვია და გაფრთხილებებით მოხსნეს. ამით ჩვენებური ტურნირსაც გამოეთიშა, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა მასზე შეიძლება ითქვას: მოსაგები მოიგო და წასაგები წააგო. ჩხვიმიანი წლეულს საქართველოს ჩემპიონი კი გახდა, მაგრამ ჯერ მაინც ახალგაზრდაა - 20 წლის და საერთაშორისო ტურნირებში ასპარეზობის გამოცდილებაც აკლია, მეტოქე კი სერიოზული ჰყავდა. მართალია, კიმი საბოლოოდ ფინალში დამარცხდა მასპინძელთა წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონ **ნაოჰისა ტაკატოსთან**, მაგრამ მანამდე მონღოლებთან დამაჯერებლად იმარჯვა - ქვეჯგუფში ამ სეზონში უკვე მეორედ აჯობა წონაში ანგარიშგასაწევ **ბოლდბაატარ განბატის** (ამჯერადაც იპონით), ნახევარფინალში კი მძიმე ბრძოლაში მსოფლიოს წლევანდელ ფინალისტ **ამარტუვშინ დაშდავაასაც** დააყრევინა ფარ-ხმალი.

# მარცხიანი დასაწყისი

ტაკატომ ფავორიტის შესაფერისად იჭიდავა და ოთხივე შეხვედრა იპონით მოიგო. ამათგან ყველაზე ძნელი ნახევარფინალური გამოდგა დაშდავაასთან, რაც მსოფლიოს წლევანდელი პირველობის ფინალის გამეორება გამოდგა. როგორც მაშინ, მასპინძელმა ახლაც იპონით იმარჯვა, თუმცა მანამ ვაზარიც აართვა მეტოქეს. კარგი სტარტი აიღო ყაზახმა **იელდოშ სმეტოვმაც**, რომელმაც რუსთა სახელით მოჭიდავე გორელი **ვიქტორ მშვიდობაძის** შემდეგ მასპინძელი **ტორუ შიშიმეც** დააიპონა (თუმცა ქართველს ვაზარი ამოუქაჩა) და ნახევარფინალშიც გავიდა, მაგრამ იქ იაპონელებმა დაიბრიყვეს - ჯერ ტაკატომ დააბერტყა ვაზარ-იპონზე, მერე, ბრინჯაოსთვის პაექრობაში - **შინჯი კიდომაც**. არადა, ეს ჯგუფი საკმაოდ ძლიერი იყო - აქ ბრაზილიელთა ოლიმპიური ბრინჯაოს მედალოსანი **ფელიპე კიტადაიც** გამოდიოდა, მაგრამ პირველივე ბრძოლაში შიშიმემ გააცამტვერა - ყველა სინჯის გდება ჩაუტარა.

66 კილოგრამშიც იაპონელმა - **ტომოფუმი ტაკაჯომ** გაიმარჯვა, ვინც ფინალში ბრწყინვალედ დააიპონა ბრაზილიელი **ჩარლეს ჩიბანა**.

საერთოდ, გუშინ ტოკიოში იაპონელთა დღე იყო - ქალებშიც სამივე წონაში მათ გაიმარჯვეს. თან - ძირითადად ახალმა კადრებმა. 48 კილოგრამში სულაც 18 წლის გოგომ - **ამი კონდომ** მოიგო, ვინც სპორტული გმირობა ჩაიდინა - მოქმედ ოლიმპიურსა და მსოფლიოს ჩემპიონებს მოუგო. 17-წლამდელთა შორის მსოფლიოს ჩემპიონმა კონდომ ნახევარფინალში ოლიმპიადის მომგები ბრაზილიელი **სარა მენეზესი** დააიპონა, ფინალში კი ძალზე ჭკვიანურად, კომბინაციური ილეთით ბეჭებზე დასცა მონღოლი მსოფლიოს გამარჯვებული **ურანცეცეგ მუნკბატი**. კონდოს ასაკს და შესაძლებლობებს თუ გავითვალისწინებთ, არაა გამორიცხული, წარმატებით შეცვალოს ამ წონის ლეგენდარული თანამემამულე **რიოკო ტომურა-ტანი**, ვინც 7-ჯერ მოიგო მსოფლიოს პირველობა, ორჯერ - ოლიმპიადა, კიდევ ორჯერ იჭიდავა თამაშების ფინალი, ერთხელ კი ბრინჯაოც მოიპოვა.

იაპონელ ქალთა გუშინდელი სამეულიდან ცნობილი მხოლოდ 52-ში გამარჯვებული იუკი ჰაშიმოტოა - მსოფლიოს წლევანდელი მესამე პრიზიორი, ვინც ფინალში ბრაზილიელი მსოფლიოს ასევე წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი **ერიკა მირანდა** დააიპონა. ალბათ, **ნაე უდაკას** (57) გამარჯვება უფრო მისი მთავარი თანაგუნდელის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **კაორი მაცუმოტოს** არყოფნას უნდა მივაწეროთ.

კვარცხლბეკი

**ვაჟები**

**60 კგ.** 1. ნაოჰისა ტაკატო (იაპონია); 2. ვონ ჯინ კიმი (სამხრეთ კორეა); 3. შინჯი კიდო, ტორუ შიშიმე (ორივე - იაპონია).

**66 კგ.** 1. ტომოფუმი ტაკაჯო (იაპონია); 2. ჩარლეს ჩიბანა (ბრაზილია); 3. დავიდ ლაროსე (საფრანგეთი), რენ მიაზაკი (იაპონია).

**ქალები**

**48 კგ.** 1. ამი კონდო (იაპონია); 2. ურანცეცეგ მუნკბატი (მონღოლეთი); 3. სარა მენეზესი (ბრაზილია), ემი იამაგიში (იაპონია).

**52 კგ.** 1. იუკი ჰაშიმოტო (იაპონია); 2. ერიკა მირანდა (ბრაზილია): 3. ამდრეა ჩიტუ (რუმინეთი), აი შიშიმე (იაპონია).

**57 კგ.** 1. ნაე უდაკა (იაპონია); 2. მარტი მალოუ (აშშ); 3. ჩრისტა დეგუჩი, ანზუ იამამოტო (ორივე - იაპონია).

დღეს კანოს მემორიალზე სამი ქართველი იჭიდავებს. **ფრიდონ გიგანი** (73) პირველსავე წრეში იაპონელ მსოფლიოს ჩემპიონსა და ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსან **რიკი ნაკაიას** ხვდება. ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) მეორე წრიდან ჩაებმება შეჯიბრებაში ისლანდიელ **იურა სვეინბჯორნთან** შეხვედრით. ასევე მეორე წრიდან დაიწყებს ასპარეზობას ამავე წონაში **უშანგი მარგიანიც** - ყაზახ **დაულეტხან ჟაკიპოვს** დაეჭიდება.

ტოკიოში ხვალ ქართული კვარტეტი იასპარეზებს. მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონი **ვალერი ლიპარტელიანი** (90) თავიდან ისვენებს, მისი მეტოქე კი იაპონელი **ჰიროტაკა კატოსა** და შვედი **იოაკიმ დვარბიხის** შეხვედრაში გაირკვევა. **ალექსანდრე მსხალაძეს** (100) წილისყრამ თავიდან იაპონელი მსოფლიოს ორგზის ბრინჯაოს მედალოსანი (ოღონდ – ქვედა წონებში) **ტაკაში ონო** არგუნა, **ლევან მატიაშვილს** (+100) ასევე მასპინძელთა ლიდერი, ქვეყნის ორგზის გამარჯვებული **რიუ შიჩინოე**, **გიორგი ზაქარიაძეს** (+100) გერმანელი **სვენ ჰაინლე**.

**ირაკლი თავაძე**

● კრივი

# ღვაწლი დაუფასდებათ



## გორში კრივის ახალი დარბაზი აიგება

**ამ დღეებში ახალქალაქში გამართულ საქართველოს ახალგაზრდულ პირველობაზე კრივში, გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო შედეგს გორის გუნდმა მიაღწია. 9 წონითი კატეგორიიდან გორელებს სამში ოქროს, ორში კი ბრინჯაოს მედლები ერგოთ. გამარჯვებულები გახდნენ ლაშა კობახიძე (49 კგ), გიორგი დოლიაშვილი (64), გიორგი ზედგინიძე (81), მესამე ადგილებზე გავიდნენ მიხეილ გაბინაშვილი (52) და იოსებ აბულაძე (69). გუნდი დაკომპლექტებული იყო გორელი და ვარიანელი მოკრივეებით. ბოლო წლებში ისინი ყველა მნიშვნელოვანი შეჯიბრების წინ ერთობლივად ემზადებიან, ერთ გუნდად გამოდიან და წარმატებებსაც აღწევენ. ვესაუბრებით გორის კრივის სკოლის დირექტორს, მწვრთნელ ავთანდილ შოშიაშვილს.**

- საქართველოს პირველობისთვის გუნდის ორკვირიანი საერთო ფიზიკური და ათდღიანი ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადება გორის კრივის სკოლაში საკმაოდ ნაყოფიერი გვქონდა. მწვრთნელებმა და სპორტსმენებმა ყველაფერი გააკეთეს წარმატებისთვის და მოხარული ვარ, რომ შრომა დაუფასდათ. ლაშა კობახიძე საქართველოს პირველობის შარშანდელი ფინალისტია და სასიამოვნოა, რომ ეს მან წლეულსაც შეძლო და, რაც მთავარია, ამჯერად დაძაბულ პაექრობაში ფინალში მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელს მიხეილ კაზარიანს სძლია. ოქროს მედალი პირველია გიორგი ზედგინიძისთვისაც, რომელსაც აქამდე მხოლოდ პრიზიორთა შორის ვხედავდით. საქართველოს პირველობაზე გამარჯვებული ადრეც ყოფილა გიორგი დოლიაშვილი, რომელმაც ამჯერად ოთხი შეხვედრა მოიგო და კვლავ არავის დაუთმო პირველობა თავის წონაში. აღსანიშნავია, რომ წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე მას ცოტა დააკლდა კვარცხლბეკამდე, როდესაც უნგრელ მოკრივესთან წააგო 1:2. იმედი გვაქვს, სამომავლოდ დოლიაშვილი საერთაშორისო არენაზეც გვასახელებს.

**- საერთაშორისო რინგზე სულ ცოტა ხნის წინათ რატი ტლაშაძემ (75 კგ) გასახელათ. არ შეგეძლოთ მისი ძალა ახალგაზრდებშიც გეცადათ?**

- დიახ, რატი ამას წინათ ანაპაში ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალს დაეუფლა, შარშან ბრინჯაოს პრიზიორი იყო. ფინალი უშუალო პაექრობაში არც წაუგია, ნატკენი ხელის გამო არ დართეს ექიმებმა გადამწყვეტ ორთაბრძოლაში მონაწილეობის უფლება. ვფიქრობდით ტლაშაძე საქართველოს ახალგაზრდულ პირველობაზე გამოგვეყვანა და დამერწმუნებით, რომ მისგან მედალიც მოსალოდნელი იქნებოდა, მაგრამ ვარჩიეთ ამ შეჯიბრებაზეც მას დაესვენა.

**- ორიოდე სიტყვით პრიზიორებზეც შევჩერდეთ.**

- მიხეილ გაბინაშვილი კადეტთა შორის შარშანდელი საქართველოს ჩემპიონია. ახალგაზრდებში ფაქტობრივად დებიუტი ჰქონდა, თუმცა პრიზიორთა შორის მაინც მოხვდა. ისიც და კიდევ ერთი ბრინჯაოს პრიზიორი ვარიანელი იოსებ აბულაძე პერსპექტიული სპორტსმენები არიან და მათზე სამომავლოდ დიდ იმედებს ამყარებენ მწვრთნელები.

**- ამ მოკრივეებს უახლოეს შეჯიბრებაზე სად მოუწევთ გამოსვლა?**

- საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები დეკემბრის დასაწყისში ბაქოში ალიევის წარმომადგენლობით ტურნირზე აპირებს ასპარეზობას და გუნდის შემადგენლობაში, ცხადია, ჩვენი მოკრივეებიც გავლენ რინგზე.

*P.S. საუბრის ბოლოს ბატონი ავთოსგან, რომელიც გორის საკრებულოს წევრიცაა, სასიხარულო ინფორმაცია მივიღეთ. მან გვაცნობა, რომ საკრებულოს სხდომაზე წამოაყენეს ინიციატივა გორში საშეჯიბრო დარბაზის (დაახლოებით 2000 მაყურებელზე) აშენების თაობაზე. წინადადებამ მხარდაჭერა ჰპოვა საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონ დავით რაზმაძისგან. მიუხედავად გორელ სპორტსმენთა თვალსაჩინო საერთაშორისო წარმატებებისა, ქალაქში საშეჯიბრო დარბაზი არ არსებობს და ტურნირები ტარდება მეტად არაკომფორტულ გარემოში. ამ პრობლემაზე „ლელოც“ რამდენჯერმე წერდა, რაც საკრებულოში საკითხზე მსჯელობისას მადლიერებით აღუნიშნავთ.*

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# ჩემპიონები ბაქოში იასპარეზებენ

ახალქალაქში 1996-1997 წლებში დაბადებულ მოკრივეთა საქართველოს პირველობაში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის 70 წარმომადგენელი მონაწილეობდა. გამარჯვებულები და პრიზიორები 9 წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: **ლაშა კობახიძე** (49 კგ, გორი), **ლევან კლდიაშვილი** (52, ქუთაისი), **ლევან ანთია** (56, ფოთი), **ლაშა გურული** (60, რუსთავი), **გიორგი დოდიაშვილი** (64, გორი), **ნოდარ აბულიძე** (69, თელავი), **რობერტ სიმონიანი** (75, ახალქალაქი), **გიორგი ზედგინიძე** (81, გორი), **დემურ მაჭარაშვილი** (+81). საუკეთესოები მედლებითა და დიპლომებით დააჯილდოვეს. ჩემპიონებით დაკომპლექტებული ჭაბუკ მოკრივეთა საქართველოს ნაკრები ბაქოს საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს.

**ვაჟა დანელია**

● ჭადრაკი

# ლევან ფანცულაიამ მეორეზე აინაცვლა



ლევან ფანცულაია

საქართველოს სამი წარმომადგენელი მონაწილეობს ჰაიდერაბადის (ინდოეთი) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში. გუშინ მე-6 ტურში **ლევან ფანცულაიამ** სომეხი ლევონ ბაბუჯიანი დაამარცხა და 5 ქულით მეორე ადგილზე აინაცვლა. ამდენივე ქულა მოაგროვა ალონ გრეენფელდის (ისრაელი) მძლეველმა ივან პოპოვმა (რუსეთი), რომელიც უარესი კოეფიციენტით მესამეა. 5,5 ქულით პირველ ადგილზეა ინდოელი სეთურამანი.

**მერაბ გაგუნაშვილსა** და **თორნიკე სანიკიძეს** 4,5-4,5 ქულა აქვთ. გაგუნაშვილი გუშინ სანტოშ ვიდითს (ინდოეთი) დაუზავდა, ხოლო სანიკიძემ თეთრებით შვამინათან სოუმია (ინდოეთი) დაამარცხა.

დღეს მე-7 ტურში ფანცულაია ვიდითს დაუპირისპირდება, სანიკიძე - ტერ-საჰაკიანს (სომხეთი), ხოლო გაგუნაშვილი მოჟაროვს (რუსეთი) შეხვდება.

**ვაჟა დანელია**

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. მძლეოსნური იარაღი; 3. ჩორთმავალი ცხენი. 4. ძვირფასი ლითონი ჩემპიონის მედლისთვის; 7. ფანდი; 8. სპორტული ტელეჟურნალისტი, დავით ...; 10. ქალაქი, სადაც რ. შავლაყაძე გახდა ოლიმპ. ჩემპიონი; 12. საკალათბურთო ასოციაცია (შემოკლებით); 14. წყალმხტომელი ... ცოტაძე; 15. ფეხბურთელი ჯანლუკა ...; 17. ფრანგი ფეხბურთელი, ჯიბრილ ...; 19. საფრანგეთის საფეხ. კლუბი; 21. საფარიკაო იარაღი; 22. მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, თავდამსხმელი, მიროსლავ ...; 24. ... მანჯგალაძე; 26. ლეგენდარული ლიბერიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი; 28. სპორტული ნავი.

**შვეულად:** 1. ბურთით და კეტით თამაში; 2. პერსონაჟი კინოფილმ „რეკორდიდან“, ... ხუნჭუა; 5. შერკინება ძველქართულად; 6. გერმანული სპორტული ჟურნალი; 8. დახელოვნებული მონადირე; 9. კვიპროსის საფეხ. კლუბი; 11. ჩოგბურთელი, რაფაელ ...; 13. ესპანეთის საფეხბ. კლუბი; 16. ავსტრიის საფეხბ. კლუბი; 18. ვეტერანი ხელბურთელი, ამბერკი ...; 20. ლეგენდარული ქართველი ველომრბოლი; 23. ოლიმპიელების მითოლოგიური მეთაური; 25. მძლეოსნური დისციპლინა; 27. ალესანდრო დელ პიეროს ფსევდონიმი.

**შეადგინა თენგიზ თომაშვილმა**
*პასუხები შემდეგ ნომერში*

● იუბილარი

# ლუკა მესხი – 70



გასული საუკუნის 60-იანი წლების სპორტულ ტანმოვარჯიშეს - საქართველოს სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს, სპორტის ოსტატ **ლუკა მესხს** დაბადების 70 წელი შეუსრულდა. ტანვარჯიშს ყმაწვილობიდან ნაზიარებმა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო განათლების სამინისტროს №2 სპორტულ სკოლა-ინტერნატში ჯერ მწვრთნელ პედაგოგად, შემდეგ კი სპორტული ტანვარჯიშის განყოფილების გამგედ.

1980 წლიდან იყო საქართველოს ნაკრები გუნდის წამყვანი მწვრთნელი. აღზარდა საქართველოს მრავალი ჩემპიონი და პრიზიორი, მათ შორის საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი რგოლებზე ვარჯიშში ალექსანდრე ლებედევი. საქართველოს ნაკრებში ბევრი მისი შეგირდი მონაწილეობდა საერთაშორისო ტურნირებში.

დღესაც ლუკა მესხი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წამყვანი მწვრთნელია, მისი მოსწავლე საბა აბესაძე არის საქართველოს ჩემპიონატის II პრიზიორი და როგორც პერსპექტიული ტანმოვარჯიშე წარმატებით ემზადება 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის.

ლუკა მესხი არის ეროვნული და საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

გვეამაყება, რომ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ამ ღვაწლმოსილმა ადამიანმა ქართული ტანვარჯიშის განვითარებას მიუძღვნა. ვულოცავთ!

*საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია*

● საჭადრაკო ამოცანა

შამათი 2 სვლაში.



1.ლa1

● ვიქტორინა

**1. სად დაიწყო თემურ ქეცბაიას საფეხბურთო კარიერა?**

ა - გალის სპორტსკოლაში
ბ - სოხუმის „დინამოში“
გ - თბილისის სპორტულ სკოლა-ინტერნატში

**2. სად მუშაობს ამჟამად სარაგბო კლუბ „აიას,“ საქართველოსა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების ყოფილი მწვრთნელი დუგლას კავთელაშვილი?**

ა - როსტოვში
ბ - მოსკოვში
გ - კრასნოდარში

**3. რომელი წლიდან მონაწილეობენ ქართველი ფალავნები მსოფლიოს ჩემპიონატებში თავისუფალ ჭიდაობაში?**

ა - 1951 წლიდან
ბ - 1952 წლიდან
გ - 1954 წლიდან

**4. ჩამოთვლილთაგან სპორტის რომელი სახეობა არ შედის ტრიატლონში?**

ა - რბენა
ბ - ცურვა
გ - ფარიკაობა

**5. მშვილდოსნობაში რომელ წელს და სად მოიპოვა ოლიმპიური მედალი პირველად ქართველმა სპორტსმენმა?**

ა - 1976 წელს, მონრეალში
ბ - 1980 წელს, მოსკოვში
გ - 1996 წელს, ატლანტაში

პასუხები: 1-ა, 2-ბ, 3-ა, 4-გ, 5-გ.

კალათბურთი. სუპერლიგა. VII ტური

# პეტრიჩევიჩის ნაცვლად ჟღენტი

## რა მოხდა შსს აკადემიაში?

სუპერლიგის მიმდინარე გათამაშებაში ერთადერთი უცხოელი მწვრთნელი იყო - „შსს აკადემიას“ დრაგან პეტრიჩევიჩი ხელმძღვანელობდა. თუმცა მეშვიდე ტურიდან ჩვენი ჩემპიონატის ცხრავე გუნდში ქართველი მწვრთნელი იმუშავებს. „რუსთავთან“ შეხვედრაში პეტრიჩევიჩი არჩილ ჟღენტმა შეცვალა და რადგან გაჩნდა ინფორმაცია, რომ სერბი სპეციალისტი სამშობლოში მიემგზავრება, იმის თქმაც შეიძლება, რომ ჟღენტმა იგი მხოლოდ „რუსთავთან“ შეხვედრისთვის არ შეცვალა.

ახლო მომავალში იგეგმება პრესკონფერენცია, რომელზეც „შსს აკადემიას“ ამბებს დეტალურად შევიტყობთ.

29 ნოემბერი, რუსთავი

რუსთავი 68

25:13, 13:23, 8:13, 22:22

შსს აკადემია 71

რუსთავი: მაჭავარიანი (8ქ, 4მ), არნიკიძე (11ქ, 6მ, 7პ), ხმელიძე (9ქ, 9მ, 4პ), ჩაჩანიძე (4ქ), ალხანაიძე (15ქ, 4პ), ყველაშვილი (4ქ, 6მ), ათუაშვილი (17ქ, 16მ).

შსს აკადემია: ჩიკვილაძე (19ქ, 3პ), ლაფანაშვილი, ბოქოლიშვილი (10ქ, 7მ), ლონდარიძე (17ქ, 13მ), ლოლიშვილი, ლომოური (8ქ, 5მ), უგრეხელიძე (3ქ, 8მ), როგავა (13ქ, 5მ, 4პ), ტომარაძე (1ქ).

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერიშვილი, გ. მიქელაძე.

**გადამწყვეტი.** მატჩის დასრულებამდე 38 წამით ადრე „რუსთავი“ წინ იყო - 68:66. დარჩენილ დროში ჯერ სსს-ელმა **ბექა ჩიკვილაძემ** ჩააგდო ორი საჯარიმო, სირენამდე 4 წამით ადრე კი მატჩის ბედი სტუმართა სასარგებლოდ სამქულიანით **აკაკი ლომოურმა** გადაწყვიტა - 71:68.

**სტატისტიკა არ ტყუს.** ანგარიშიდანაც ჩანს, რომ შეხვედრა თანაბარი იყო. ერთადერთი, რაშიც ერთ გუნდს მეორესთან დიდი უპირატესობა ჰქონდა, სამქულიანები გამოდგა: შსს-მ 6 ჩააგდო, „რუსთავმა“ - 2.

**გამორჩეული.** მართალია, საბოლოოდ 8 ქულა მიითვალა, მაგრამ აკაკი ლომოური მაინც შეხვედრის გმირი გახდა. ბექა ჩიკვილაძემ მატჩის ბომბარდირობა არ დათმო (19 ქულა), ხოლო **ილია ლონდარიძე** და **სერგო ათუაშვილი** დუბლებში გაეჯიბრნენ. პირველმა 17 ქულას 13 მოხსნა მიამატა, მეორემ - 17 ქულას 16 მოხსნა.



29 ნოემბერი, ბათუმი

ბათუმი 110

29:20, 30:15, 27:21, 24:23

მაკაბი 79

ბათუმი: მაისურაძე, რამიშვილი (9ქ, 7პ, 5მ), ნინუა, ელიაშვილი (5ქ, 3პ), ემირიძე (2ქ), კეშელავა (11ქ), ელიაძე (5ქ), ქედუგანი (26ქ, 10მ, 5პ), სეფოლდი (25ქ, 13მ, 3პ), ჯექსონი (23ქ, 5მ, 4პ, 2დ).

მაკაბი: ტეტელაშვილი (10ქ, 8პ), გულმაგარაშვილი (3ქ), მეგენეიშვილი (8ქ, 4პ), მ. რევაზაშვილი (10ქ, 13მ, 4პ), პატარაია, ბეშქენაძე (3ქ, 5მ), ლ. რევაზაშვილი (22ქ, 8მ), ფერიაშვილი (23ქ, 9მ), ნანიტაშვილი.

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ი. ბერიშვილი, მ. ვართანოვი.

**გადამწყვეტი.** პირველ პერიოდში „მაქაბიმ“ მასპინძლებს საკმარისი წინააღმდეგობა გაუწია, მეორეში კი 15:30 დათმო და მატჩის სადავეებიც ზღვისპირელებმა ჩაიბარეს.

**სტატისტიკა არ ტყუს.** სწრაფი გარღვევების შედეგად „ბათუმმა“ 39 ქულა ჩააგდო, „მაქაბიმ“ - 7...

**გამორჩეული.** **ქედუგანი-სეფოლდი-ჯექსონის** ტრიოს ანგარიშზე 74 ქულაა. „მაქაბიდან“ კი 20-ქულიან ზღვარს **ლევან რევაზაშვილი** და **გიორგი ფერიაშვილი** ასცდნენ. ქედუგანისა და სეფოლდის დარად ორმაგი დუბლი ახალგაზრდა **მაიზერ რევაზაშვილმა** შეასრულა.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 1. ბათუმი-რსუ | 7 | 5 | 2 | 626/557 | 12 |
| 2. ქუთაისი | 6 | 5 | 1 | 541/408 | 11 |
| 3. დინამო | 5 | 5 | 0 | 442/328 | 10 |
| 4. არმია | 5 | 5 | 0 | 429/311 | 10 |
| 5. შსს აკადემია | 6 | 3 | 3 | 411/440 | 9 |
| 6. მაკაბი | 7 | 0 | 7 | 497/750 | 7 |
| 7. სოხუმი | 5 | 2 | 3 | 394/338 | 7 |
| 8. რუსთავი | 6 | 0 | 6 | 366/524 | 6 |
| 9. ოლიმპი | 5 | 1 | 4 | 378/428 | 6 |

ვაჟა სიმონიშვილი

კრივი

# AIBA-ს სამვარსკვლავიანი არბიტრი

**ამას წინათ** ანაპაში ჭაბუკ მოკრივეთა ევროპის პირველობა გაიმართა, სადაც ქართველმა სპორტსმენებმა თითო ოქრო-ვერცხლი და ორი ბრინჯაო მოიპოვეს. საგულისხმოა ისიც, რომ ფოთელი არბიტრი ზურაბ ტიბუა ტურნირის საუკეთესო მსაჯად დაასახელეს. „ზურაბ ტიბუა თითქმის ორი ათეული წელიწადია, საერთაშორისო შეჯიბრებებს ემსახურება, ყოველთვის მოწინავეთა შორისაა, მაგრამ მისი ასეთი მაღალი დონის მსაჯობა არ მახსენდება“, - მითხრა ანაპიდან დაბრუნებულმა საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, AIBA-ს დელეგატმა ვლადიმერ ახალკაცმა, რომელიც ევროპის პირველობაზე ჟიურის თავმჯდომარედ იყო მიწვეული.

არც მეეჭვება, რომ ასეც იქნებოდა, რადგან ზურაბ ტიბუას სტუდენტობიდან ვიცნობ და კარგად ვიცი მისი საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება.

ზურაბ ტიბუას გუშინ ფოთში შევეხმიანე. საუბარი ანაპაში გამართული შეჯიბრების შეფასებით დავიწყეთ.

### სადარბაზო ბარათი

**დაიბადა** 1962 წლის 30 ნოემბერს ფოთში. კრივში ვარჯიში დაიწყო 1976 წელს ტარიელ ვერულაშვილისა და ოთარ ზებულაშვილის ხელმძღვანელობით. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი საკავშირო ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორია. დაამთავრა ჯერ საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი კრივის მწვრთნელის სპეციალობით, შემდეგ კი სოხუმის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ხუთი წელიწადი სკოლაში მუშაობდა ფიზაღზრდის მასწავლებლად, 1992 წელს ფოთში დააფუძნა მოკრივეთა კლუბი „ლიდერი“, 1995 წელს მიენიჭა ჯერ ევროპის, ორი წლის შემდეგ მსოფლიოს AIBA-ს კატეგორიის მსაჯის წოდება. 2009 წელს მსოფლიო კრივის ფედერაციის უმაღლესი კატეგორიის 3-ვარსკვლავიანი მსაჯი გახდა. 1996-2008 წლებში საქართველოს კრივის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე იყო. საერთაშორისო ტურნირებზე პირველად 1995 წელს იმსაჯა თურქეთში კადეტთა ევროპის პირველობაზე. მას შემდეგ 25 მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე მიიწვიეს არბიტრად, მათ შორის — პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე (პლანეტის 34 რჩეულ მსაჯს შორის მოხვდა), სამჯერ მსოფლიოს და ოთხჯერ ევროპის ჩემპიონატებზე, შვიდ საერთაშორისო ტურნირზე. 2003 წლიდან საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა მრავალ ახალგაზრდას გაუკაფა გზა დიდი სარბიელისკენ. 2005 წლიდან ფოთის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახურის უფროსია. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

- ბოლო წლების განმავლობაში ევროპის კადეტთა პირველობაზე პირველად ვნახე ასეთი მაღალი დონის მსაჯობა. ეს 2013 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გამოძახილი იყო. ალმატიში (ყაზახეთი) პლანეტის საუკეთესო მოკრივეთა ორთაბრძოლებში უძლიერესის გამოსავლენად AIBA-მ ქულობრივი სისტემა ათბალიანი შეფასებით შეცვალა: თუ ერთი მეტოქე მეორეს ოდნავ აღემატება, მსაჯი წერს შეფასებას 10:9, თუ უპირატესობა მეტია, მაშინ 10:8. თანაც კომპიუტერი ხუთიდან სამი მსაჯის შეფასებას თავად ირჩევს გარკვეული პროგრამის შესაბამისად. არბიტრები უწინ მხოლოდ ზუსტ დარტყმებს თუ ვითვლიდით, ახლა თვალს ვადევნებთ როგორც ზუსტ დარტყმებს, ისე სპორტსმენის ტექნიკურტაქტიკურ მომზადებას. შეფასების ეს სისტემა აშკარად ჯობია უწინდელს, მიკერძოებაც ნაკლებია. ანაპაში ობიექტურ მსაჯობას შეფასების ახალ სისტემასთან ერთად იმანაც შეუწყო ხელი, რომ AIBA-ს ინსტრუქტორი არბიტრებისთვის ყოველდღიურად ატარებდა სემინარებს. ჩვენი ფედერაციის გენერალური მდივანი ვლადიმერ ახალკაცი ჟიურის ხელმძღვანელად იყო მიწვეული და მისმა პრინციპულობამაც ხელი შეუწყო გამარჯვებულთა სამართლიან გამოვლენას.



**- ჩვენს ბიჭებზე რას იტყვი?**

- ვიცი, რომ ისინი მონდომებით ემზადებოდნენ და შედეგმაც არ დააყოვნა. არც მახსოვს, ოფიციალურ შეჯიბრებებში გუნდური მესამე ადგილი დაგვეკავებინოს. ანაპაში კი ეს მოახერხეს ჩვენმა ჭაბუკებმა. განსაკუთრებით ქუთაისელი ხარაბაძე მომეწონა. ღირსეულად მოიპოვა ჩემპიონობა. რომ არა ხელის ტრავმა, შესაძლოა, გორელ ტლაშაძესაც დაეკავებინა პირველი ადგილი თ იგი ფინალური პაექრობისთვის რინგზე არ გასულა. მესამე ადგილები დაიკავეს ფოთელმა ჩარგაზიამ და რუსთაველმა მაისურაძემ. ამ ბიჭებს მეტი შეუძლიათ. გაისად სოფიაში ახალგაზრდა მოკრივეთა მსოფლიოს პირველობა გაიმართება, სადაც მედალოსნებთან ერთად მათი ვინაობაც გაირკვევა, ვინც ჩინეთში მსოფლიოს ახალგაზრდობის ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზებს. არ არის გამორიცხული ანაპური ბატალიების მონაწილეთაგან ზოგიერთი ბულგარეთსა და მერე ჩინეთშიც ვიხილოთ. მთავარია, სპორტსმენებს მომზადებისთვის სათანადო თანადგომა ჰქონდეთ. ბატონი ვლადიმერ ახალკაცი მსოფლიოს და ევროპის კრივის ფედერაციების ალმასკომის წევრია და ჩვენს ბიჭებს უსამართლოდ არავის დააჩაგვრინებს. მწვრთნელებიც კარგი გვყავს. ანაპის შეჯიბრებისთვის პირად მწვრთნელებთან ერთად ჩემპიონისა და პრიზიორების მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვით კუკური შავგულიძეს, თემურ ლორთქიფანიძეს და გოჩა რუსიას.

**- რადგან მწვრთნელებზე ჩამოვარდა სიტყვა, იქნებ გვითხრა, რა ხდება ეროვნულ ნაკრებში? ბოლო ერთი წლის განმავლობაში იქ რამდენიმე მთავარი მწვრთნელი შეიცვალა.**

- დანარჩენზე ვერაფერს გეტყვი, მაგრამ იმის თქმა კი შემიძლია, რომ ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი დავით წიკლაური ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილი სპეციალისტია და, ვიმედოვნებ, რომ ჩვენს გუნდს 2016 წლის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირებისთვის სათანადოდ მოამზადებს.

აქვე ისიც მინდა დავძინო, რომ ქართველმა მწვრთნელებმა - ქუთაისელმა ზაალ ჯავახაძემ და თბილისელმა შალვა დუნდუამ ალმატიში მსოფლიოს ჩემპიონატისას წარმატებით გაიარეს ატესტაცია და სამი ვარსკვლავი, ანუ უმაღლესი კატეგორია მიენიჭათ. ასევე, სამვარსკვლავიანი არბიტრი გახდა ტარიელ გოგოჭური. ასე რომ, დროდადრო გვემატება მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. საჭიროა, ეს ტემპი დაჩქარდეს, რაც ქართული კრივის განვითარებას შეუწყობს ხელს...

AIBA-ს სამვარსკვლავიან არბიტრ ზურაბ ტიბუას დღეს დაბადების დღე აქვს - 51 წელი უსრულდება. ვულოცავთ!

ვაჟა დანელია

● შეხვედრა წარსულთან

# ინგლისელი მწვრთნელი და ქართველი მობურთალი

ქართველები რაგბიში მაგრები რომ ვართ, სამოას ნაკრებთან გამარჯვებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა. ამ მატჩს რომ ვუყურე, სხვებივით მეც სიხარულის და სიამაყის გრძნობა დამეუფლა და ის ამბავი გამახსენდა, რომელიც დღეს უნდა მოგიყვეთ. აქვე უნდა ვთქვა ისიც, რომ სამოას დღეს კი უდავოდ ძლიერი ნაკრები ჰყავს, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ ვიყავით ბურთაობაში მაგრები, სამოაში ბურთი პირველად რომ ნახეს და გაუკვირდათ. ზოგიერთთა გასაგონად, ერთ უჯიუტეს ფაქტს მოვიშველიებ: სამოაში ბრიტანეთმა 1847 წელს დააფუძნა წარმომადგენლობა და იქაურ მეფესაც, რომელიც მშვილდ-ისრით ტიტლიკანა დარბოდა, საჩუქრად ბურთი მიართვა. ჩვენში კი სწორედ იმ წელს, რუსმა „ნამესტნიკმა“ საბურთალოს ველზე ბურთის თამაში და კრივი აგვიკრძალა - აქაოდა, მანდ მეფის მოწინააღმდეგე ახალგაზრდობა იკრიბება და ვარჯიშობსო...

ამ ყველაფრის შემდეგ კარგა დიდი დრო გავიდა, რუსეთში მეფეც ჩამოაგდეს და რევოლუციაც მოახდინეს, რის შემდეგაც, რუსმა ჯარისკაცებმა კავკასია დატოვეს - მათი ადგილი ჯერ გერმანელებმა, მერე კი ბრიტანელებმა დაიჭირეს. საქართველომ დამოუკიდებლობა ისევ დაიბრუნა, მაგრამ ბათუმის ოლქი ბრიტანულმა საოკუპაციო ჯარმა არ დატოვა. ოფიციალური ტფილისი ყველაფერს აკეთებდა ბათუმის და მისი ოლქის (ის იმხანად მხოლოდ აჭარას კი არა, ლაზეთსაც და ართვინსაც მოიცავდა) დასაბრუნებლად და იქაური ქართველობაც იბრძოდა, რომ კვლავაც საქართველოში ეცხოვრათ. საბრძოლველი კი მართლაც ბევრი ჰქონდათ - ბათუმს მაშინ ოსმალებიც ეპოტინებოდნენ, ბრიტანელებიც და... რუსებიც: ქალაქის მაშინდელი მერი, ვინმე პ. მასლოვი ირწმუნებოდა, ბათუმი ძირძველი რუსული ქალაქიაო.

ჰოდა, სანამ ასეთი ამბები მიმდინარეობდა, ბათუმში ბრიტანეთიდან სამხედრო-საზღვაო ძალების ნაწილები ჩამოვიდნენ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბრიტანელ მეზღვაურთა შორის თითქმის ყველას ემარჯვებოდა კრივიც და რაგბიც, რადგანაც ორივე სახეობა სულსა და სხეულსაც თანაბრად აკაჟებს და აქედან გამომდინარე, სამხედროთათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი რამაა. სწორედ ამიტომაც იყო, რომ სამხედრო-საზღვაო ნაწილებს რაგბის მწვრთნელი, ვინმე უორენ ჯ. უილკინსონიც ჩამოჰყვა. ის კი თურმე, პირველი ბრიტანული ნაკრების ყოფილი წევრიც გახლდათ და რაგბის ავანჩავანიც ყველაზე უკეთ ესმოდა.

მწვრთნელი უორენ უილკინსონი ყოველდღე ავარჯიშებდა მეზღვაურებს რაგბიში, მოედანი კი სოფელ ფერიას ტერიტორიაზე ჰქონიათ. სხვათა შორის, 1920 წელს, იმ ინგლისელმა მეზღვაურებმა სამუდამო განსასვენებელიც იმ მოედანზე ჰპოვეს, მაგრამ ეს სულ სხვა ისტორიაა და მანამდე - 1919 წლის მაისში კი, იქაურობა უბრალოდ, საბურთაო მოედანი იყო და სხვა არაფერი. ერთი სიტყვით, ფერიაში ინგლისელები კი ვარჯიშობდნენ, მაგრამ საჩვენებელი მატჩები არ გაუმართავთ და არც ფერიის მოსახლეობასთან ჰქონიათ ახლო კონტაქტი - სწორედ მაშინ, ბათუმში ორი დიდი ტერაქტი მოხდა და ნისლიანი



დათუნა იმნაიშვილი, 1921 წლის ფოტო

ალბიონის ძენი გვარიანად დაშინებულნი იყვნენ. ისე, რომ ადგილობრივებთან ურთიერთობას საერთოდ გაურბოდნენ. თუმცა, ინგლისელ რაგბის მწვრთნელს არაფრის ეშინოდა და აკრძალვებსაც არად დაგიდევდათ - მას საქართველო ძალიან მოეწონა და აქაურობის უკეთ გაცნობაც მოისურვა.

იმხანად, ბათუმში მეეტლეებად ორი გურული მუშაობდა - დათუნა და გიორგი იმნაიშვილები. ჰოდა, მოხდა ისე, რომ ერთ-ერთ ფერიელს ეტლით ტვირთი ფერიაში აუტანეს და უკან რომ ბრუნდებოდნენ, ინგლისელთა ვარჯიშსაც მოჰკრეს თვალი. ეს ხომ ჩვენი ლელობურთიაო, გადაულაპარაკებია დათუნას გიორგისთვის და მასაც კვერი დაუკრავს - ნამდვილად ისააო. ერთი სიტყვით, ვარჯიშს ბოლომდე უყურეს და უორენ უილკინსონიც გაიცნეს. დათუნამ იმდროინდელი საერთაშორისო ენა - ფრანგული - კარგად იცოდა და კარგი მასლაათიც გამოუვიდა მწვრთნელთან. ჰოდა, როგორც ხდება ხოლმე, საუბარ-საუბარში იმდენი საერთო ინტერესები გამონახეს, რომ უორენ უილკინსონი ქორწილშიც კი დაპატიჟეს: „ჩვენი სოფლელი თხოვდება და ჩაქველ ბიჭს მიჰყავს. ჩვენ იქ მაყრად ვართ დაპატიჟებულნი... თუ აქაურობა მართლა გაინტერესებთ, წამოგვყევით!“ - შესთავაზა დათუნა იმნაიშვილმა ინგლისელს და ისიც უყოყმანოდ დათანხმდა. ასე აღმოჩნდნენ იმავე საღამოს სამივენი სოფ. ჩაქვში, დათუნას და გიორგის თანასოფლელი გოგონას ქორწილში, მაყრებად.

უორენ უილკინსონმა შემდგომში ამ ქორწილის თაობაზე მოგონება ბრიტანულ გაზეთ „პელ მელ გაზეთში“ გამოაქვეყნა; თუმცა არა იმიტომ, რომ ღვინო დააძალეს ან ადგილობრივთა ღრეობამ აღაშფოთა - ინგლისელი გაკვირვებული დარჩა იმით, რომ დედოფლის მაყრებმა და დამხვდურებმა სუფრაზე დაჯდომამდე რაგბის მატჩი გამართეს, რომელშიც მონაწილეობამ მასაც მოუწია: „იქამდე მე ვთვლიდი, რომ რაგბი ჩემი თამაში იყო და მთელი გუნდის აყოლიებაც კი შემეძლო... თურმე ასე არ ყოფილა - ქართველებს იმდენად ვირტუოზულად სცოდნოდათ თამაში, რომ მე მოედანზე არც კი ვჩანდი. დედოფლის მაყრების გუნდში ვთამაშობდი და აშკარად ვხედავდი, რომ ეს უბრალო სოფლელები, რომელთაგან უმეტესობამ არც კი იცოდა, სად იყო ინგლისი, ტექნიკურად გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ, ვიდრე მე, ან ნებისმიერი სხვა ბრიტანელი, რომელთაც ვწვრთნიდი. სპეციფიკური ვითარება რომ არ ყოფილიყო, აუცილებლად უნდა მეთხოვა მათთვის, ბრიტანეთში ჩამოსულიყვნენ და ჩვენს არმიულ კლუბში დაეწყოთ ვარჯიში... თუმცა, ამის შესაძლებლობა მაშინ არ იყო - ბათუმი დროებით გვქონდა ოკუპირებული და მალე უნდა გავსულიყავით ოლქიდან. აქედან გამომდინარე, იქაურები ბრიტანელებად არ ითვლებოდნენ და მეც ძალიან დამწყდა გული, რომ მათ ჩვენს კლუბებში თამაში არ შეეძლოთ“ - დაწერა შემდგომში ინგლისელმა მწვრთნელმა.

დათუნა იმნაიშვილი მეორე მსოფლიო ომის დროს მართლაც მოხვდა ბრიტანეთში - ის გერმანელებს ჩაუვარდა ტყვედ და ამერიკელებმა გაათავისუფლეს. სტალინის შიშით, სამშობლოში ველარ დაბრუნდა და ბრიტანეთში წავიდა. იქ მერე როგორღაც, ისევ ნახა უორენ უილკინსონი, რომელიც უკვე საკმაოდ მხცოვანი იყო და რაგბის ფედერაციის საპატიო წევრი გახლდათ. სწორედ ინგლისელმა მორაგბეებმა გაუწიეს დახმარება მას, რათა ბრიტანეთში თავშესაფარი მიელო. პეტიციაში, რომელიც მის თაობაზე საიმიგრაციო სამსახურს წარუდგინეს, ასე წერია: „ეს პიროვნება რაგბის საუკეთესო ოსტატია. ფლობს თამაშის უბადლო ტექნიკას და ისეთ ხერხებს, რაც ჩვენში ჯერ არავის სმენია... ეს კაცი დიდად საჭიროა ინგლისურ რაგბიში, როგორც მწვრთნელი-კონსულტანტი.“

**მიხეილ ლაბაძე**



ბრიტანეთის იმპერიის რაგბის პირველი ნაკრები. ცენტრში, ბურთით - უორენ უილკინსონი

● ინტერვიუ ზაალ რუხაძესთან



მარცხნივ ზაალ რუხაძე

# ახალგაზრდა ტალანტი სამხრეთ აფრიკაში

*„ზაალი „ჯონსონს კოლეჯ როვერსის“ 20-წლამდელთა გუნდის წევრია. მან წლეულს დიდი როლი ითამაშა გუნდის მიერ მიღწეულ წარმატებაში. ის არის ახალგაზრდა კაცი, რომელსაც აქვს შესანიშნავი პრინციპები. არის სამართლიანი, შრომისმოყვარე და დისციპლინირებული. იგი მზადაა წარმატებით ითამაშოს ყველა პოზიციაზე. მისი თავდაუზოგავი დამოკიდებულება საქმისადმი ნათლად აისახა გუნდზეც.*

*ზაალის სიძლიერის საწინდარი, მის დისციპლინირებულობასა და თამაშის მიმართ სერიოზულ მიდგომაშია, როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ. ის სწრაფად ვითარდება ფიზიკურად, არის დომინანტური თავდამსხმელი და თამაშში შეუჩერებელია. განსაკუთრებით აღსანიშნავია, როგორ მტკიცედ შრომობს საკუთარ თავზე. ამ სეზონში განსაკუთრებით გააუმჯობესა ბურთის ტარება და შერკინებაში თამაში. ზაალი საკმაოდ თვითკრიტიკულია, რის შედეგადაც,ს საგრძნობლად აუმჯობესებს თამაშის ხარისხს.*

*ის გუნდში თავის მოვალეობას სრული პასუხისმგებლობით ასრულებს, რის გამოც ძალიან ღირებული და პოპულარული წევრი გახდა ჩვენს გუნდში. მისმა პოზიტიურმა ხასიათმა და შემართებამ ყველა მოთამაშის პატივისცემა მოაპოვებინა და სამაგალითო გახდა უმცროსი მოთამაშეებისთვის.*

*უყოყმანოდ შემიძლია რეკომენდაცია გავუწიო ზაალს ნებისმიერ გუნდში, რადგან დარწმუნებული ვარ, ის წარმატებული იქნება ნებისმიერ პროფესიულ კლუბში, სადაც კი მოხვდება“* - აი ასე ახასიათებს 19 წლის ქართველ მორაგბეს, **ზაალ რუხაძეს** სამხრეთაფრიკული „ჯონსონს კოლეჯ როვერსის“ 20-წლამდელთა გუნდის მწვრთნელი **მაიკ ვოლესი.**

სამხრეთ აფრიკაში გადაბარგებამდე ზაალ რუხაძე თბილისის „ჯიქების“ ღირსებას იცავდა. მისი მწვრთნელი **გიორგი ამირხანაშვილი** იყო. ამ კლუბში თამაშისას მან საქართველოს ჩემპიონატის B ლიგის გათამაშება მოიგო.

**- როგორ აღმოჩნდით სამხრეთ აფრიკაში. ეს სარაგბო ქვეყანაა, სადაც რაგბის გუნდში მოხვედრა და იქ ფეხის მოკიდება იოლი საქმე არაა..**

- სამხრეთ აფრიკაში ჩემი ყოფილი თანაგუნდელი გიორგი ნოზაძე ვარჯიშობდა. ის „ჯიქებში“ გარემარბად თამაშობდა. დახმარება მან გამიწია. ჩემი მონაცემები გიორგის მეშვეობით გავაგზავნე და ჩემს ჩასვლას დათანხმდნენ. თავდაპირველად, პირადი სპონსორი მყავდა, რომელიც ჩემს გამგზავრებას და იქ ყოფნას ფინანსურად უზრუნველყოფდა. მეორე წელს კი, კოლეჯიდან ასპროცენტიანი დაფინანსება მივიღე.

**- რაგბის თამაშის სწავლასთან ერთად, ალბათ, განათლებასაც იღებთ...**

- დიახ, სპორტის მენეჯმენტს გვასწავლიან, ასევე გავდივართ პირადი მწვრთნელის კურსებს.

**- რომელ ქალაქში მდებარეობს „ჯონსონს კოლეჯ როვერსი“? იქნებ გვიამბოთ, როგორი ინფრასტრუქტურა აქვს მას?**

- „ჯონსონს კოლეჯ როვერსი“ დურბანში მდებარეობს. ჩვენი კოლეჯი ზე რაგბის გუნდისთვის, „ნატალ შარქსისთვის“ ამზადებს მორაგბეებს. აქედან გამომდინარე, ცხადია, პირობები შესანიშნავია. საკმაოდ დიდი საწვრთნელი ბაზა აქვთ, რამდენიმე სტადიონითა და სხვა სათავსოებით. მწვრთნელთა შტაბი მხოლოდ იმაზე არის კონცენტრირებული, რომ ახალი, ძლიერი თაობა გაზარდოს.

სამხრეთ აფრიკაში რაგბი რელიგიის დონეზეა აყვანილი. ქალაქში „ნატალ შარქსის“ სპორტული ტანსაცმლით რომ დადიხარ, ყველა ყურადღებას გაქცევს, გაჩერებენ, გესაუბრებიან, ფოტოებს იღებენ. ერთი სიტყვით, ყველა ნაბიჯზე გრძნობ, რომ რაგბის და მორაგბეებს დიდ პატივს სცემენ.

**- მწვრთნელის დახასიათებაში წერია, რომ წლეულს წარმატებას მიაღწიეთ.**

- დიახ, წლეულს ჩემპიონები გავხდით ჩვენი ასაკის გუნდების შეჯიბრებაში. ამის გარდა, სამხრეთ აფრიკის ჩემპიონი გავხდი წოლით აზიდვაში ანუ კლასიკურ ძალოსნობაში. 220 კილოგრამი ავწიე. აღსანიშნავია, რომ არსებობს სპეციალური სამედიცინო გამოკვლევა, რომლის შედეგადაც წონისა და სიმაღლის მიხედვითს შენს შესაძლებლობებს აფასებენ. ამ გამოკვლევის შედეგად სამხრეთ აფრიკის 10 საუკეთესო ათლეტს შორის მოვხვდი.

**- კიდევ რამდენი ხანი უნდა დაჰყოთ სამხრეთ აფრიკაში და როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

- სამხრეთ აფრიკაში კიდევ ორ წელიწადს ვითამაშებ. მერე ვნახოთ. წლეულს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში ვიყავი გამოძახებული, მაგრამ ვერ ჩამოვედი. ნაკრებში თამაში ჩემთვის დიდი პატივია. თუ გამომიძახებენ და ხელს არაფერი შემიშლის, დიდი სიამოვნებით ჩამოვალ და ვითამაშებ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ფორმულა 1



## ლოტუსის დაკომპლექტდა: გროსჟანი და მალდონადო

გუშინ 2014 წლის სეზონისთვის შემადგენლობა დაადასტურა „ლოტუსმა“. მომავალ წელს ფრანგი **რომენ გროსჟანის** მეწყვილე იქნება ვენესუელელი **პასტორ მალდონადო**, რომელიც 2011 წლიდან „უილიამსში“ გამოდიოდა. გარიგების დეტალების შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა, მაგრამ, როგორც ჩანს, 28 წლის სამხრეთამერიკელის გაფორმებით, „ლოტუსი“ მიიღებს მძლავრ სპონსორს, რომელიც გუნდში ყოველ წელს 35 მილიონ ევროს მიიტანს.

როგორც იცით, მალდონადო „ლოტუსში“ ფინელ **კიმი რაიკონენს** შეცვლის, რომელიც „ფერარიში“ გადავიდა.

*„მოხარული ვარ, შევუერთდე „ლოტუსს“ 2014 წელს. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ფორმულა 1-ში კარიერის გაგრძელებისთვის გუნდის შეცვლა მინდოდა, „ლოტუსში“ კი მომავალი სეზონისთვის წარმატების მიღწევის შანსი მომცეს.*

*რეგლამენტი და ბოლიდები ძლიერ შეიცვლება, ასე რომ, ეს არის ყველაფრის თავიდან დაწყების კარგი შესაძლებლობა. მოუთმენლად ველოდები მომენტს, როცა „ლოტუსის“ მანქანის საჭეს მივუჯდები“,* - განაცხადა კმაყოფილმა მალდონადომ.


ფერნანდო ალონსო

## ალონსოს ტვიტერი აუკრძალეს

“ფერარის”შეფი **ლუკა დე მონტეძემოლო** მიიჩნევს, რომ მომავალ სეზონში **ფერნანდო ალონსოსა** და **კიმი რაიკონენს** ყველანაირი შანსი აქვთ იმისთვის, რომ იტალიურ საჯინიბოს წარმატება მოუტანონ. იტალიელი ფუნქციონერი დარწმუნებულია, რომ ესპანელ და ფინელ პილოტს შორის არაჯანსაღ კონკურენციას ადგილი არ ექნება.

*“მას, ვისაც აქვს პატივი და პასუხისმგებლობა მართოს “ფერარის” ბოლიდი, პირველ რიგში, უნდა ესმოდეს, რომ ჯერ გუნდისთვის უნდა იზრუნოს და არა საკუთარი თავისთვის,* - მოჰყავს დი მონტეძემოლოს სიტყვები ESPN-ს. - *არასდროს ჩვენი გუნდის არც ერთ პილოტს არ მიუყენებია ზიანი მეორისთვის. შესაძლოა, ალონსო უძლიერესი პილოტია იმათგან, ვისაც მე შევხვედრივარ, თუმცა ყოველთვის რთულია დღევანდელობის წარსულთან შედარება. ჩვენ კონტრაქტი გავაფორმეთ რაიკონენთან, რადგან მისი გამოცდილების იმედი გვაქვს. გარდა ამისა, ფინელს მოსწონს “ფერარი”. მომეწონა ის ენთუზიაზმი, რომლითაც რაიკონენი “ფერარიში” თავისი დაბრუნების შესახებ ინფორმაციას შეხვდა. შესაძლოა, ოდესლაც ჩვენს გუნდში სებასტიან ფეტელი ვიხილოთ. ჩვენთან არ დგას დღის წესრიგში პილოტების საკითხი”.*

■ ■ ■

ამასობაში, ლუკა დი მონტეძემოლო აპირებს აუკრძალოს ფერნანდო ალონსოს გუნდის საქმეების „ტვიტერის“ ქსელში განხილვა.

ესპანელი პილოტი სოციალური ქსელების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მომხმარებელია ფორმულა 1-ის პილოტებს შორის. „ტვიტერში“ მისი გვერდის ხელმომწერია დაახლოებით მილიონ 900 ათასი ადამიანი. ამასთან, „სამეფო რბოლებში“ პილოტებს შორის არსებობს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც მათ არ აქვთ საკუთარი გუნდის შესახებ ინტერნეტში რაიმე ინფორმაციის განთავსების უფლება. აქამდე, ალონსო ყურადღებას არ აქცევდა ამ აკრძალვას.

*„რა თქმა უნდა, ალონსოს, როგორც ნებისმიერ ადამიანს, შეუძლია „ტვიტერზე“ დაწეროს ის, რაც მოსწონს, მაგრამ ეს არ უნდა ეხებოდეს „ფერარის“. იმიტომ, რომ ამან შეიძლება მიგვიყვანოს სიტუაციამდე, რომელიც გუნდში დესტაბილიზაციას გამოიწვევს“,* - ამბობს დი მონტეძემოლო AS-თან კომენტარში.



## ცირკი აღარ აინტერესებთ?

“რედ ბული” არ ნერვიულობს იმის გამო, რომ გულშემატკივართა ინტერესი ფორმულა 1-ის მიმართ შემცირდა მას შემდეგ, რაც **სებასტიან ფეტელი** ვადაზე ადრე გახდა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი. ასეთი სიტყვები წარმოთქვა ავსტრიული საჯინიბოს ხელმძღვანელმა **კრისტიან ჰორნერმა**. არადა, მას შემდეგ, რაც ფეტელმა მოიგო ბელგიის, იტალიისა და სინგაპურის ეტაპები, პილოტის მშობლიურ გერმანიაშიც კი დაფიქსირდა აუდიტორიის ვარდნა საშუალოდ 5.4 პროცენტით - ასეთი მონაცემები მოჰყავს გერმანულ ტელეკომპანია RTL-ს. როგორც ცნობილია, ამის შემდეგ, სებასტიანმა კიდევ ექვსი რბოლა მოიგო ზედიზედ.

*“ეგოისტური მოსაზრებებიდან გამომდინარე, რაც მეტ მოსაწყენ რბოლას მოვიგებთ, მით უკეთესი ჩვენთვის,* - განაცხადა ჰორნერმა ბრაზილიის გრანპრის წინ, რომელშიც მისმა გუნდმა დუბლი შეასრულა. - *თუმცა, რა თქმა უნდა, გვჭირდება ძლიერი მოწინააღმდეგეები”.*

ინდოეთის გრანპრის შემდეგ, როცა ფეტელმა ტიტული გაინაღდა, RTL-ის აუდიტორია 5.28 მილიონი მაყურებლით შემცირდა. ესპანეთში, სეზონის ბოლოს, ტელეარხ Antena 3-ის საშუალო აუდიტორია 4.9 პროცენტით შემცირდა შარშანდელთან შედარებით, როცა **ფერნანდო ალონსოს** ბოლო რბოლამდე რჩებოდა ჩემპიონატის მოგების შანსი და ტიტულის ბედი მხოლოდ ბრაზილიაში გაირკვა.

სააგენტო Bloomberg-ის ინფორმაციით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ფორმულა 1-ის გლობალური აუდიტორია, საერთო ჯამში, სტაბილურია და ამ მაჩვენებლით, ავტოსპორტი ბევრ სხვა სახეობას უსწრებს, მათ შორის, ჩოგბურთს. სტატისტიკის თანახმად, რომელსაც BBC აქვეყნებს, ტელეაუდიტორიის ჯამური რაოდენობა 1.4 მილიონი ადამიანით გაიზარდა და 28 მილიონს მიაღწია. მაგრამ დაფიქსირდა ტელეაუდიტორიის ვარდნა ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა - ჩინეთი, რუსეთი და აშშ.

“მაკლარენის” ხელმძღვანელ **მარტინ უიტმარშს** მიაჩნია, რომ ფორმულა 1-ში კოლოსალური ბიუჯეტის მქონე “რედ ბულის” გამოჩენამ ჩემპიონატი უარყოფითი კუთხით შეცვალა. მას მიაჩნია, რომ ჰორნერი იტყუება, როცა ამბობს - ჩემი გუნდი სხვებზე მეტს არ ხარჯავსო.

*“სიმართლე ყველამ კარგად იცის”,* - მოჰყავს Bloomberg-ს უიტმარშის სიტყვები.

ამბები

### ბაჰრეინში ღამის რბოლა იქნება

ბაჰრეინის გრანპრის ფორმულა 1-ის კალენდარში 2004 წელს ჰქონდა დებიუტი და მომდევნო წელს გაიმართება საიუბილეო, მეათე ეტაპი. ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით, ორგანიზატორებმა გრანპრის ჩატარების გრაფიკი შეცვალეს - 2014 წელს, ბაჰრეინის გრანპრი ღამით, ხელოვნური განათების ქვეშ გაიმართება.

განათების სისტემა უკვე დამონტაჟებულია და ის პირველ სერიოზულ შემოწმებას ამ უქმეებზე, ამხანაგობაზე რბოლის დროს გაივლის.

### ორი პიტსტოპი სავალდებულო გახდება

გამოცემა „ავტოსპორტის“ ინფორმაციით, 2014 წლის სეზონში ნებისმიერი პილოტი ვალდებული იქნება ყოველი რბოლის მსვლელობისას მინიმუმ ორი პიტსტოპი შეასრულოს.

რეგლამენტში ეს ცვლილება იმ შემთხვევაში შევა ძალაში, თუ მას ფორმულა 1-ის კომისია და ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია მოიწონებს.

ჩოგბურთი

**ჩოგბურთელები მომქანცველი სეზონის შემდეგ ისვენებენ, თუმცა ცნობები საჩოგბურთო პორტალებიდან არ კლებულობს...**



სერენა უილიამსი

### ფელისიანო ლოპესი და WADA-ის კრიტიკა

ესპანელი **ფელისიანო ლოპესი** შეუერთდა იმ ცნობილ ჩოგბურთელებს, რომლებიც არ იღლებიან დღევანდელი ანტისადოპინგო სისტემის კრიტიკით. *“მოქმედი ანტისადოპინგო სისტემა საშინელია. თავს დამნაშავეებად ვგრძნობთ, არადა, ცუდს არაფერს ვაკეთებთ. სკანდალი ველოსპორტში, რის გამოც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ წესები გაამკაცრა, ჩვენი მიზეზით არ მომხდარა. ამ მომენტიდან, ყველა ესპანელი სპორტსმენი დასჯილია, არადა, აბსოლუტურად უდანაშაულოები არიან. ამ მიზეზით არ მისცეს მადრიდს 2020 წლის ოლიმპიადა.*

*აქ ადგილი არ აქვს სამართლიანობას. ერთხელ, ფოსტით შემატყობინეს, რომ დილით მესტუმრებოდნენ დოპინგ-ოფიცრები, მაგრამ წერილი გვიან მოვიდა და დილით, შვიდ საათზე სახლში არ ვიყავი. დიდი შანსი იყო, რომ დისკვალიფიკაცია მიმეღო. მე მიმაჩნია, რომ უნდა დავისაჯო იმ შემთხვევაში, თუ აკრძალულ პრეპარატებს აღმომიჩენენ, და არა, ბიუროკრატიული მიზეზით”,* - განაცხადა ლოპესმა.

### რაფაელის მიზნები

რაფაელ ნადალის ბიძამ და მწვრთნელმა **ტონი ნადალმა** განაცხადა, რომ მისი ნათესავის მთავარი მიზანი ახალ სეზონში არა უიმბლდონის ან როლან გაროსის, არამედ ავსტრალიის ღია პირველობის მოგება იქნება.

*“რაფასთვის მთავარი გამოწვევა მომავალ სეზონში ავსტრალიის ღიაზე მოგება იქნება. თუ რაფაელი ამ ტურნირზე მთავარ პრიზს აიღებს, ის გახდება მესამე ჩოგბურთელი ისტორიაში, ვისაც “დიდი სლემის” ყველა ტურნირი ორ-ორჯერ ექნება მოგებული. ეს უნიკალური მიღწევაა. ასეთი რამ ადრე მხოლოდ როდ ლეივერსა და როი ემერსონს გაუკეთებიათ”,* - ამბობს უფროსი ნადალი.

### სერენას ნავრატილოვასა და ევერტის გვერდით უნდა

**სერენა უილიამსმა** ჟურნალისტებს მოუყვა იმის შესახებ, რომ 2014 წელს აპირებს “დიდი სლემის” მინიმუმ ერთი ჩემპიონატის მოგებას. ამით, ჩოგბურთელი დაეწევა თავის დიად თანამემამულეებს - **კრის ევერტსა** და **მარტინა ნავრატილოვას**, რომლებსაც 18-18 “მეიჯორი” აქვთ მოგებული კარიერაში.

*“კვლავაც მოწყურებული ვარ გამარჯვებებს. ვფიქრობ, ამაში მდგომარეობს ჩემი წარმატების საიდუმლო. რა თქმა უნდა, კარგია, რომ უკვე მოპოვებული მაქვს “დიდი სლემის” 17 ტიტული, მაგრამ არ მინდა მიღწეულით დაკმაყოფილება. მომავალ წელს უნდა მოვიგო ერთი, ორი ან თუნდაც სამი ტურნირი “დიდ სლემზე”. ჩემი სურვილია დავეწიო ტიტულების რაოდენობით ნავრატილოვასა და ევერტს”,* - გაამხილა თავისი მიზნები მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა.

### ნავრატილოვა და პუბლიკის სიყვარული

მარტინა ნავრატილოვას მიაჩნია, რომ სპორტში ისევ არსებობს სქესთა უთანასწორობის პრობლემა, ამიტომაც, **როჯერ ფედერერისთვის** უფრო იოლია საყოველთაო სიყვარულის მოპოვება, ვიდრე სერენა უილიამსისთვის.

*“როჯერ ფედერერი უფრო იოლად მიიღებს პუბლიკის საყოველთაო აღიარებასა და სიყვარულს, ვიდრე სერენა. უბრალოდ იმიტომ, რომ ის - მამაკაცია. ამასთან, არ ვიცი რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს თავად სერენას პიროვნება, ან ის ფაქტი, რომ ის აფროამერიკელია ან ის, რომ ქალი გახლავთ. ხანდახან ადამიანები მზად არიან ვილაც გამოაცხადონ ყველა დროის საუკეთესო მოთამაშედ, მაგრამ, ამასთან, ეს სპორტსმენები არ იღებენ პატივისცემის საჭირო დონეს”.*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## კალათბურთი




# ეშმაკობა 50 ათას დოლარად

"ბრუკლინ ნეტსის" მთავარი მწვრთნელი **ჯეისონ კიდი** დააჯარიმეს იმის გამო, რომ შეგნებულად დალვარა გაილიზიანი სასმელი მოედანზე და ამით ტექნიკური შესვენება გამოსტყუა მსაჯებს "ლოს ანჯელეს ლეიკერსთან" მატჩის ბოლო წამებზე.

ჯარიმის თანხა, რომელიც NBA-მ მწვრთნელს დააკისრა, 50 ათას დოლარს უტოლდება. კიდმა სასმელი მატჩის დამთავრებამდე 8.3 წამით ადრე დალვარა, რადგან მის გუნდს ტაიმ-აუტი აღარ ჰქონდა დარჩენილი, ანგარიში კი ორი ქულით "ლეიკერსს" მიჰყავდა - 94:96. სანამ იატაკს წმენდდნენ, მწვრთნელმა მოთამაშეებს დავალება მისცა, თუმცა ამან "ბრუკლინს" ვერ უშველა და წააგო – 94:99.

ინციდენტის ვიდეოჩანაწერზე ჩანს, როგორ ეუბნება კიდი "ბრუკლინის" მცველ **ტაიშონ ტეილორს**: Hit me ("დამარტყი"). ამის შემდეგ, კალათბურთელი მწვრთნელს ეჯახება და კიდს ჭიქა ხელიდან უვარდება.

თავად მწვრთნელი უარყოფს სასმელის შეგნებულად დაღვრას და ამბობს, რომ ჭიქა ხელიდან შემთხვევით გაუვარდა. ტეილორმა, თავის მხრივ განაცხადა, რომ არ გაუგონია მწვრთნელისგან არანაირი ინსტრუქცია, შემთხვევით დაეჯახა კიდს და საერთოდ გაკვირვებული დარჩა, რომ ჯეისონი გვერდით ხაზთან მდგარი სვამდა გაზიან სასმელს.

## ამბები

### გასოლი: მეორე ევროპელებში

"ბრუკლინთან" გუშინდელ შეხვედრაში, "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ესპანელმა ლეგიონერმა პაუ გასოლმა 21 ქულა დააგროვა. როგორც გამოცემა LA Daily News წერს, კალიფორნიელთა ცენტრის კარიერულმა მონაგარმა 15 773 ქულა შეადგინა და ამით მან გაუსწრო გერმანელ ფორვარდს **დეტლეფ შრემპფს** (15 761). უფროსი გასოლი NBA-ის ევროპელ ლეგიონერებს შორის მეორე ადგილზეა შედეგიანობის მხრივ.

მასზე წინ მხოლოდ ერთი ევროპელი ლეგიონერი დარჩა - "დალასის" გერმანელი ფორვარდი **დირკ ნოვიცკი** (25 361 ქულა).

### დალასი ბოშს უმიზნებს

"დალას მავერიქსის" ხელმძღვანელობა "მაიამი ჰიტის" ფორვარდის **კრის ბოშის** ხელში ჩაგდებას აპირებს, - იტყობინება ESPN. 29 წლის ამერიკელის შეძენა პრიორიტეტული იქნება "მავერიქსისთვის" 2014 წლის ზაფხულში თავისუფალი აგენტების ბაზარზე. "დალასი" 2010 წელსაც ცდილობდა ბოშის გადაბირებას, მაგრამ მაშინ მოთამაშემ "მაიამიში" გადასვლა არჩია.

2013-14 წლების სეზონში კრისმა 14 მატჩი ჩაატარა რეგულარულ ჩემპიონატში და საშუალოდ 14.8 ქულა და 5.6 მოხსნა დააგროვა.

### რუსეთი პაშუტინს ჩააბარეს

რუსეთის ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი გახდა **ევგენი პაშუტინი**. ამის შესახებ გუშინ ოფიციალურად გამოცხადდა. პაშუტინი ამ პოსტზე **ვასილი კარასიოვს** შეცვლის, რომელმაც ჩააგდო ევროპის წლევანდელი ჩემპიონატი.

44 წლის პაშუტინს მწვრთნელის რანგში მოგებული აქვს რუსეთის ჩემპიონატი, ვთბ-ის ერთიანი ლიგა, რუსეთის თასი და ორჯერ ევროთასი (უნიქს-თან და „ლოკომოტივთან" ერთად). გარდა ამისა, ის იყო ამერიკელი **დევიდ ბლატის** ასისტენტი, როცა რუსეთის ნაკრებმა 2007 წლის ევრობასკეტი მოიგო.

### წინათქმა მესისგან

"ბარსელონასა" და არგენტინის ნაკრების ლიდერ **ლეონელ მესის** მიანდეს ცნობილი არგენტინელი კალათბურთელის **მანუ ჯინობილის** შესახებ შექმნილი წიგნის წინასიტყვაობის დაწერა.

წიგნის ავტორია ცნობილი არგენტინული გამოცემის Ole-ს ჟურნალისტი **ჯულიან მოცო**. *"არგენტინაში მანუ ღმერთია"*, - ამბობს ჟურნალისტი თავისი წიგნის გმირზე.

წიგნი – "ტალანტების მბრძანებელი" (El senor de los talentos) 8 დეკემბერს გამოვა გაყიდვაში.

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ოტავა-ვანკუვერი 2:5**

1:0, 1:4, 0:1

**გოლები:** 1:0 მაკარტური-7 (მეტოტი-5, რაიანი-12), 1:1 დ. სედინი-9 (ჰ. სედინი-19, ტანევი-8), 1:2 ბუტი-2 (სანტორელი-10), 1:3 გარისონი-3 (ჰ. სედინი-20, დ. სედინი-15), 1:4 ვაისი-2 (გარისონი-10, ბუტი-3), 2:4 ზიბანეჯადი-7 (კორვო-5, სპეცა-12), 2:5 სანტორელი-6.

**ნეშვილი-ედმონტონი 0:3**

0:0, 0:2, 0:1

**გოლები:** 0:1 ნიუჯენტ-ჰოპკინსი-6 (პეტრი-4, ებერლე-13), 0:2 ტ. ჰოლი-7 (სემ განიე-5), 0:3 ებერლე-9 (ტ. ჰოლი-12, შულცი-2).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ნოტინგემი-რიდინგი | 2:3 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ემპოლი-ბრეშა | 2:2 |
| **სერია C1/B** | |
| ლაკილა-გუბიო | 1:2 |
| **ესპანეთი** | |
| ხეტაფე-ლევანტე | 1:0 |
| ვილიარეალი-მალაგა | 1:1 |
| **გერმანია** | |
| ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 1:1 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ფორტუნა-კარლსრუე | 0:2 |
| სტ. პაული-კიოლნი | 0:3 |
| უნიონი-აალენი | 1:3 |
| **რეგიონალლიგა (ბაიერნი)** | |
| მიუნხენი-ფიურტი II | 2:3 |
| **რეგიონალლიგა (ჩ-ა)** | |
| ბაბელსბერგი-მოისელვიცი | 3:4 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ლიპშტადტი-ვიქტორია | 1:1 |
| ლოტე-გლადბახი II | 1:0 |
| ესენი-ბოხუმი II | 1:0 |
| კიოლნი II-ზიგენი | 0:2 |
| **რეგიონალლიგა (ს-დ)** | |
| პფიულენდ-ფრაიბურგი II | გადაიდო |
| **საფრანგეთი** | |
| მარსელი-მონპელიე | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| არლი-კა ბასტია | 0:0 |
| კაენი-ანჟერსი | 1:1 |
| შატორუ-ისტრი | 2:0 |
| კლერმონი-ბრესტი | 1:0 |
| ჰავრი-კრეტეი | 3:1 |
| ნიმი-დიჟონი | 1:1 |
| ნიორი-ლავალი | 0:1 |
| ტრუა-ტური | 1:2 |
| **ნასიონალი** | |
| ორლეანი-ვანი | 0:0 |
| ამიენი-ბულონი | 0:0 |
| ბურჟი-სტრასბური | 2:1 |
| კარკეფუ-ლუკონი | 2:0 |
| კოლმარი-პარიზი | 0:3 |
| დუნკერკი-პონ დუ გარი | 1:0 |
| ლე პუარი-ფრეჟუსი | 2:1 |
| კოლომიერი-რედ სტარი | 0:0 |
| გფკო აიაჩო-ლუზენაკი | 0:1 |
| **ჰოლანდია** | |
| როდა-ტვენტე | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| გრააფსხაპი-ემენი | 4:0 |
| ექსელსიორი-ფორტუნა | 2:0 |
| ოსი-ვილემი | 0:1 |
| ჰელმონდი-მაასტრიხტი | 3:1 |
| ტელსტარი-დენ ბოში | 1:3 |
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| მუსკრონი-რუზელარე | 2:0 |
| **პორტუგალია** | |
| ბრაგა-ოლანენსე | 4:1 |
| **შოტლანდიის თასი** | |
| დანდი იუნ-კილმარნოკი | 5:2 |
| **დანია** | |
| ვესტსიელანდი-მიდტიულანდი | 0:1 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| აუსტრია (ლ)-მატერსბურგი | 4:0 |
| კაპფენბერგი-სტ. პოლტენი | 2:2 |
| პარნდორფი-ჰარტბერგი | 1:0 |
| ჰორნი-ვენა | 0:0 |
| ლიფერინგი-ალტახი | 1:1 |
| **თურქეთი** | |
| ელაზიგი-ბურსა | 1:2 |
| სივასი-ანტალია | 0:3 |
| **უელსი** | |
| ეირბასი-ბალა | 2:1 |
| **ჩეხეთი** | |
| იჟლავა-სლოვაცკო | 2:1 |
| ტეპლიცე-ზნოიმო | 1:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| ნიტრა-დ. სტრედა | 0:0 |
| **უკრაინა** | |
| მეტალურგი (დ)-ვორსკლა | 4:1 |
| **პოლონეთი** | |
| პოგონი-ზავიშა | 1:1 |
| ვისლა-შლიონსკი | 3:0 |
| **ხორვატია** | |
| ოსიეკი-დრაგოვოლიაცი | 1:1 |
| **უნგრეთი** | |
| ჰონვედი-კეჩმეკეტი | 1:1 |
| **რუმინეთი** | |
| უნივერსიტატეა-ბრაშოვი | 2:0 |
| პოლი ტიმიშოარა-ასტრა | 1:2 |
| **მოლდოვა** | |
| დინამო-ზიმბრუ | 0:2 |
| აკადემია-ოლიმპია | 1:1 |
| მილსამი-ცსკა | 3:1 |
| სპერანტა-ვერისი | 0:6 |
| ტირასპოლი-კოსტულენი | 2:1 |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| გლენავონი-დუნგანონი | 1:3 |
| **პერუ** | |
| სან მარტინი-სენსიანო | 0:1 |
| **აზერბაიჯანი** | |
| რავანი-ქაბალა | 0:1 |
| **ირანი** | |
| ნაფთი-ფაჯრი | 2:0 |
| საიპა-დამაში | 2:3 |
| თერაქთორი-პერსეპოლისი | 1:0 |
| ფოლადი-სეპაჰანი | 0:0 |
| მალავანი-საბა | 2:1 |
| მესი-რაჰი | 2:1 |
| ესტეგლალი-გოსტარეში | 0:0 |
| **ავსტრალია** | |
| სენტრალ კოუსტი-მელბურნი | 0:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ბუდიველნიკი-ცსკა | 74:82 |
| ჟალგირისი-მილანი | 73:71 |
| ეფესი-სტრასბური | 88:65 |
| მონტეპასკი-ბაიერნი | 71:62 |
| კახა ლაბორალი-პანათინაიკ. | 79:77 |
| ბარსელონა-ფენერბაჰჩე | 94:81 |
| **გერმანია** | |
| ულმი-ტუბინგენი | 92:55 |
| **საფრანგეთი** | |
| პარიზი-შოლე | 83:75 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **NHL** | |
| ფილადელფია-ვინიპეგი | 2:1 |
| ბოსტონი-რეინჯერსი | 3:2 |
| **კჰლ** | |
| სკა-ატლანტი | 4:1 |
| **ავსტრია** | |
| ზალცბურგი-ვილახი | 3:4 |
| ინსბრუკი-ალბა | 3:4 (ო) |
| ლინცი-კლაგენფიურტი | 4:1 |
| **გერმანია** | |
| ვოლფსბურგი-შვენინგერი | 5:1 |
| აისბარენი-აუგსბურგი | 2:1 |
| ჰამბურგი-კიოლნი | 5:2 |
| ინგოლშტადტი-დიუსელდორფი | 4:0 |
| მანჰაიმი-კრეფელდი | 2:4 |
| ნიურნბერგი-მიუნხენი | 3:2 (ო) |
| შტრაუბინგი-იზერლონი | 4:5 |
| **დანია** | |
| როდოვრე-ოლბორგი | 3:5 |
| სონდერიისკი-ჰერლევი | 5:0 |
| ჰერნინგი-ოდენსე | 5:2 |
| რუნგსტედი-ფრედრიკშავნი | 4:7 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-ბისტრიცა | 0:6 |
| სკალიცა-კოშიცე | 2:4 |
| ტრენჩინი-მარტინი | 1:3 |
| ზვოლენი-პოპრადი | 3:2 (ბ) |
| პიეშტანი-ნიტრა | 3:2 (ბ) |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-ჰიფკ | 1:4 |
| კაიპა-ილვესი | 4:2 |
| ჰპკ-ესეტი | 1:3 |
| იუვიასკიულა-პელიკანსი | 5:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-ლიტვინოვი | 1:2 (ო) |
| ზლინი-სპარტა | 6:5 |
| კრალოვე-ლიბერეცი | 5:2 |
| პარდუბიცე-ტრშინეცი | 2:1 (ო) |
| ბრნო-კლადნო | 4:0 |
| **შვეიცარია** | |
| ამბრი პიოტა-სერვეტი | 3:1 |
| ბერნი-ცუგი | 3:1 |
| ლოზანა-კლოტენი | 2:1 |
| ლუგანო-ციურიხი | 0:2 |
| ფრიბურგი-რაპერსვილი | 6:4 |
| **შვედეთი** | |
| ჰვ71-ფერიესტადი | 3:2 (ბ) |
| ორებრო-შელეფტეო | 1:4 |

## TV პროგრამა

### 30 ნოემბერი. შაბათი

**I არხი**

14:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. დილა-ტორპედო (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XIV ტური. ვოლფსბურგი-ჰამბურგი.
12:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. მიმოხილვა.
15:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XV ტური. როდა-ტვენტე.
18:00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
18:30 გერმანიის ჩემპიონატი. XIV ტური. ბაიერნი-ბრაუნშვაიგი (LIVE).
20:30 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
21:30 გერმანიის ჩემპიონატი. XIV ტური. შალკე-შტუტგარტი (LIVE).
23:30 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
00:15 პორტუგალიის ჩემპიონატი. XII ტური. აკადემიკა-პორტო (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
10:30 საჩოგბურთო მიმოხილვა.
11:00 ძიუდო. გრანდსლემი. ტოკიო. იაპონია (LIVE).
13:30 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
14:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
15:30 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტური. ბამბერგი-რეალი.
17:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
18:30 რაგბი-ლიგა. მსოფლიო თასი. ფინალი. ახალი ზელანდია-ავსტრალია (LIVE).
21:00 პროგრამა - სპორტი ქუსლებზე.
21:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
22:00 კალათბურთი. ევროლიგის მიმოხილვა.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
13:45 რაგბი-ლიგა. მსოფლიო თასი. ინგლისი-ახალი ზელანდია.
15:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
18:30 ფეხბურთი. გერანიის ჩემპიონატი. XIV ტური. მაინცი-დორტმუნდი (LIVE).
20:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.

### 1 დეკემბერი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

10:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. XII ტური. აკადემიკა-პორტო.
12:00 არგენტინის ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. მიმოხილვა.
15:30 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XV ტური. დენ ჰააგი-აიაქსი (LIVE).
17:30 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XV ტური. ფეიენოორდი-ეინდჰოვენი (LIVE).
19:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
20:00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
20:30 გერმანიის ჩემპიონატი. XIV ტური. ბორუსია (მ)-ფრაიბურგი (LIVE).
22:30 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
00:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
00:30 არგენტინის ჩემპიონატი. XVIII ტური. სან ლორენცო-ესტუდიანტესი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 კალათბურთი. ევროლიგის მიმოხილვა.
11:00 ძიუდო. გრანდსლემი. ტოკიო. იაპონია (LIVE).
13:00 რაგბი-ლიგა. მსოფლიო თასი. ფინალი. ახალი ზელანდია-ავსტრალია (LIVE).
15:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
16:30 საჩოგბურთო მიმოხილვა.
17:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
18:00 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტური. ბარსელონა-ფენერბახჩე.
20:00 მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები.
21:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
21:45 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. XII ტური. რიუ ავე-ბენფიკა (LIVE).
23:45 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. XII ტური. სპორტინგი-ფერეირა (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
14:00 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტური. ბამბერგი-რეალი.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
20:15 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
21:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 5 | 9 | (მზე) |
| ქუთაისი | 6 | 9 | (წვიმა) |
| ბათუმი | 7 | 10 | (წვიმა) |
| ფოთი | 7 | 9 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 5 | 9 | (წვიმა) |
| გორი | 4 | 9 | (წვიმა) |
| თელავი | 4 | 9 | (მზე) |
| სიღნაღი | 5 | 9 | (მზე) |
| ბაკურიანი | -5 | -1 | (თოვლი) |
| ბორჯომი | 0 | 4 | (თოვლჭყაპი) |
| მესტია | -5 | 0 | (თოვლი) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.3020 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6920 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.7613 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0977 |

## ზაზა ფაჩულია:

# კოკოშკოვის წასვლა არ გამიხარდება

**ზაზა ფაჩულია მიმდინარე სეზონს სიახლეებით შეხვდა - გადავიდა ახალ კლუბში, სადაც ახლებურად ათამაშდა: ჯერ გუნდის სასტარტო კალათბურთელად იქცა, შემდეგ - ლიდერად. 212 სმ სიმაღლის ცენტრისთვის სეზონი ხალისიანად დაიწყო: „ტორონტოსთან" საგამოფენო** შეხვედრის პირველ პერიოდში ზაზამ ზურგსუკნიდან ისე ისროლა, ფარისკენ არც გაუხედია. ბურთი კალათში ჩაეშვა და... შეხვედრა აღარ გაგრძელებულა!

- ზურგსუკნიდან ტყორცნებით ბავშვობაშიც ვერთობოდი და ახლაც, მეგობრებთან „მინუს ხუთის" თამაშისასაც. თუმცა NBA-ის მატჩში თავს ამის უფლებას არ მივცემ, თითოეულ მომენტს, ყოველ ტყორცნას პროფესიონალურად ვუდგები. „ტორონტო რეპტორსთან", როცა ვიგრძენი, რომ მეტოქემ წესები დაარღვია, ბურთი, უბრალოდ, გადავაგდე, ორი საჯარიმოს ტყორცნის უფლება რომ მიმელო. ასეთი სიტუაციიდან შეიძლება ახლა ათიდან ერთიც ვერ ჩავაგდო, მაგრამ „რეპტორსთან" ყველაფერი კარგად გამოვიდა. ხალხის ოვაციების მიხედვით მივხვდი, რომ ბურთი კალათში ჩაეშვა. თანაგუნდელებმაც მოსალოცად მოირბინეს.

**- ამ ეპიზოდის შემდეგ თამაში აღარ გაგრძელებულა...**

- NBA-ის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა დაფიქსირდა: „მილუოკის" მოედანზე ახალი დაგებული იყო პარკეტი, რომელიც ყინულის მოედანივით სრიალებდა. განსაკუთრებით მსუბუქი წონის, შედარებით სწრაფ უკანახაზელებს უჭირდათ, ბევრჯერ მოსრიალდნენ. მე ნაკლებად ვგრძნობდი, ალბათ იმიტომაც, რომ შედარებით მძიმე ვარ და ფეხსაცმელიც დიდი ზომისა მაქვს. შემდეგი მატჩისთვის ისევ ძველი პარკეტი დააგეს.

**- და როცა ახალს კარგად დაამუშავებენ, ძველის საქართველოში ჩამოტანას აპირებ.**

- სხვათა შორის, ძველი მოედანი, რომელზეც ახლა ვთამაშობთ, უფრო მომწონს. საქართველოში მის ჩამოტანაზე ხელმძღვანელობასთან მას მერე ვილაპარაკებ, რაც ახალს დააგებენ. ეს, ცხადია, ამ სეზონში მოხდება, თუმცა ჯერ არც ის ვიცი, რას დამიფასებენ. იმედი მაქვს, ხელმძღვანელობას რომ დაველაპარაკები, სიურპრიზები არ იქნება. ჩემი ოცნებაა ქართველ ბავშვებსაც მიეცეთ NBA-ის მოედანზე თამაშის საშუალება, იქ სადაც არაერთ ვარსკვლავს დაუდგამს ფეხი, რეკორდი დაუმყარებია, ან სულაც წაქცეულა... სხვათა შორის, „ატლანტაში" ყოფნისას 2010 წელს სწორედ „მილუოკის" მოედანზე გამარჯვებით გადავლახე პლეი ოფის პირველი ეტაპი. სიმართლე რომ ვთქვა, მოედნის შეძენის ამბავი ჩემგან არ გახმაურებულა, გუნდმა გაავრცელა პრესაში.

**- ამერიკელებმა ისიც დაწერეს, პარკეტი დიდუბის მანეჟისთვის უნდაო.**

- ვუთხარი, საქართველოსთვის მინდა-მეთქი. რომ მკითხეს, თამაში სად დაიწყეო, ალბათ ეგონათ, მოედნის შეძენას დიდუბის დარბაზისთვის ვაპირებდი. გულისტკივილით მინდა ვთქვა, რომ დღეს დიდუბის მანეჟში ძალიან ცუდი მდგომარეობაა, „მართვეში" ზურაბ სამხარაძესთან 1998 წლამდე ვვარჯიშობდი, შემდეგ თურქეთში გადავედი. დარბაზი მას მერე არ განახლებულა და დღეს იქ NBA-ის იატაკის დაგება არ ივარგებს. თუმცა, მთავარია, საქართველოში ჩამოვიდეს.

**- მიმდინარე სეზონში იოლად დაიმკვიდრე ადგილი ძირითად ხუთეულში, სათამაშო დროც გაიზარდა და მონაგარიც...**

- „ატლანტაში" ვარსკვლავები გვყავდა, ელ ჰორფორდი, ჯოშ სმიტი... თამაში მათზე ეწყობოდა. „მილუოკიში" სუპერვარსკვლავი არ გვყავს, ამიტომ გუნდურად თამაშს ვცდილობთ, ერთ დღეს ერთ კალათბურთელს წაუვა თამაში, მეორე დღეს - მეორეს და ა.შ. დაბალანსებული გუნდი გვყავს და მეც შესაბამისი ფუნქცია მაკისრია. თუმცა არც ჩემი თამაშითა და არც გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგებით კმაყოფილი არ ვარ. ზედიზედ რამდენიმე მატჩი წავაგეთ, რაც ძალიან მაფიქრებს.

**- სეზონის დასაწყისში ხუთეულის თითქმის ყველა წევრმა ტრავმა მიიღო და ვერ გეხმარებოდათ. შეიძლება ეს ჩავთვალოთ წარუმატებელი სერიის მიზეზად?**

- თავის გასამართლებლად ტრავმები არ გამოდგება, მაგრამ ამ მხრივ მართლაც ცუდ სიტუაციაში ალმოვჩნდით: გაირკვა, რომ კარლოს დელფინო ამ სეზონში ვერ დაგვეხმარება, ოპერაცია გაიკეთა სასტარტო ცენტრმა ლარი სენდერსმა, გვაკლდა ლუკ რიდნური, კერონ ბატლერი, ერსან ილიასოვა... როგორც ვთქვი, გუნდში ფუნქციები თანაბრადაა გადანაწილებული და ერთი კაცის გამოკლებაც კი გვეტყობა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ „მილუოკიში" 11 ახალი კალათბურთელია. მწვრთნელთა შტაბიც ახალია და როცა ვარჯიშებზეც კი გაკლია კალათბურთელები, შეთამაშება და სისტემის გამართვა ძნელია. თუმცა სეზონი ერთი თვეა, რაც დაიწყო და გამოსწორებისთვის დრო არის. NBA ევროპის ჩემპიონატი არ არის, სამი წაგების გამო მომდევნო ეტაპზე გასვლა ვერ მოახერხო. მჯერა, თამაშს გამოვასწორებთ და პლეი ოფში თამაშის პერსპექტივაც გაჩნდება. შესაძლოა, სიტუაციის გამოსასწორებლად თუნდაც ერთი მატჩის მოგებაც საკმარისი ალმოჩნდეს.

**- ტრავმის გამო ერთი მატჩი გამოტოვე. ნაოპერაციებმა ფეხმა ხომ არ შეგაწუხა?**

- ოპერაცია აპრილში გავიკეთე. რეაბილიტაცია ნორმალურად წარიმართა, მაგრამ სეზონი რომ დაიწყო, ბოლომდე მომჯობინებული არ ვიყავი. „მაიამისთან" თამაშის შემდეგ ნაოპერაციებმა ფეხმა ძალიან შემაწუხა და ექიმებმა მირჩიეს, დაასვენეო. ამიტომაც არ მითამაშია „ორლანდოსთან". უკეთესობა არის, მაგრამ მცირე ხარვეზებს მაინც ვერსად გავექცევი. ვგრძნობ, რომ ჯერ სათანადო ფორმაში არა ვარ, ვვარჯიშობ, თითო თამაშს რამდენჯერმე ვუყურებ, რომ შეცდომები გამოვასწორო.

**- ამ სეზონში ერთი მატჩი საქართველოს ნაკრების მწვრთნელ იგორ კოკოშკოვის „კლივლენდს" მოუგეთ. თუ ისაუბრე მასთან ეროვნულ გუნდზე?**

- დრო ცოტა გვქონდა, თუმცა NBA-ის სეზონის პირველ ნახევარში შეხვედრისას იგორ კოკოშკოვთან ძირითადად ამერიკაზე ვლაპარაკობ. მკითხა, ახალ გუნდში როგორ მოეწყვეო. სეზონის ბოლოს კი საქართველოს ნაკრებზე არაერთხელ და ბე[illegible]აც გვილაპარაკია.

**- მას ჩვენთან კონტრაქტის ვადა ამოეწურა. დაიწერა, სერბეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს სთავაზობენო...**

- წავიკითხე და არც გამკვირვებია, რადგან თავადაც სერბია და ყველანაირად მიესადაგება სერბეთის ძლიერ ნაკრებს, როგორც გამოცდილებით, ასევე სამწვრთნელო დონით. თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ იგორ კოკოშკოვის საქართველოს ნაკრებიდან წასვლა არ გამიხარდება.

ვაჟა სიმონიშვილი



ზაზა ფაჩულიამ ბოსტონთან 20 ქულა ჩააგდო




ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13); მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:45 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გოტფრიდ ლენცი
ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608